ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №9 (45), 2014, სექტემბერი ფასი 3 ლარი

ისტორიანი



ჰამლეტის სიხე-ღაჰბაზის მსველი ჰოლბეჰ ღანსხე

ჰატომ ბაჰისხეს ქაქუსა ჩოლოყაშვილი სახალხო ბვაჰღიიღან

ალექსანდრე დიუმა
„კავკასია“
რომანი 3 წიგნად
(ტომი III)
ფასი 3 ლარი
წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

იესო ქრისტე ჯინოეჰანზე

ხალხთა ომი ჯაჯალაუნის ველზე

ჰიჩაჰღ III-ის „მეფობა ღვინისთვის"

ბალტიისპირეთის ანექსიის „ტექნოლობია"

ჰობოჰ ინეჰება ისტორია სოხუმში

დიუმა ჯავჯასიაში

სარჩევი

ახალი ამბები

გერმანელი მხატვრის „ფერადი საგანძური“ 6

ბიზანტიის იმპერატორის ოქროს მონეტა 8

მწიგნობრობა ქართლის მეფის კარზე 9

რა საიდუმლოს გახსნის მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება 10

ქართველ მნეხალთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან

გრიგოლ ორბელიანის საჭურადღებო წერილი 12

სამხედრო ისტორიიდან

რატომ გარიცხეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი სახალხო გვარდიიდან 16

ისტორიული ნიბნები

დიდი მწერლის თვალით დანახული საქართველო 22

პოლემიკა

როგორ იწერება ისტორია სოხუმში 27

მეცნიერთა ბიოგრაფიიდან

ზურაბ ავალიშვილი 34

ერნოს ისტორიიდან

იესო ქრისტე კინოეკრანზე 42

ანტბენი

„გენეტიკური ხელოვნების“ ზეიმი 50

გადამწყვეტი ბრძოლები

ხალხთა ომი კატალაუნის ველზე 54



სარჩევი

მსოფლიო ჰელიბიები
იუდაიზმი 62

დიდი ისტორიკოსები
ჟაკ ლე გოფი — ფრანგი „ისტორიის მამა“ ... 71

ისტორიის გაჯვეთილები
ანექსიის „ტექნოლოგია“ 76

ახალი ამბები
„ჯინი“ 200-წლოვანი ბოთლიდან 84
რიჩარდ III-ის „მეფობა ღვინისთვის“ 85

მსოფლიოში ცნობილი სიხე-დაიბაზები
კრონბორგი — ჰამლეტის ციხე-დარბაზი 86

ვაისაჯვლავები ისინიან
სეფდანარმეი მხიარული მოგონებები 94

მსოფლიო მოგზაური
ჯუმბერ ლეფავა: მინდა, ჩემს საქართველოს ვემსახურო აქაც და ანტარქტიდაზეც 97

ცხოვრება
ირაკლი ოჩიაური: მე ვარ ხევსური, რომელსაც შურისძიების გრძნობა არ აქვს... 105

ფუძცღები ნაისუღიდან
ისტორიული ამბები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან 111

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის
ცოდნის სამყარო 114
სკანვორდი 122

ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ᲩᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

„დღეს იყო წირვა ანჩისხატში, სადაც ჰგალობდნენ ქართულად და უნდა მოგახსენო, დიდად მეამა. იფიქრეთ, საქართველოში გვიკვირს ქართული გალობა! გევედრებით, ნუ გააქრობთ ქართულ გალობას თქვენს ქვეყანაში, სადაც ათასს წელიწადს ისმენდა ერი თავის ენაზე გალობას“, — წერდა სახელგანთქმული გენერალი და პოეტი გრიგოლ ორბელიანი სამეგრელოს დედოფალს, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას. რუსეთის არმიის ქართველი გენერალი წუხდა, რომ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ქართულ ეკლესიაში უმთავრესად რუსული გალობა გაისმოდა. პოეტი თხოვნით მიმართავდა ბიძას, ვახტანგ ორბელიანს, ეშუამდგომლა ქართული გალობის „დიდად კარგ მცოდნე“ ვასილ კარბელაშვილისთვის, რომლის ღვაწლი ფასდაუდებელი იყო საქართველოში ქართული გალობის „შეუცვლელად და შეურყვნელად“ დამკვიდრების საქმეში, ეკლესიებში ქართული გალობა განეახლებინა.

ბევრმა როდი იცის, რატომ გარიცხეს სახალხო გვარდიიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი. „ისტორიანი“ მოგითხრობთ 1920 წლის გაზაფხულზე მომხდარ ინციდენტზე, რომლის მონაწილე, მომავალში „შეფიცულთა რაზმის“ მეთაური, საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დაითხოვეს.

რუბრიკით „ისტორიის გაკვეთილები“ შეიტყობთ, როგორ წარმართავდა ლიტვის ექსპრემიერი სახიფათო გეოპოლიტიკურ თამაშს ამგვარი თამაშების „დიდოსტატებთან“, ლავრენტი ბერიასა და იოსებ სტალინთან. რით დასრულდა ეს ამბავი, ამის შესახებ მოთხრობილია სტატიაში — ანექსიის „ტექნოლოგია“.

როგორ აპირებდა ალექსანდრე დიუმა საქართველოში ხელმეორედ ჩამოსვლით მილიონერად გახდომას; როგორ „მეთვალყურეობდნენ“ დიდ მწერალს რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის ჟანდარმები; რატომ ვერ შეხვდა მოგზაური შამილს — ამ და სხვა მრავალ საინტერესო კითხვაზე პასუხს იპოვით ალექსანდრე დიუმას წიგნში „კავკასია“. მკითხველს შეუძლია იგი ჟურნალთან ერთად შეიძინოს (წინამდებარე ნომერს სამტომეულის მესამე ტომი ერთვის). „კავკასია“ არ გადმოგვცემს მარტოოდენ მოგზაურის შთაბეჭდილებებს, იგი ისეთივე გატაცებით წასაკითხი „რომანია“, როგორიც „გრაფი მონტე კრისტო“ ან სულაც „სამი მუშკეტერი“.

ჟურნალი ტრადიციისამებრ გთავაზობთ არაერთ საყურადღებო მასალას და მკითხველისგან კვლავაც მოელის გამოხმაურებებს.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲑᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ – ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ-ᲑᲘ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ „ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ“, ᲑᲔᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲗᲐᲜ

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი

„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ „ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ“

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲢᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 70-80-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გერმანელმა მხატვარმა, მოგზაურმა და მკვლევარმა ვერნერ რუდიგერმა თურქეთში, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე იმოგზაურა და გასაოცარი სიყვარულითა და პროფესიონალიზმით შეასრულა ჩანახატები. მან ფოტო- და კინოფირზე აღბეჭდა ქართველ მეცნიერთათვის და საერთოდ საქართველოსთვის იმ დროისთვის თითქმის მიუწვდომელი ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური, დანგრევის პირამდე მისული ძეგლები.

ვერნერ რუდიგერის ალბომი „ფერადი საქართველო“

ხელოვანმა ასამდე უნიკალური ფერწერული თუ გრაფიკული ნახატი შექმნა, რომელთაც არა მხოლოდ მხატვრული, არამედ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ვერნერ რუდიგერის მიერ ტილოებზე გადატანილი ისტორიული ძეგლები, სამწუხაროდ,

ვერნერ რუდიგერის ნამუშევართა გამოფენა თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში

დღეს ისეთივე როდია, როგორიც მხატვარმა დაინახა. ბევრმა მათგანმა მოუვლელობისა და უყურადღებობის გამო პირვანდელი (ამ შემთხვევაში, 30-40 წლის წინანდელი) სახე დაკარგა. სახე იცვალა ან სულაც განადგურდა არაერთი საყურადღებო ჩუქურთმა, არქიტექტურული დეტალი თუ ორნამენტი, რომლებიც გერმანელი შემოქმედის ნამუშევრებმა შემოინახა.

რუდიგერის კოლექცია ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. უმეტესობა გრაფიკული ნამუშევარია და ძირითადად მოიცავს ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ ძეგლებს. ფერწერული ტილოები კი, სამხრეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებასთან ერთად, ეძღვნება სვეტიცხოვლის, ბაგრატის, ალავერდის კათედრალებს, თბილისის ხედებს.

გიორგი კალანდია *(საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი):* „ვერნერ რუდიგერის კოლექციას რთული თავგადასავალი ჰქონდა. ჩვენთვის ეროვნულ საგანძურად ქცეული ეს ნამუშევრები გერმანელმა მხატვარმა უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს. ორი წლის განმავლობაში მთელი კოლექცია ნახატების ეროვნული გალერეის მიწისქვეშა საცავში ინახებოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში თბილისში შექმნილმა მძიმე ვითარებამ კოლექცია განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა. ნახატების გადარჩენისთვის თავად ავტორმა იზრუნა და ტილოები საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გადაიტანა. 2009 წელს კი თავად ვერნერ რუდიგერმა თავისი ნამუშევრები ჩვენს მუზეუმს გადმოსცა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ვერნერ რუდიგერის ყველა ნამუშევარი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია და სამუზეუმო საგანძურს წარმოადგენს“.

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა და საქართველოს ხელოვნების სასახლემ გერმანელი მხატვრის ვერნერ რუდიგერის აღნიშნული ნამუშევრების კატალოგი გამოსცა. „ფერადი საქართველო“ მხატვრის მიერ შექმნილი ტილოების სრულ კოლექციას წარმოადგენს. ვფიქრობთ, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ორენოვანი კატალოგი ბევრ მკვლევარსა თუ მოგზაურს არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის.

„ისტორიანი“

მარცხნიდან: ხელოვნებათმცოდნე ანჟელინა დამენია, ვერნერ რუდიგერი და მხატვარ-გრაფიკოსი გელა ფილაური

ბიზანტიის იმპერატორის ოქროს მონეტა

ახალი აღმოჩენა მცხეთაში

ოქროს საკიდები, ბეჭდები, საკინძეები და ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის (1025-1028 წწ.) მონეტა — უნიკალურ მასალებს მცხეთაში, ფიქრის გორაზე, კერძო მფლობელის ტერიტორიაზე მიაკვლიეს. ოქროს მონეტა, რომელზეც მაცხოვარია გამოსახული, XI საუკუნით თარიღდება. ძვირფასი თვლებით მოჭედილი საყურეები და სამაგრები უფრო ადრეულ ხანას, IV-VI საუკუნეს მიეკუთვნება.

XI საუკუნის მონეტის აღმოჩენა IV-VI საუკუნეებით დათარიღებულ სხვა ნივთებთან ერთად ადასტურებს, რომ ერთი და იგივე სამაროვანი დაკრძალვისთვის რამდენჯერმე გამოიყენებოდა. ნაპოვნია ძვირფასი თვლებით გაწყობილი საკინძი, რომელსაც მფლობელი ქალი, არქეოლოგების განმარტებით, ვარცხნილობისთვის იყენებდა.

ნიკოლოზ მაისურაძე *(არქეოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელი):* „მიკვლეულია ქვასამარხები, ე.წ. ქვაყუთები, სადაც ერთდროულად ოთხი მიცვალებულია დაკრძალული. ჩანს, ეს საგვარეულო სამარხები იყო და შესაბამისად, ისინი აქ სხვადასხვა დროს დაკრძალეს“.

ფიქრის გორაზე, მცხეთაში

მცხეთაში, ფიქრის გორაზე სამარხებს 2014 წლის ივლისში, კერძო მესაკუთრის ნაკვეთში მიწის სამუშაოებისას შემთხვევით მიაგნეს. შემდეგ ტერიტორიის შესწავლა არქეოლოგებმა დაიწყეს. ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანში ხუთი ტიპის სამარხი გამოიკვეთა: ორმოსი, თიხის ფილებისა, ქვატეხილებითა და ქვიშაქვის ფილებით ნაგები, ქვის კვადრებით ნაგები და ქვის ფილებით შედგენილი. დომინანტი აქ სწორედ ქვასამარხებია. გავრცელებულია როგორც საოჯახო საკრძალავები, ასევე ინდივიდუალური სამარხებიც და აქ უმეტესობა ქრისტიანული წესით არის დაკრძალული.

აღმოჩენილი არტეფაქტები იმ მასალების ტიპის შესაბამისია, რომლებიც მცხეთაში სხვადასხვა ადგილას არის გამოვლენილი. ოქროს ნივთების გარდა, ახალ აღმოჩენებშია საკინძეები, სანელსაცხებლეები, სხვადასხვა მასალით დაშზადებული ბეჭდები და მძივები. შესწავლილია ორმოცდახუთი სამარხი, ოცდახუთის კვლევა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და მეცნიერთა ვარაუდით, უნიკალურ ექსპონატებს კიდევ რამდენიმე ათეული შეემატება.

მცხეთაში, ფიქრის გორაზე მიკვლეულ არტეფაქტებს მოძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭება და საზოგადოებას შემოდგომაზე მის ხილვას თბილისში შეძლებს. საბოლოოდ ნივთები მცხეთის ახალ მუზეუმში გამოიფინება.

„ისტორიანი“

მწიგნობრობა ქართლის მეფის კარზე

აღმოჩენა ბაგინეთში

არმაზციხე-ბაგინეთში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ II-III საუკუნეებით დათარიღებული ათამდე ნაგებობა გამოავლინა. ქვის საძირკველზე ალიზის აგურით ამოყვანილი კედლები, ბრტყელი და ღარიანი მცხეთური კრამიტით იყო გადახურული. ნაგებობები ერთმანეთს საკარე ღიობებით უკავშირდებოდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს შესაძლოა მეფის მცველი რაზმის სადგომი ყოფილიყო.

ძეგლის შესწავლისას არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ამავე პერიოდის მინისა და კერამიკის ჭურჭელი: დოქები, ხელადა, ქოთნები და სხვ. აღმოჩენილია ძვლის საწერი სტილუსი, რომელსაც ჩვენი წინაპრები გასანთლულ დაფაზე დასაწერად იყენებდნენ.

წლევანდელი აღმოჩენაც, ისევე როგორც წინა წლებისა, მეფის კარზე მწიგნობრობის განვითარებას ადასტურებს, რაც ექსპერტთა აზრით, ქალაქური კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია.

არმაზციხე-ბაგინეთი ქვეყნის ერთ-ერთი განვითარებული არქეოლოგიური ძეგლია, სადაც ამ დრომდე გამოვლენილ ნაგებობებზე: დედოფლის აბანო, წარმართული ტაძარი, სვეტებიანი დარბაზი, ერთნავიანი ეკლესია, ორსენაკიანი ნაგებობა — განხორციელებულია საკონსერვაციო სამუშაოები.

ქართლის უძველესი დედაქალაქის, მცხეთის სამეფო რეზიდენციის კვლევითი სამუშაოები პირველად 120 წლის წინ ილია ჭავჭავაძემ და ექვთიმე თაყაიშვილმა განახორციელეს. XX საუკუნის 40-იან წლებში ძეგლზე სტაციონარული არქეოლოგიური სამუშაოები აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით წარიმართა. აღმოჩნდა სამეფო სასახლე, რომაული ტიპის აბანო, აკლდამა და სარკოფაგი, რომელიც II-III საუკუნეების უმდიდრეს მასალას მოიცავს. ბაგინეთში არქეოლოგიური სამუშაოები 2011 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით განახლდა.

„ისტორიანი“

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით
(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)
პალიტრა მედია გისმენთ!..
დარეკეთ: 219 60 13
მოგვწერეთ: contact@palitra.ge
ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)
საფოსტო ყუთების საშუალებით

რა საიდუმლოს მალავს მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება

არტემიდეს ტაძარი. რეკონსტრუქცია

უძველეს ქალაქ ეფესოში იმ ტერიტორიის გათხრებისთვის ემზადებიან, სადაც არტემიდეს ტაძარი მდებარეობდა. მსოფლიოს შვიდი საოცრებათაგან ერთ-ერთი, მასიური ტაძარი ძვ.წ. 550 წელს მარმარილოსგან ააგეს. მიწის ზედაპირზე ტაძრის მხოლოდ მცირედი ნაშთებიღაა შემორჩენილი. სამუშაოს ართულებს ამ რაიონში გრუნტის წყლების მაღალი დონე.

საბინა ლადსტატერი *(ავსტრიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ექსპედიციის ხელმძღვანელი):* „წლეულს გაგვიმართლა, რადგან გრუნტის წყლებმა იკლო. როგორც წესი, გათხრებისას სატუმბებს ვიყენებთ. მუშაობას წვიმების სეზონამდე

დღეისთვის ტაძრის ადგილი აღნიშნულია ცალკე მდგომი ფრაგმენტით



ძებნა ჯონ ტერტლ ვუდის ხელმძღვანელობით ექვს წელიწადს გრძელდებოდა და 1869 წელს დასრულდა

გავაგრძელებთ. ვეცდებით, პასუხი გავცეთ კითხვას, როგორი იყო არტემიდეს ტაძარი. ვიმედოვნებთ, ჩვენი გუნდი რომაული ეპოქის შრეს მიაღწევს".

არტემიდეს ტაძარზე ბოლოს სამუშაოები 20 წლის წინ მიმდინარეობდა. სპეციალისტებს დღემდე არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა აწუხებთ.

თავდაპირველი ტაძრისგან დღემდე არაფერი შემორჩენილა. იგი მშენებლობის დამთავრებიდან მალევე განზრახ გადაწვა ჰეროსტრატემ, რომელსაც ასეთი სრულყოფილების განადგურებით თავისი სახელის უკვდავყოფა სურდა. იგი დაიჭირეს და სასტიკი წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ამ ამბის მოყოლა ან მისი სახელის ხსენება ეკრძალებოდა ყველას, მათ შორის მემატიანეებს. მისი სახელის ხსენება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სიკვდილით ისჯებოდა. მაგრამ როგორც ჩანს, ჰეროსტრატემ მიზანს

მაინც მიაღწია და მისი სახელი ისტორიას 26 საუკუნის შემდეგაც შემორჩა.

ტაძრის მდებარეობა ჯონ ტერტლ ვუდმა 1869 წელს, ექვსწლიანი ძებნის შემდეგ დაადგინა. ექსპედიციას ბრიტანეთის ეროვნული მუზეუმი აფინანსებდა. გათხრები 1874 წლამდე გრძელდებოდა. შემდგომ წლებში (1904-1906) დევიდ ჰოგანის ხელმძღვანელობით მიმდინარე გათხრებისას აღმოჩნდა IV საუკუნეში აღდგენილი ტაძრის ნაშთები და უფრო ადრეული ტაძრის მცირე ნაშთები.

დღეისთვის ეს ტერიტორია თურქეთის ქალაქ სელჩუკის გარეუბანშია. ტაძრის ადგილი აღნიშნულია ცალკე მდგომი, გათხრების დროს აღმოჩენილი სვეტის ფრაგმენტით.

მომზადებულია Hurriyet Daily News-ის მიხედვით

„მრავალმკერდიანი" არტემიდე ეფესოს ტაძრიდან

გრიგოლ ორბელიანის საყურადღებო წერილი

როგორ უწყობდა ხელს სახელგანთქმული გენერალი ქართული საეკლესიო გალობის დამკვიდრებას

გრიგოლ ორბელიანი

1869 წლის პირველ ივლისს გრიგოლ ორბელიანი თბილისში, ანჩისხატის ეკლესიაში წირვას დაესწრო და მიღებული შთაბეჭდილებები შემდეგ წერილობით შეატყობინა უახლოეს მეგობარს, სამეგრელოს დედოფალს — ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისას: „დღეს იყო წირვა ანჩისხატში, სადაც ჰგალობდნენ ქართულად და უნდა მოგახსენო, დიდად მეამა. იფიქრეთ, საქართველოში გვიკვირს ქართული გალობა! გევედრებით, ნუ გააქრობთ ქართულ გალობას თქვენს ქვეყანაში, სადაც ათასს წელიწადს ისმენდა ერი თავის ენაზე გალობას“ (ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, 1947, ტ. I, გვ. 318).

გენერალ-მაიორი ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი — გრიგოლ ორბელიანის ნათესავი

როგორც ამ წერილიდან ჩანს, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ქართულ ეკლესიაში კანტიკუნტად ისმოდა ქართული გალობა. სამაგიეროდ, რუსული გალობა იყო მოძალებული. თბილისსა და სხვა ქართულ ქალაქებში დამკვიდრებულიყო აღმოსავლურ საკრავებზე „სამაიას“, „შარიშურის“, „ჩარგისა“ და „მუხამბაზის“ ხმაზე შესრულებული „მაჯარები“ და „მუხამბაზები“.

გრიგოლ ორბელიანი მეგობრობდა კიდეც ერთ-ერთ მუსიკოსთან, მირზაჯან მადათაშვილთან, რომლის შესახებ მათი ამფსონი დავით ყორღანაშვილი გრიგოლს სწერდა: „შენ მოგიწერია, რომ საზანდარს ქორწილში დავაკვრევინეთ და შენ მოგიგონეო, როგორ არ იცი, რომ ყოველჟამს ჩემის ფიქრიდამ განუმეორებელი და დაუვიწყარი ხარ, არამც თუ საზანდართან და მათ სიმღერასთან, ღვდლების გალობაშიც შენ მაგონდები, მაგრამ ერთს კარგ ალაგს ვართ და მირზაჯანს ყოველთვის ერთადა ვართ, ყოველდღე გიგონებს, გაქებს და შენი დიდი სიყვარული აქვს, რომ ლაზათიანი კაცი ხარ“ (გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936, გვ. 229).

საინტერესოა რომანტიკოსი პოეტის აზრი 1832 წლის 15 ნოემბრის საღამოზე, სადაც, სხვათა შორის, საუბარი ჩამოვარდნილა კლასიკურ ევროპულ მუსიკაზე. აი, როგორი გატაცებით საუბრობს პოეტი:



გრიგოლ ორბელიანის წერილი ვახტანგ ორბელიანისადმი.
დედანი დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერებისა და საარქივო დოკუმენტების ფონდში (169-ხ 16617)

ძმები კარბელაშვილები. მარცხნიდან: დეკანოზი პოლიევქტოსი, დეკანოზი ვასილი (შემდგომში — ეპისკოპოსი სტეფანე), მღვდელი პეტრე და დეკანოზი ანდრია

„ვიყავ ფარნაოზ ბატონიშვილთან, სადაც შ-დ სხუა და სხვადასხვათა უბნობათა დიმიტრი ბატონიშვილთან ლაპარაკი გვუქონდა პირველთ მუზიკანტზე: მოცარტზე, რომელმაც დაწერა შექმნა სოფლისა, და არს საკვირველი მისი თხზულება „ხაროსი და იქმნა ნათელი“ დაბადებიდამ; ვებერზე, რომელიც მოკვდა 38 წლისა. ამისა არს „ფრეიშჩიცა“, ფ-დ საქებელი მუზიკა; როსინზე, რომელმაცა ყმაწვილმა ოცი წლისამ დაწერა „სლივერსკის ცირულნიკი“ და სხვანი მრავალნი უცხო მუზიკანი ხერუბინზე, რომლისა „მწამს ერთი ღმერთი“ ფრიად საქებელ არს და უფრო — „და ევნო, და დაეუფლა და აღსდგა მესამესა დღესა საფლავით“ — არს საკურველი მუზიკა“ (გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959).

გრიგოლ ორბელიანი მაინც ბოლომდე ქართული მგალობლობის აშიკი იყო, რასაც ადასტურებს ახლახან აღმოჩენილი ერთი ეპისტოლეც. მასში ვკითხულობთ:

„ჩემო ბატონო ბიძავ, ვახტანგ!

ამ ბარათს მოგართმევს ყმაწვილი კაცი კარბელოვი, რომელმანცა დაასრულა კურსი სემინარიაში და არის დიდად კარგი მცოდნე ქართული გალობისა. ეს ის გახლავთ, რომელმანცა მშვენივრად წარმოსთქვა მცხეთის სობოროში განსვენებულის ირაკლის დამარხვაზე.

ახლა ამის დარდები თვით ამანვე მოგახსენოს და მეც ამასა გთხოვ სულით, რომ მისცეთ შემწეობა თქუენის ქალის მაშას წინაშე, რომ დვორიანსკის კამიტეტში მაშამ ამის მხარე დაიჭიროს და ამით დამკვიდრდეს ქართული გალობა საქართველოში შეუცვლელად და შეურყვნელად.

მარადის თქუენი მონა და ერთგული თ-დი გრიგოლ ორბელიანი...“

გრიგოლ ორბელიანის ეს სარეკომენდაციო წერილი დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერებისა და საარქივო დოკუმენტების ფონდში (169-ხ 16617). წერილის ადრესატია ვახტანგ ორბელიანი, ცნობილი რომანტიკოსი პოეტი, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ასულის — თეკლა ბატონიშვილის ძე, რომელიც ბიძად ერგებოდა გრიგოლ ორბელიანს. კერძოდ, გრიგოლის დედა იყო ერეკლე II-ის ასულის, ელენეს შვილი — ხორეშან ანდრონიკაშვილი.

გრიგოლ ორბელიანის ამ წერილში მოხსენიებული კარბელოვი იყო სტეფანე (იგივე ვასილ) გრიგოლის ძე კარბელაშვილი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ეროვნულ საქმეს — ქართული გალობის შესწავლასა და ნოტებზე გადატანას. მისი შრომის ნაყოფი გახლდათ წიგნები: „ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი“, „მწუხრი“ (ნაწილი I, 1897) და „ცისკარი“ (ნაწილი II, 1898).

ქართულმა ეკლესიამ დააფასა კარბელაშვილების ოჯახის შვილებიდან ოთხი ძმის დამსახურება ქართული სულიერების წინაშე. 2011 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, წმინდანთა დასს შეუერთდნენ ძმები კარბელაშვილები, დეკანოზი ანდრია და მღვდელი პეტრე, რომელთაც ეწოდათ „წმინდა მღვდელ-მოწამენი“, ხოლო ეპისკოპოს სტეფანეს (ვასილს), დეკანოზ პოლიევქტოსსა და მღვდელ ფილიმონს ეწოდათ „წმინდა აღმსარებლები“. მათი ხსენების დღედ 6 სექტემბერი დადგინდა.

პოლიევქტოს კარბელაშვილი

ინფანტერიის გენერალი გრიგოლ ორბელიანი საბრძოლო ჯილდოებით

ასე რომ, გრიგოლ ორბელიანის ზემოთ მოყვანილ წერილში ქართული გალობის „დიდად კარგ მცოდნედ“ დახასიათებული ვასილ კარბელაშვილის ღვაწლი ქართული გალობის საქართველოში „შეუცვლელად და შეურყვნელად“ დამკვიდრების საქმეში მართლაც ფასდაუდებელია, რაც ჩვენი ეკლესიის გადაწყვეტილებითაც დადასტურდა.

გიორგი ჯავახიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რატომ გარიცხეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი სახალხო გვარდიიდან

ქართველი კავალერისტები თბილისში, 1918 წ.

საქართველოს ეროვნული გმირის, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილ ისტორიულ ნაშრომებსა თუ თანამებრძოლთა მოგონებებში ძირითადი აქცენტი კეთდება მასზე, როგორც „შეფიცულთა რაზმის“ მეთაურსა და ანტისაბჭოთა აჯანყებების ერთ-ერთ გამორჩეულ სამხედრო ლიდერზე. ასევე, მკითხველისთვის ცნობილია მისი მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში, სტრატეგიული სიმაღლის — „არწივის ბუდის“ გმირული დაცვა კავკასიის ფრონტზე და მონაწილეობა ქართველ ცხენოსანთა ათასეულის მანევრში სპარსეთის ფრონტზე. მაგრამ ძალიან ცოტა იწერება მისი სამსახურის შესახებ საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. ამჯერად საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შევეცდებით, თვალი გადავავლოთ ქაქუცას სამსახურს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარში და ვისაუბროთ 1920 წლის გაზაფხულზე მომხდარი ინციდენტის შესახებ, რის გამოც იგი სახალხო გვარდიიდან გარიცხეს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონში 1918 წლის აგვისტოს ბოლოს ჩაირიცხა და დივიზიონის პირველ ესკადრონს მეთაურობდა. ცხენოსანი დივიზიონი გამოირჩეოდა სახალხო გვარდიის ნაწილებში, მის სიძლიერეს რუსეთის სამხედრო ატაშე პაველ სიტინიც აღნიშნავდა თავის საიდუმლო მოხსენებებში და ქართული შეიარაღებული ძალების საუკეთესო შენაერთად მიიჩნევდა. 1919 წლისთვის დივიზიონი შედგებოდა: ორი ცხენოსანი ესკადრონის, არტილერიის ერთი მწყობრის, ტყვეისმფრქვეველთა და მესანგრეთა მცირე გუნდებისგან. მთლიანად პირადი შემადგენლობა კი 456 კაცს ითვლიდა. საინტერესოა, რომელ სამხედრო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, როგორც დივიზიონის პირველი ესკადრონის მეთაურმა — ეს ჩამოთვლილია ქაქუცა ჩოლოყაშვილს მიერ დამფუძნებელი კრებისადმი 1920 წლის აპრილში გაგზავნილ მოხსენებაში:

„სახალხო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი არსებობს 1918 წლის 20 აგვისტოდან და ამავე აგვისტოში აფიცრები ჩარიცხულნი იყვნენ დივიზიონში.

1918 წლის 29 ოქტომბერს სოფელ ვორონცოვკაში გაიგზავნა ორი ასეული და ტყვეის მფრქვეველთა რაზმის ერთი გუნდი.

1918 წლის 3 დეკემბერს დაბრუნდა ვორონცოვკიდან ერთი ასეული და ხსენებული რაზმის ერთი გუნდი.

1918 წლის 15 დეკემბერს დივიზიონმა გაილაშქრა ბორჩალოს მაზრაში სომხეთის ფრონტზედ, სადაც მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში ეკატერინენფელდთან, დაგეტ-ხაჩინთან და ბოლნის-ხაჩინთან.

1919 წლის 3 თებერვალს დაბრუნდა სომხეთის ფრონტიდან.

1919 წლის 8 თებერვალს დივიზიონმა გაილაშქრა სოჭის ფრონტზედ და 16-17 აპრილს გავიდა მდ. ბზობზედ გაგრის დასაჭერად.

1919 წლის 18 აპრილს დივიზიონმა დაიჭირა საზღვრები და უკუაქცია მტერი მდ. მზიმთამდე.

1919 წლის 29 ოქტომბერს დივიზიონი დაბრუნდა სოჭის ფრონტიდან.

1919 წლის 8 ნომბერს დივიზიონი გაიგზავნა ამბოხების ჩასახშობად გორის მაზრაში, საიდანაც დაბრუნდა 1919 წლის 20 დეკემბერს.

1920 წლის 22 თებერვალს დივიზიონმა გაილაშქრა ბათომის ოლქში, საიდანაც დაბრუნდა ამა წლის 11 მარტს“.

ბათუმის ოლქიდან დაბრუნების შემდეგ დივიზიონის ოფიცრებმა შუამდგომლობა აღძრეს გვარდიის შტაბის წინაშე, რათა სატუსაღოდან გაეთავისუფლებინათ და სამსახურშიც აღედგინათ დივიზიონის ხაზინადარი ყიფიანი, რომელსაც ბოროტმოქმედებაში ედებოდა ბრალი. გაიმართა საგამოძიებო კომისიის სხდომა გვარდიის მთავარი შტაბის წევრ ჭიაბრიშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ საკითხი ბოლომდე ვერ გამოარკვია, მაგრამ მიიჩნია, რომ ყიფიანმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა, ამიტომ 1920 წლის 20 მარტს გვარდიის მთავარმა შტაბმა ძველი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ამავე დღეს გვარდიის მთავარი შტაბის წევრ ჭიაბრიშვილს ცხენოსანი დივიზიონის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ოფიცერმა შენგელიამ ზეპირი სახით აცნობა, რომ დივიზიონის ოფიცრებმა ყიფიანის სამსახურიდან დათხოვნის გამო მასთან შეიტანეს განცხადება სამსახურის დატოვების შესახებ. მთავარმა შტაბმა ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება 6 აპრილს მიიღო. შტაბის აზრით, ოფიცრებმა დივიზიონის დატოვება გადაწყვიტეს ძალიან რთულ მომენტში, როცა ქვეყანა ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. შტაბი გულისხმობდა ვლადიკავკაზისა და სოჭის მიმართულებით არსებულ მდგომარეობას, ბოლშევიკების მოახლოებასა და ინგლისელებთან ურთიერთობის გამწვავებას ბათუმის ოლქში ქართული ნაწილების შესვლის გამო. ამის გამო, შტაბის გადაწყვეტილებით, დივიზიონიდან დაითხოვეს ოფიცრები: ჩოლოყაშვილი; კუსტაშვილი; მ. დადიანი; ს. წერეთელი; მამულაიშვილი და ბერელაშვილი. ასევე, მთავრობის წინაშე დააყენეს შუამდგომლობა, რომ აღნიშნულ ოფიცრებს მომავალში აკრძალვოდათ არმიასა და გვარდიაში სამხედრო სამსახური. დანარჩენი ოფიცრები გვარდიიდან არ დაუთხოვიათ, თუმცა დისციპლინარული სასჯელი დააკისრეს და ერთი-ორი კვირით „ჰაუპტვახტში“ ჯდომა გამოუწერეს.

ამ ამბავს გამოეხმაურა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიაც. მთავრობის თავმჯ-

გენერალი გიორგი კვინიტაძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ქართველი კავალერისტები სოჭის ფრონტზე

დომარის მდივანი 13 აპრილს იუსტიციის მინისტრს წერდა (სტილი დაცულია): „ამგვარი მოქმედება სამხედრო პირთა ამ მეტად გართულებულ პოლიტიკურ პირობებში მთავრობის თავმჯდომარეს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია და დამავალა გთხოვოთ, რათა დაუყოვნებლივ დაინიშნოს სამხედრო გამომძიებელი და დამნაშავენი პასუხისგებაში მიცემული. შედეგი თქვენი განკარგულებისა გთხოვთ აცნობოთ მთავრობის თავმჯდომარეს“.

წაყენებულმა ბრალდებამ აღაშფოთა გვარდიიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხული ოფიცრები და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით, დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარეს წერილი გაუგზავნეს. ოფიცრები წერდნენ, რომ გვარდიის შტაბის მიერ მათი დათხოვნის ბრძანებაში არ იყო ნათლად წარმოჩენილი ის გარემოებები და წინაპირობები, რაც მათ დათხოვნას წინ უძღოდა; ისინი დასძენდნენ, რომ დივიზიონში სანიმუშო წესრიგი იყო როგორც ბრძოლის ველზე, ასევე მშვიდობიანობის პერიოდში.

გვარდიის მთავარი შტაბი

ჩამოყალიბებული იყო გულითადი ურთიერთობა უფროს-უმცროსობას შორის, მაგრამ მათი ურთიერთობა ვერანაირად ვერ აეწყო გვარდიის მთავარ შტაბთან. ამის მიზეზი კი იყო შემდეგი: უკანასკნელნი ოფიცერთა საზოგადოებას სრულ უნდობლობას უცხადებდნენ, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ოფიცერთა დათხოვნის ან დადანაშაულების დროს დივიზიონის ოფიცრობას არაფერს ეკითხებოდნენ. ასევე მათ აზრს არ ითვალისწინებდნენ კადრების შერჩევის დროსაც, ხოლო მთელი პასუხისმგებლობა დივიზიონის მომზადებისა მაინც ოფიცერთა კისერზე იყო. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, მათი თქმით, ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან მძიმე იყო, მაგრამ მათ პატაკების მიტანის შემდეგ უფროსს სთხოვეს, შტაბისთვის მოეხსენებინა, რომ პოლიტიკური მომენტის სიმძიმიდან გამომდინარე, ოფიცერთა დათხოვნა მომხდარიყო არა ერთიანად, არამედ „ახალ აფიცერთა სამსახურში ჩარიცხვის თანაბარ“. ასევე, მათ განაცხადეს, რომ თუ დივიზიონს ფრონტზე გალაშქრება მოუწევდა, ისინი დაუფიქრებლად წავიდოდნენ საომრად და დარჩებოდნენ დივიზიონში იქამდე, ვიდრე მშვიდობიანობის დადგომის შემდეგ მათი ჩანაცვლება არ მოხდებოდა ახალი ოფიცრებით.

ჩვენ არ შეგვიძლია რამე ვთქვათ იმის შესახებ, გადასცა თუ არა ოფიცერმა შენგელიამ გვარდიის მთავარ შტაბს ოფიცერთა პატაკთან ერთად მათი ზეპირი თხოვნა, რადგანაც ამაზე გვარდიის დოკუმენტები არაფერს გვეუბნება. შტაბის გადაწყვეტილება კი ცნობილია და ქაქუცა ჩოლოყაშვილისთვის განსაკუთრებით აღმაშფოთებელი გახდა შტაბის თხოვნა მთავრობისადმი მათთვის სამხედრო სამსახურის საერთოდ აკრძალვის შესახებ: „ცხენოსან დივიზიონის აფიცრობა თავის დღეში არ დაეცემოდა ზნეობით ისე, რომ გაფიცვით ან სხვა რამე უმზგავსობით საფრთხეში ჩაეგდო მთავრობა, ეღალატა სამშობლოსთვის და მთელი ქვეყნის თვალში თავს ლაფი დაესხა. მაგრამ მთავარმა შტაბმა, სჩანს, სწორედ ასე შეხედა ჩვენგნით სამსახურიდან დათხოვნის სურვილის განცხადებას და ყურად არ იღო ჩვენი განცხადება დივიზიონის უფროსის მიერ მოხსენებული. გარდა ამისა, მთავარ შტაბს დაუდგენია, როგორც ჩვენ ეს გამოგვეცხადა, რომ მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რათა მთავრობას გვარდიიდან დათხოვნილ აფიცრებს ჯარში სამსახურიც აღუკრძალოს. ეს არის უმძიმესი სასჯელი, რომელიც უდრის სისხლის სამართლის კანონებით გათვალისწინებულ მოქალაქეობრივ უფლების აყრას და ასეთი სასჯელის გაჩენა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს“. ოფიცრები ითხოვდნენ, სამხედრო სასამართლოს გაესამართლებინა ისინი მთელი სისასტიკითა და სიმკაცრით, და თუ დამნაშავე გამოდგებოდნენ, მზად იყვნენ, კანონის მთელი სიმკაცრით დასჯილიყვნენ; გამართლების შემთხვევაში კი გაფანტულიყო ის ჩრდილი, რაც გვარდიის შტაბის დადგენილებამ მიაყენა ამ ოფიცერთა ღირსებას, რადგან მიაჩნდათ, რომ არანაირი ბრალი არ მიუძღოდათ სამშობლოსა და მთავრობის წინაშე.

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ 5 მაისს განიხილა გვარდიის ცხენოსან დივიზიონის ოფიცერთა შუამდგომლობა და გვარდიის მთავარი შტაბის წევრს, რუბენ აუშტროვს განმარტება მოსთხოვა. მას ახალი არაფერი უთქვამს და დასძინა, რომ შტაბმა გამოიტანა დასკვნა, რომ ოფიცრების თხოვნა კოლექტიური იყო და ეს მოხდა მძიმე სამხედრო პირობების დროს. რატომ დაისაჯნენ ოფიცრები სხვადასხვა წესით, აუშტროვს ამის შესახებ არაფერი უთქვამს. სამხედრო კომისიამ დაადგინა: „შუამდგომლობის ასლი გაეგზავნოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

ნოე ჟორდანია ოფიცრების საქმის დაუყოვნებლივ გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას ითხოვდა



ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი, ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი 1920 წელს

რუბენ აუშტროვი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი

ეთხოვოს ამ საკითხის შესახებ განმარტება. ამის შემდეგ იქნას კომისიის მსჯელობა“.

შტაბს 8 მაისისთვის უნდა გაეკეთებინა განმარტება იმ გარემოებებისა და მიზეზების შესახებ, რომლის გამოც ოფიცრები დაითხოვეს. მაგრამ შტაბს არანაირი განმარტება არ გაუკეთებია, ამიტომ 10 მაისს დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ თავიდან გაუგზავნა მოთხოვნა, რათა 11 მაისამდე გაეკეთებინათ განმარტება. მთავარმა შტაბმა, ოფიცრების განცხადებისა და ცხენოსანი დივიზიონის მეთაურის პატაკის საფუძველზე, კიდევ ერთხელ განიხილა ეს საქმე და სამხედრო კომისიას მისწერა, რომ აღნიშნულ საკითხზე საკუთარ დადგენილებას არავითარ შემთხვევაში არ შეცვლიდნენ. იმავდროულად დაიწყო გამოძიება, რასაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ითხოვდა როგორც მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, ასევე თვითონ ოფიცრებიც. 1-ელ ივლისს სამხედრო პროკურორმა თბილისის მეორე უბნის სამხედრო გამომძიებელ თარხნიშვილს გადაუგზავნა ცხენოსან დივიზიონის ოფიცერთა საქმე. ამ უკანასკნელმა 3 ივლისს, გვარდიის შტაბის 6 აპრილის დადგენილებაში ნანახი ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ ოფიცერთა ქმედებაში შეიძლება აღმოჩენილიყო ბოროტმოქმედების ნიშნები და საქმე მიიღო წარმოებაში წინასწარი გამოძიებისთვის.

როგორ წარიმართა გამოძიება, უცნობია. სავარაუდოდ, საქმეს მსვლელობა აღარ მისცემია. გვარდიის მთავარმა შტაბმა კი მალევე ოფიცერთა საქმეზე საკუთარი დადგენილება შეცვალა. 1920 წლის 31 აგვისტოს მთავარი შტაბის სხდომაზე ვალიკო ჯუღელმა განაცხადა, რომ დივიზიონიდან დათხოვნილ ოფიცერთაგან იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ისეთი დანაშაული არ ჩაუდენიათ, რომ სამუდამოდ დაეთხოვათ სამხედრო სამსახურიდან. მისი აზრით, ისინი საკმაოდ დაისაჯნენ როგორც ზნეობრივად, ისე მატერიალურადაც, ამიტომ მიზანშეწონილი და ზნეობრივად მისაღები იქნებოდა, პერსონალურად განეხილათ ოფიცერთა საქმეები და თუ შესაძლებელი იქნებოდა, ზოგიერთი მათგანი სასჯელიდან გაეთავისუფლებინათ.

დივიზიონის მეთაურმა გიორგი ხიმშიაშვილმა შტაბის წევრებს უთხრა, რომ ოფიცრების ქმედება დაუკვირვებლობისა და გატაცების შედეგი იყო. ამიტომ ითხოვდა,

ქართველი კავალერისტები ნაციონალურ სამოსში

რათა ყველა დათხოვნილი ოფიცერი „შეწყნარებული“ და „ნაპატიები“ ყოფილიყო. ხიმშიაშვილს შეეწინააღმდეგა გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ი. ხარაში და მოითხოვა, რომ ყველა ოფიცერზე შტაბს პერსონალურად ემსჯელა. საბოლოოდ დაადგინეს: „წინააღმდეგ თავისი დადგენილებისა №132 მთავარი შტაბი ადგენს: ა) ყველა ის ოფიცრები, რომლებზედაც მთავარი შტაბის მიერ დადებული იყო დისციპლინარული სასჯელი, განთავისუფლებულ იქნენ ამ სასჯელისაგან. ბ) მთავარი შტაბი წინააღმდეგი არ არის მამულაიშვილის სამხედრო უწყებაში შესვლისა. რაც შეეხება დანარჩენ დათხოვნილ ოფიცრებს, შტაბი იქონიებს მსჯელობას მათ შესახებ პერსონალურად, თუ ისინი შემოიტანენ სათანადო განცხადებას“.

რას აკეთებდა ქაქუცა გვარდიიდან წასვლისა თუ გარიცხვის შემდეგ? ქაქუცა ბათუმის ოლქის იმჟამინდელ გენერალ-გუბერნატორ ბენია ჩხიკვიშვილს მიუწვევია აჭარაში განსაკუთრებულ მინდობილობათა ოფიცრის თანამდებობაზე. მას ქაქუცასთვის უთქვამს: „აჭარაში უდიდესი გავლენა ბეგებსა აქვთ. ჩვენ მათთან გვიხდება საქმის დაჭერა. ბეგები სოციალისტებს არ ენდობიან. მათი ნდობის მოსაპოვებლად საჭიროა დავანახვოთ, რომ მთელი საქართველო გაერთიანებული არის. შენ დიდი გვარის კაცი ხარ და, ამ მხრივ, დიდ სამსახურს გაგვიწევ. ეროვნული და სახელმწიფო ინტერესები ამას მოითხოვენ“. ქაქუცაც დათანხმებულა, მაგრამ ბათუმიდან ცხენოსან ლეგიონში დაბრუნება უთხოვია (ცხენოსანი ლეგიონი იყო რეგულარული არმიის შემადგენლობაში). თხოვნა სამხედრო სამინისტროში გადაუგზავნიათ და ლეგიონის ოფიცრები ელოდნენ ქაქუცას დანიშვნას. ამ დროს კი საქართველოში საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალები შემოიჭრნენ. ჩოლოყაშვილი დასავლეთ საქართველოში გააგზავნეს ახალი ცხენოსანი ნაწილების ჩამოსაყალიბებლად, ომის ბოლო პერიოდისთვის მოესწრო ორი ესკადრონის შექმნა, რომელთაგანაც ერთ-ერთს ქაქუცა ჩაუდგა სათავეში, თუმცა ამ დროისთვის ომის ბედი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილი იყო.

დიმიტრი სილაძაძე

თსუ ისტორიის დოქტორანტი

ალექსანდრე დიუმა

„კავკასის“ ერთ-ერთი პირველი ფრანგული გამოცემა



დიდი მწერლის თვალით დანახული საქართველო

ალექსანდრე დიუმა – „კავკასია“

როგორ აპირებდა ალექსანდრე დიუმა საქართველოში ხელმეორედ ჩამოსვლით მილიონერად გახდომას...
როგორ გაიხადა ქართველმა თავადმა შარვალი ფრანგი მწერლისთვის...
როგორ „მეთვალყურეობდნენ“ დიდ მწერალს რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის ჟანდარმები...
რატომ ვერ შეხვდა მოგზაური შამილს...
როგორ უვლიდა თავის ხუჭუჭ თმას ფრანგი მწერალი, რომლის დიდი ბებია შავკანიანი ყოფილა...
ამ და უამრავ საინტერესო კითხვაზე პასუხს იპოვით წიგნში, რომელიც საუკუნე-ნახევრის წინ დაწერა დიდმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ.

წიგნს „კავკასია“ ჰქვია და იგი ალექსანდრე დიუმას მოგზაურობას ასახავს. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძეს უთარგმნია გასული საუკუნის 60-იან წლებში. შესავალი წერილი, რედაქცია და შენიშვნები მწერალ აკაკი გაწერელიას ეკუთვნის. მას დიდი შრომა გაუწევია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი მწერალი საკმარისად მომზადებული ჩამოსულა კავკასიაში (იმ დროს არსებულ თითქმის ყველა ლიტერატურულ თუ ისტორიულ მასალას გასცნობია), თავი მაინც ვერ დაუღწევია უზუსტობებისა და ლაფსუსებისთვის. ამიტომ წიგნში „გაპარულ“ ავტორისეულ შეცდომებსა და ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის დაზუსტებას სწორედ თარგმანზე დართულ შენიშვნებში ვეცნობით. მათი წყალობით მკითხველს არ დასჭირდება ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში ამა თუ იმ ისტორიული პერსონის, მოვლენისა თუ ფაქტის მოძიება.

TIME

მე-20 საუკუნე

გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ერთად, თვეში ორჯერ

მსოფლიო ბესტსელერი!

შეაგროვე 16 წიგნად

ლეგენდარული ჟურნალის მიერ „ცხელ კვალზე" მოპოვებული მასალები დოკუმენტური ფაქტები, რეალური მოვლენები

და შეეხე ეპოქას!

8-დან 15 სექტემბრამდე

წიგნის ფასი: **7 ₾**

გაზეთთან ერთად: **8 ₾**

წიგნი მეცამეტე
აფრიკა – მივიწყებული კონტინენტი

შემდეგი წიგნი
მეცნიერების საუკუნე

ფაქტები • პლაკატები • კარიკატურები • კინემატოგრაფია
ინტერვიუები ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებთან

ალექსანდრე დიუმა საკუთარ ბიბლიოთეკაში „სამ მუშკეტერზე“ მუშაობისას

„სამი მუშკეტერის“ ორიგინალური გამოცემა



* * *

საქართველოში ალექსანდრე დიუმა 1858 წლის დამლევს ჩამოსულა. მსოფლიოში სახელგანთქმულ ფრანგ მწერალს დაწერილი ჰქონდა თავისი თითქმის ყველა დიდი ნაწარმოები. მრავალ ქვეყანაში უკვე ეთარგმნათ „სამი მუშკეტერი“, „ოცი წლის შემდეგ“, „დედოფალი მარგო“... საქართველოში კი... თუმცა უძველესია 1858 წლის „ცისკარში“ (დეკემბერი, №12) დაბეჭდილ ქრონიკას გავეცნოთ: „სხუა და სხუა ანბავი — დეკემბერს პირველითგან ამაწლისა. ქალაქ ტფილისში იმყოფება ფრანციის უწარჩინებულესი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელნიცა იყო ამ ახლო ხანში ჩუენის ცისკრის ტიპოგრაფიაში, სადაცა გასინჯა ყოველი კუთვნილება რედაკციისა. მთელს ხმელეთზედ გამოჩენილი მწერალი ესე მოგზაურობს. ვისაც წაუკითხავს „გრაფი მონტე კრისტო“, ის უეჭველია კარგათ იცნობს ამ მწერალს და ვისაც არ წაუკითხავს, ვეცდებით მომავალს წელს წავაკითხოთ, რადგანაც კიდევა გვაქვს რედაქციაში გადმოთარგმნილი“.

კოლხეთის შესახებ საუბრისას ალექსანდრე დიუმა ბერძენი ისტორიკოსსა და გეოგრაფოსს, სტრაბონსაც იხსენიებს და წერს, „სტრაბონი დაბეჯითებით ლაპარაკობს კოლხეთის ოქროს საბადოებზე. ამ საბადოებიდან წვიმებისგან ღელეებში ჩარეცხილი ოქრო ძვირფასი ქვიშით ამდიდრებდა კოლხებს. სუანები ანუ დღევანდელი მეგრელები მათ კრეფდნენ ცხვრის ბალნიანი ტყავის შემწეობით, რომელიც ბრჭყვიალა ქვიშას აკავებდა. აქედან წარმოსდგება ლეგენდა ოქროს საწმისის შესახებ“. ალბათ ყურადღება მიაქციეთ მწერლის შეცდომას, როცა იგი წერს „სუანების, ანუ დღევანდელი მეგრელების“ შესახებ. როგორც ჩანს, მას სვანები და მეგრელები ერთი და იგივე ხალხი ჰგონია. ზემოხსენებულ შენიშვნებში ეს შეცდომაც განმარტებულია.

„ოქრომრავალი კოლხეთის“ არსებობას დიუმა წიგნში კიდევ ერთი დეტალითაც ადასტურებს: „ოსეთში, ნუზალის ეკლესიაში დღესაც შენახულია წარწერა ქართულ ენაზე, რომელიც გვაუწყებს, რომ კოლხეთში ოდესღაც იმდენივე კეთილშობილი ლითონი ყოფილა, რამდენიც დღეს მტვერია“.

ნაწარმოებში ბევრი არაფერია თქმული იმის შესახებ, იცნობდნენ თუ არა ქართველი მასპინძლები ფრანგი მწერლის მსოფლიოში

უკვე პოპულარულ რომანებს, მაგრამ ბუნებრივია, ეს ხელს არ უშლიდა ქართველებს, განუმეორებელი სტუმართმოყვარეობა გამოეჩნიათ, როგორაც ამას დიუმა წერს.

პირველ ყოვლისა, დასაფასებელია დიუმას ინტერესი კავკასიისა და საქართველოსადმი, მისი უძველესი წარსულისადმი. მწერალი „მომზადებული“ ჩამოსულა სამოგზაუროდ, თითქმის ყველაფერი წაუკითხავს და შეუსწავლია, მოყოლებული ანტიკური ხანის მწერლებიდან. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკასაც“ იცნობს და თავისი ეპოქის ევროპელ მწერალთა და ისტორიკოსთა ნაშრომებსაც. მისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია ქართველი მეფეების — ფარნაოზის, მირიანის, ბაკურის, დავით აღმაშენებლის, თამარის, თეიმურაზ I-ისა და ვახტანგ VI-ის ღვაწლი და დამსახურება. მაგრამ რამდენადაც მწერალი საკუთრივ საფრანგეთის ისტორიასაც კი თავისი შეხედულებისამებრ „ამკობდა“, ბუნებრივია, არც საქართველოს წარსულის აღწერისას შეიძლება ვენდოთ ბოლომდე. მართლაც, ფანტასტიკური თავგადასავლების მოყვარულმა მწერალმა ჩვეულებას ვერც ამჯერად უღალატა.

თუმცა კი არ შეიძლება არ დავუჯეროთ, როცა რუსეთის ცარიზმის ტყვეობაში მყოფი ხალხის დიდი ნაწილის დაბეჩავებაზე წერს. მწერლის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ქართველ თავად-აზნაურთა ერთი ნაწილის დახეული სამოსი, წარმოუდგენელი სიღატაკე სამეგრელოში...

მწერალი საქართველოთი მოიხიბლა. აი, როგორ ახასიათებს იგი ქართველებს: „ევროპაში წარმოდგენაც არა აქვთ კოლხეთის ხალხის სილამაზეზე. განსაკუთრებით ლამაზი ტანადობა და სიარული აქვთ მამაკაცებს. სულ უბრალო მსახურსაც კი თავადიშვილის იერი აქვს“; „მეგრელი ქალები, მეტადრე ქერა შავთვალა და შავგვრემანი ცისფერთვალება ქალები, ულამაზესი არსებანი არიან დედამიწის ზურგზე“.

ფრანგი მწერლის მახვილ თვალს არც ღვინის უზომო სმისადმი ქართველთა მიდრეკილება გამორჩენია, არც ქართული სიმღერები და ქართული კერძები...

მწერალი შთამბეჭდავად მოგვითხრობს რუს ოფიცრებზე, ლეკებზე, შაჰ-აბასის ქარვასლაზე, შამილსა და მის ცოლებზე, თამარ მეფის ციხეზე, თბილისზე, სპარსულ აბანოებზე, შამილის ტყვე ქართველ ქალებზე, არაერთგზის უბრუნდება თბილისს, არც ფაზისის შესართავები ავიწყდება და არც ფოთის პორტი...

ნაწარმოებში გამოვარჩევდით ფრანგი მწერლისა და 12 წლის ქართველი თავადიშვილის, თავად ივანე თარხნიშვილის ვაჟის (რომელსაც ასევე ივანე ერქვა) დამეგობრების ამბავს. ამ ამბავს მთელი ერთი თავი ეძღვნება და თარხნიშვილების ოჯახს მომდევნო თავებშიც მოიხსენიებს მწერალი. პატარა ივანე ფრანგულად ელაპარაკება მწერალს, ბოდიშს უხდის, რომ მისი რომანები ჯერ არ წაუკითხავს და ჰპირდება, თქვენი გაცნობის შემდეგ ყველა თქვენს ნაწარმოებს წავიკითხავო. მწერალი აღფრთოვანებულია ქართველი პატარა თავადიშვილის გამართული ფრანგულით, მისი თარჯიმნობით და იმ გულითადობით, რასაც ბიჭი უცხოელი სტუმრისადმი იჩენს.

მწერლის თოფები მოეწონა ქართველ თავადიშვილს. განსაკუთრებით ფრანგი მეიარაღის, დეკიმის საუცხოო თოფი, ოცი წელიწადი რომ გვერდიდან არ მოუშორებია მწერალს. ამ თოფით მიზანშიც ისვრიან სტუმარ-მასპინძლები და ალექსანდრე დიუმა პატარა ივანე თარხნიშვილს მიზანში სროლის საიდუმლოსაც გაანდობს.

ალექსანდრე დიუმა ჩოხით

ქართველები. XIX საუკუნის ჩანახატი

სადუელო გარნიტური, მეიარაღე ლუი-ფრანსუა დევიმი. პარიზი, 1855 წ.

პარიზის პანთეონი. შუაში ალექსანდრე დიუმას, მარცხნივ ვიქტორ ჰიუგოს, მარჯვნივ კი ემილ ზოლას საფლავები

როგორც ჩანს, მწერალმა ოცი წლის „მეგობარი“ თოფი ვერ გაიმეტა ქართველი თავადიშვილისთვის (რომლის მამისგანაც უამრავი საჩუქარი მიიღო), მაგრამ დაჰპირდა, სამი-ოთხი თვის შემდეგ პარიზიდან ჩემი თოფის მსგავს თოფს მიიღებთო.

„— გაცნობამდე ხომ მიყვარდით, მაგრამ რაც გაგიცანით, უფრო შემიყვარდით, — მითხრა პატარა ბიჭმა და ყელზე შემომეხვია.

საყვარელი ბავშვო, დანაპირებს აუცილებლად მიიღებ და დაე, მან შენ ბედნიერება მოგიტანოს!“ — ვკითხულობთ ნაწარმოებში.

დევიმის თოფი არა მხოლოდ პატარა ივანეს, არამედ იარაღის კარგად შემფასებელ არაერთ ქართველ თავადიშვილსა თუ ოფიცერს მოეწონა და ყიდვის სურვილი გამოთქვა. ამდენად, ბუნებრივი იყო ფრანგი მწერლის სიტყვები: „თუ კიდევ ოდესმე დავბრუნდები კავკასიაში საკუთარი პატარა გემით, რაც განზრახული მაქვს უახლოეს დროში, უსათუოდ თან ჩამოვიტან დევიმის თოფების დიდ ტვირთს და საფრანგეთში მილიონერი დავბრუნდები“.

სამწუხაროდ, ვერსად მოვიძიე ცნობები, როგორ წარიმართა ახალგაზრდა თავადიშვილის, ივანე თარხნიშვილის ცხოვრების გზა. წაიკითხა თუ არა მან ფრანგი მწერლის რომანები. არც ის ვიცით, შეუსრულა თუ არა დანაპირები დიდმა ფრანგმა კლასიკოსმა და გამოუგზავნა თუ არა დევიმის საუცხოო თოფი...

მაგრამ ვიცით, რომ ვერც ოცნება აისრულა მწერალმა — კავკასიაში პატარა გემით დაბრუნებას რომ აპირებდა.

ერთი რამ ცხადია, ალექსანდრე დიუმას „კავკასია“ ჩვეულებრივი მოგზაურის შთაბეჭდილებები როდია, იგი ისეთივე გატაცებით წასაკითხი „რომანია“, როგორიც „გრაფი მონტე კრისტო“ ან სულაც „სამი მუშკეტერი“.

P.S. „კავკასია“ დიდი ხნის წინ, სტუდენტობისას წავიკითხე. ამჯერად უბრალოდ თვალის გადავლებას ვაპირებდი. არ გამომივიდა, თავიდან ბოლომდე წამაკითხა თავი. დარწმუნებული ვარ, თქვენც ასე მოიქცევით, ვისაც უკვე დიდი ხნის წინ წაგიკითხავთ ეს არაჩვეულებრივი ნაწარმოები. ახალგაზრდა მკითხველს კი, მერწმუნეთ, საინტერესო შეხვედრა ელის ალექსანდრე დიუმა-მოგზაურთან.

ნოდარ ფოფიტაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

(ნაწილი II)

ბიჭვინთის ტაძარი. გუმბათის მოხატულობა

როგორ იწერება ისტორია სოხუმში

2013 წელს დაბეჭდილი სასკოლო „აფხაზეთის ისტორიის“ ავტორთა თვალთახედვით, ახ.წ. VI საუკუნიდან ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ფეოდალიზმის პერიოდი. შესაძლოა, გაუცნობიერებლად, ამას საქართველოს ისტორიის შესაბამისად წერენ, რადგანაც როგორც აქ უკავშირებენ ფეოდალიზმის თვალსაჩინო წამოწევას გაქრისტიანებას (IV საუკუნეში), თითქოს მსგავსადვე უნდა ყოფილიყო აფხაზეთშიც (VI საუკუნეში). ასე რომ, ამ რეგიონში ფეოდალური სოციალური სისტემა თითქოს 14 საუკუნეზე მეტხანს (1860-იანი წლების ბოლომდე) არსებობდა. აქედან გამომდინარე, ფეოდალიზმი აფხაზეთში ასე თუ ისე განვითარებული სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო.

მაგრამ სარეცენზიო წიგნში ვკითხულობთ: „იმ მომენტისთვის აფხაზეთს ეკავა შუალედური ადგილი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიულ თავისუფალ საზოგადოებებსა და საქართველოს ფეოდალურ სისტემას შორის. თუმცა თავისი საზოგადოებრივი წყობილების სულით იგი მჭიდროდაა დაკავშირებული უბიხურ-ჩერქეზულ სამყაროსთან“ (გვ. 231). თითქოს უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზთა საზოგადოებრივი წეს-წყობილებაც უფრო ჩრდილოკავკასიელთათვის დამახასიათებელ ე.წ. მთის ფეოდალიზმს (ზურაბ ანჩაბაძე, ალექსი რობაქიძე) უნდა დამსგავსებოდა.

უკვე აღვნიშნავდით, როგორ გაურბიან სახელმძღვანელოს ავტორები აფხაზეთის ისტორიაზე დანარჩენი საქართველოს ზემოქმედებას, მის მჭიდრო კავშირს საერთო-ქართულ ისტორიულ პროცესთან. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „ასეთი მავნე ტენდენცია — გამოთიშვა საქართველოს ფეოდალური კულტურის სამყაროდან უზომოდ გააღარიბებდა აფხაზი ხალხის ისტორიას: ეს იქნებოდა აფხაზი ხალხის ისტორიის გაძარცვა, ის-

ბიჭვინთის საეპისკოპოსოს საკათედრო ტაძარი (X ს.)

ბიჭვინთის ტაძრის ფრესკები

ტორიული სინამდვილის შეუწყნარებელი დამახინჯება“.

მართლაც, ჯერ ბუნებრივი, გეოგრაფიული თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთი კავკასიიდან კავკასიონის მაღალი ქედით არის გამოყოფილი და მას მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით უკავშირდებოდა. დანარჩენ საქართველოსთან (სვანეთს გარდა) კი აფხაზეთი დაკავშირებული იყო დაბლობის საკმაოდ ფართო ზოლით (სამურ-ზაყანოთი). მეორეც, აფხაზეთი მთაგორიანი მხარე კი არის, თუმცა მისი ტერიტორიის ერთი მესამედი ბარია, რაც ინტენსიური მეურნეობის კარგ საფუძველს იძლევა (რკინის მეტალურგიის ფართოდ გავრცელების შემდგომ). ამ მხრივ აფხაზეთში უკეთესი ვითარება იყო სვანეთთან, ფშავ-ხევსურეთთან შედარებით და რაჭისა და ზემო იმერეთის ბუნებრივ პირობებს ემსგავსებოდა.

რაც შეეხება საერთო-ისტორიულ გარემოებებს, ამ მხრივაც აფხაზეთი ბევრად უფრო მჭიდროდ სწორედ დანარჩენ საქართველოსთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, მას მძლავრად უნდა განეცადა დანარჩენი ფეოდალური საქართველოს გავლენა და ეს მართლაც ასე გახლდათ.

ცნობილია, რომ აფხაზ საზოგადოებას სათავეში ედგა თავადაზნაურობა, რომლის რაოდენობაც 1869 წელს ოთხი ათასს შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ საბედისწერო მუჰაჯირობას აფხაზეთიდან, მაშინ ეს რაოდენობა, ცხადია, უფრო მეტი იქნებოდა.

იყო ერთი, გარდამავალი ფენაც, რომელიც დანარჩენი საქართველოს მსახურთა კატეგორიის ანალოგიური გახლდათ. თუ გლეხობის უმეტესი ნაწილი, სამი მეოთხედი, თავადაზნაურობისადმი შედარებით მსუბუქ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, დანარჩენ ერთ მეოთხედს უფრო მძიმე სოციალური უღელი ედგა.

სხვათა შორის, ასეთი სოციალური დამოკიდებულების შედარებით ადვილი ფორმის გამოც იყო, რომ ბატონყმობით დამძიმებული სამეგრელოს გლეხკაცობა სწორედ აფხაზეთში ეძებდა გამოსავალს, რაც ეთნიკურ პროცესებს თვალსაჩინო დაღს ასვამდა. ამის აღიარებას კი, ჩანს, დღევანდელი აფხაზი ისტორიკოსები, არქეოლოგოსები და მისთანანი ძალიან გაურბიან.

ეს სოციალური კატეგორიები გამოთიშუ-

ლი იყვნენ მატერიალური წარმოების სფეროდან, მათ ამოცანები იყო მმართველობა, სამხედრო საქმე და რელიგიური კულტი. რასაკვირველია, აფხაზთა საზოგადოების ამ ნაწილის შენახვა გლეხკაცობას უხდებოდა. ამდენად, გამაოგნებელია ავტორთა აზრი: აფხაზები „იყვნენ რა დაკავებული სოფლის მეურნეობით, აფხაზური(!) მიწიდან იღებდნენ იმდენს, რამდენიც აუცილებელი იყო საცხოვრებლად“ (გვ. 233). გამოდის, რომ ჭარბი პროდუქტის შექმნა აუცილებლობას არ წარმოადგენდა!

გასაგებია ისიც, თუ რატომ ვერ (თუ არ?!) აცნობიერებენ აფხაზი ისტორიკოსები და მისთ. ზემოთ დასახელებული გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის აზრს შუა საუკუნეების აფხაზეთში ეთნოსის მაღალი ფორმის — ერის განვითარების თაობაზე. მეცნიერის მიხედვით (ამის მტკიცებისას კი იგი გამოდიოდა ცნობილი ავსტრიელი მარქსისტის ოტო ბაუერის თვალსაზრისიდან) ერს მაშინ უწინარესად განასახიერებდა თავადაზნაურობა, მატარებელი მაღალი ფეოდალური კულტურისა.

ვიცით ისიც, რომ თანამედროვე აფხაზურ ინტელიგენციაში ბოგინობს შეხედულება აფხაზთა მორალურ-ეთიკურ კოდექსზე — აფსუარაზე. მაგრამ აქაური თავადაზნაურობა ხომ წილნაყარი გახლდათ საერთო ქართულ ფეოდალურ კოდექსთან, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქრისტიანულ ეთიკასთან.

ამის საპირისპიროდ, აფხაზ ისტორიკოსებს და მისთ. უჭირთ ილაპარაკონ და წერონ თუნდაც XI-XII საუკუნეების კულტურაზე აფხაზეთში, რაც, რასაკვირველია, ქართული იყო. რაკი სიტყვას მოჰყვა, მოვიტანთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს. 129-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული წარწერები ცნობილია X საუკუნის ბოლოდან (ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მიხედვით, IX-X საუკუნეებიდან). მაგრამ 152-ე გვერდის მიხედვით, უკვე საუბარია XI საუკუნეზე. აი, სადამდე მიდის სახელმძღვანელოს ავტორთა ძალით თვალის დაბრმავება. 153-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ბესლეთის თაღოვანი ხიდის არქიტექტურაში შეიმჩნევა ბიზანტიური ნიშან-თვისებები. როგორც ვხედავთ, ავტორებმა არ მოისურვეს, სათანადოდ მოეხსენიებინათ ქართული კულტურა. ამავე გვერდზე საუბარია მხოლოდ

ბედიის მონასტრის (X ს.) ეზოში

ასომთავრული წარწერა თამარის ხიდზე



„აღმოსავლურ-კავკასიურ არქიტექტურულ სკოლაზე“ და სხვ.

ყველა წიგნიერმა ქართველმა უწყის, როგორი თვალსაჩინო როლი შეასრულა აფხაზობამ საერთო ქართული „ოქროს ხანის“, ე.ი. XI-XII საუკუნეების დადგომაში. მაგრამ ამ თვალსაზრისით არანაკლები წვლილი შეიტანა ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფომაც“. ქართველ მეფეთა ტიტულატურის „აფხაზთაგან“ დაწყება განპირობებული იყო იმით, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III-ის (სხვათა შორის, აფხაზეთის ისტორიის თვალთახედვით იგი ბაგრატ II უნდა ყოფილიყო) ზეობა ჯერ აფხაზთა სამეფო ტახტის დაუფლებით დაიწყო.

ავტორები ასევე დიდ სიძუნწეს იჩენენ აფხაზების დანარჩენ ქართველობასთან თანაცხოვრების დროის განსაზღვრაში, თითქოს ეს სულ რაღაც ორი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა! მაგრამ ცნობილია, რომ აფხაზეთი საქართველოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა XIII, XIV, XV და XVI საუკუნეებშიც. აფხაზთა სამთავრო ოდიშისას გამოეყო 1615 წელს. შევნიშნავთ იმასაც, რომ ის შემდგომშიც ფორმალურად იმერეთის ვასალად მიიჩნევდა თავს.

წიგნის ავტორების ტრადიციული, საბჭოური, ე.წ. მარქსისტულ-ლენინური მენტალობა თავს იჩენს იმაშიც, რომ აფხაზეთში ახალი ისტორიის დაწყებას ისინი უკავშირებენ 1870 წელს, ე.ი. აქ ჩატარებული საგლეხო რეფორ-

სოხუმის ქუჩა

ქალაქი სოხუმი

მის ხანას. კარგია, რომ გვერდი არ აუარეს აფხაზთა მუჰაჯირობის მტკივნეულ თემას. ამ მოვლენამ მართლაც მძიმე დაღი დაასვა აფხაზობის შემდგომ ისტორიას. „შემოქმედი“ კი ამ დიდი ისტორიული ბოროტებისა რუსეთია (მეფისა თუ ცარისტულის ეპითეტების დამატება ვერაფერს ცვლის). სამწუხაროდ, თანამედროვე აფხაზთა საისტორიო მეხსიერებაში ამ გარემოებას ნაკლებად უწევენ ანგარიშს. სანაცვლოდ, ის დიდწილად ჩანაცვლებულია ქართველთა „ბოროტი“ საქმეებით აფხაზეთში. აფხაზთა საისტორიო მეხსიერებაში საერთოდ წაიშალა ის ფაქტი, რომ მეფის რუსეთი აფხაზების უპირველესი მტერი იყო, რომ მას სურდა აფხაზური ეთნოსის გადაშენება-ასიმილაცია (ჩერქეზების მსგავსად), რომ იგი ახორციელებდა მხარის კოლონიზაციას რუსებისა და უცხოტომელთა მეშვეობით, მთავარ „დამნაშავედ“ კი მიიჩნევა ქართველობა (განსაკუთრებით სამეგრელოს მოსახლეობა).

დიდი დაბრკოლებების მიუხედავად, ქართველობა ცდილობდა, ფეხი მძლავრად მოეკიდებინა აფხაზეთში. სულაც არ არის საქმე ისე, თითქოს აფხაზეთის მოსახლეობა მუჰაჯირობის დაწყებამდე და მის შემდგომაც, კერძოდ 1869 წელს, მთლად მონოეთნიკური იყო და 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, 58 963 აფხაზის გვერდით მხოლოდ 4 166 ქართველი (ძირითადად მეგრელები) ცხოვრობდა. ამაში დიდი ეჭვი შეიტანა მკვლევარმა სოლომონ


გაგრის სანაპირო

გალის რაიონი

ლეკიშვილმა. ცნობილი დემოგრაფის, ანზორ თოთაძის მტკიცებით, აფხაზი ისტორიკოსები ფაქტებს ამახინჯებენ იმით, რომ შესაბამის რიცხოვნობაში შეჰყავთ სამურზაყანოს 30 600 ქართველი. ისტორიკოსი კოტე ანთაძე თავის სპეციალურ ნაშრომში 1897 წლისთვის მიითვლიდა 39 600 აფხაზსა და 44 911 ქართველს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქართველობამ სათანადოდ აუბა მხარი ახალ კაპიტალისტურ ურთიერთობებს და დაცარიელებული მხარის ათვისებაც რუსებზე უკეთ მოახერხა.

როგორც თვითონ ავტორები აღნიშნავენ, 1905-1907 წლების რუსეთის პირველ რევოლუციაში აფხაზებს დიდად არ გამოუჩენიათ თავი. საბედნიეროდ, ეს განმეორდა 1917 წლის თებერვალ-მარტშიც. თუ რა მოხდა აქედან მოკიდებული სამი წლის განმავლობაში, ამ მხრივ სახელმძღვანელოს ავტორები კვლავ იმეორებენ ტიპურ საბჭოურ, ე.წ. მარქსისტულ-ლენინურ წარმოდგენებს ისტორიულ პროცესებზე.

„ისტორიის მატარებელმა“ კი კარგა ხანია ჩაიარა და სასტიკი განაჩენიც გამოუტანა ბოლშევიზმ-კომუნიზმს. ამგვარ პერსპექტივას 1917-1921 წლებში მხოლოდ გონიერ ადამიანთა ნაწილი ხედავდა, დღეს კი სიმართლე თითქოს ყველა თვალხილულთათვის უნდა იყოს ცხადი. საუბედუროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სწორ ისტორიულ არჩევანს ვერ ხედავენ წიგნის ავტორები, რომლებიც მას მხოლოდ მენშევიკურის ეპითეტით მოიხსენიებენ.

აფხაზმა ბოლშევიკებმა, გათამამებულმა რუსი და ქართველი „თანამოძმეების“ მიერ, „დემოკრატიამდე“ მისვლა საბჭოების (მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მისთ.) მეშვეობით მოინდომეს. იყო სხვაგვარი მცდელობაც, რომ აფხაზეთი ფედერაციად გაერთიანებულიყო ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, რაც აშკარად უტოპიური რამ გახლდათ. ეს ისტორიის მსვლელობამ გააცამტვერა ჯერ ე.წ. მოხალისეთა არმიის, შემდგომ კი რუსი ბოლშევიკების ძალისხმევით. გაიმარჯვა იდეამ აფხაზეთის ავტონომიისა საქართველოს შემადგენლობაში. თუმცა ავტორებს სერიოზულად ჰგონიათ, რომ აფხაზებმა 1921 წლიდან მოყოლებული ნამდვილ დამოუკიდებლობას მიაღწიეს, რა-

ენგურის ხიდი

კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი მიიღეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ადგა გზას, რომლითაც იგი აიცდენდა ბევრ ისტორიულ ხიფათს: კოლექტივიზაციას, 1937-1938 წლების დიდ ტერორს და სხვ. აფხაზ ბოლშევიკებს კი სხვა გზით სიარული ჰქონდათ დავალებული უფროსი პარტიული ამხანაგებისგან.

საქართველოში შემავალ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მრავალი ისტორიული უკეთურობა ხდებოდა. რუსების უმრავლესობა, საბჭოური (და ეს ასეა დღესაც) მენტალობიდან გამომდინარე, ყოველივე აღნიშნულს არა კომუნისტურ რეჟიმს, არამედ იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას სატანისტურ ძალისხმევას მიაწერს. და ამ შეხედულებას სეპარატისტები, რაღა თქმა უნდა, სრულად ეთანხმებიან.

რასაკვირველია, გასაგებია აფხაზთა წყენის საფუძველი: კერძოდ, აიკრძალა სწავლება აფხაზურ ენაზე, წარმოებდა არასწორი საკადრო პოლიტიკა, მიმდინარეობდა იძულებითი ჩასახლებები საქართველოს სხვა რეგიონებიდან, შეიცვალა რამდენიმე ტოპონიმი და სხვ. მაგრამ ეს ყოველივე საერთოდ ქართველი ხალხის, ერის, მისი ინტელიგენციის, მოსახლეობის ფართო ფენების ბრალი იყო? განა ესენიც არ იტანჯებოდნენ საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის გამოისობით?

აღნიშნულის გაგება არა და არ სურთ დღევანდელ აფხაზ იდეოლოგოსებს. მათი აზროვნება რუსული შოვინისტური, იმპერიალისტური ზრახვების ფარვატერში ვითარდება. მაგრამ ისტორია ამჯერადაც, ისევე როგორც 1917-21 თუ 1990-იან წლებში, სხვა გზისკენ მიანიშნებს. თუმცა მოლოდინი, რომ ამას დაინახავენ, ოლეგ ბღაჟბასა და სტანისლავ ლაკობას მსგავსი ავტორების ხელიდან გამოსული სახელმძღვანელოებით შეუძლებელია. მაგრამ აუცილებლად უნდა ვეცადოთ, ალტერნატიული, მეცნიერული აზრი მივაწოდოთ თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობას, რომელიც ადვილად მანიპულირებადი მსხვერპლი გამხდარა უსინდისო პოლიტიკანებისა და იდეოლოგებისა.

გურამ ყორანაშვილი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზურაბ ავალიშვილი

ნაწილი II

მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები

პეტერბურგში მოღვაწე ქართველები.
სხედან: ზურაბ ავალიშვილი (ცენტრში), ივანე ჯავახიშვილი (მარჯვნივ), ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (მარცხნივ). დგანან (მარცხნიდან): გიორგი ყაზახაშვილი და ივანე ნიჟარაძე

„ისტორიანი“ განაგრძობს პუბლიკაციათა ციკლს გამოჩენილი მეცნიერის, იურისტის, ისტორიკოსის, ლიტერატურათმცოდნისა და დიპლომატის, ზურაბ დავითის ძე ავალიშვილის (1875-1944) შესახებ.
ამჯერად წარმოგიდგენთ ამ დიდი პიროვნების მოწაფეობის, ასევე პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის პერიოდთან დაკავშირებულ რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც დღემდე ან ნაკლებად იყო ცნობილი, ანდა უცნობი რჩებოდა.
აქვე პირველად ვაქვეყნებთ პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ რამდენიმე დოკუმენტს, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ და შევისწავლეთ.

ზურაბ ავალიშვილის დაბადების თარიღი უკანასკნელ დრომდე არ იყო დადგენილი. კერძოდ, ენციკლოპედიურ გამოცემებში — „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, ენციკლოპედიებში „საქართველო“ და „თბილისი“ მითითებულია 1874 ანდა 1876 წელი, რაც არასწორია.

პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული ერთი დოკუმენტიდან ნათელი ხდება, რომ ზურაბ ავალიშვილი დაიბადა 1875 წლის 28 დეკემბერს, თბილისში.

1894 წელს ზურაბ ავალიშვილმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია.

ზემოხსენებულ არქივში დაცული ზურაბ ავალიშვილის სიმწიფის ატესტატიდან, რომელიც გაცემულია 1894 წლის 14 ივნისს, ირკვევა, რომ თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში მას მხოლოდ უმაღლესი შეფასებები (ფრიადები) დაუმსახურებია.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში გაცემულ რუსულენოვან დოკუმენტებში ზურაბ ავალიშვილი მოხსენიებულია, როგორც ავალოვი, რაც დამახასიათებელია იმ დროს არსებული რეალობისთვის. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მისი ჩარიცხვის თარიღიც დღემდე არ იყო დადგენილი. კერძოდ, ზოგიერთი მკვლევარი ასახელებს 1895 წელს, რაც არასწორია.

ამავე არქივში დაცული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1894 წლის 5 აგვისტოს ზურაბ ავალიშვილმა თხოვნით მიმართა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა კიდეც. 1898 წელს ზურაბ ავალიშვილმა ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა.

1899 წლის 20 თებერვალს პეტერბურგის ქალაქის თავის უწყებაში შემავალმა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის

დაცვის განყოფილების უფროსმა წერილობით აცნობა უნივერსიტეტის რექტორს, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულზე, თავად ზურაბ დავითის ძე ავალიშვილზე გასცა „კეთილსაიმედოობის ცნობა“, ვინაიდან თავის უწყებაში ხსენებულ პირზე არ გააჩნდა არავითარი მაკომპრომეტებელი ინფორმაცია პოლიტიკური თვალსაზრისით.

პეტერბურგში გატარებული წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალგაზრდა მეცნიერისთვის, რომელმაც წარჩინებული სწავლისთვის I ხარისხის დიპლომი მიიღო, ხოლო სანიმუშო სადიპლომო ნაშრომისთვის „საქართველოს შეერთება რუსეთთან“, ოქროს მედალი დაიმსახურა. ამის შემდეგ ზურაბ ავალიშვილი საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრაზე.

1906 წელს ზურაბ ავალიშვილმა, პროფესორ ნიკოლაი კორკუნოვის ხელმძღვანელობით, პეტერბურგის უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში ნაპოლეონის დროიდან — 1906 წლამდე“. მანამდე ის სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა პარიზში (1902-1904 წლებში).

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრაზე პრივატდოცენტი (შემდგომში პროფესორი) ზურაბ ავალიშვილი კითხულობდა სახელმწიფო სამართლის კურსს (1907-1908 და 1912-1913 წლებში). პარალელურად იგი მუშაობდა სანქტ-პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგედ (1909-1913 წლებში) და კითხულობდა ადმინისტრაციული სამართლის კურსს (1906-1913 წლებში). იმავდროულად, იყო რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულტის უფროსი თანაშემწე (1912-1917 წლებში), იურიდიული საზოგადოების წევრი და საზოგადოება „კახეთის რკინიგზის“ გამგეობის დირექტორი.

1917-1918 წლებში ზურაბ ავალიშვილი მუშაობდა პეტროგრადის გამომცემლობაში „ოგნი“, სადაც ხელმძღვანელობდა ჯგუფს „იზვესტია“. აღნიშნული ჯგუფი გამოსცემდა ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებს.

სანქტ-პეტერბურგში ყოფნისას ზურაბ ავალიშვილი თანამშრომლობდა სხვადასხვა იურიდიულ ჟურნალში. ამავე ქალაქში გამოიცა მისი ცნობილი ნაშრომები. 1917 წელს, რუსეთის დროებითმა მთავრობამ იგი პირველ სახელმწიფო დეპარტამენტში სენატორად დანიშნა.

1918 წლის გაზაფხულზე ზურაბ ავალიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა. იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. შეიმუშავა ეროვნული საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, რაც ითვალისწინებდა რუსეთის

პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტი. ფრაგმენტი XX საუკუნის დასაწყისის საფოსტო ბარათიდან

АТТЕСТАТЪ ЗРѢЛОСТИ.

Данъ сей Зурабу Авсалову православнаго вѣроисповѣданія изъ князей, сынъ Штабсъ-Капитана родившемуся въ гор. Тифлисѣ тысяча восемьсотъ семьдесятъ пятаго года декабря двадцать восьмого дня, обучавшемуся десять лѣтъ въ Тифлисской первой

Гимназіи и пробывшему одинъ годъ въ VIII классѣ, въ томъ,

Во *первыхъ*, что, на основаніи наблюденій за все время обученія его въ Тифлисской I-й гимназіи, поведеніе его вообще было отличное, исправность въ посѣщеніи и приготовленіи уроковъ, а также въ исполненіи письменныхъ работъ отличная, прилежаніе отличное и любознательность отличная

и во *вторыхъ*, что онъ обнаружилъ нижеслѣдующія познанія:

Предметы гимназическаго курса.	Отмѣтки выставленныя.	
	Въ педагогическомъ совѣтѣ, на основаніи § 75 правилъ объ испытаніяхъ учениковъ гимназій, утвержденныхъ Г. М. Н. П. 12 марта 1891 г.	На испытаніи, происходившемъ: 10, 13, 14, 16, 20, 25, 28 и 31 мая, 3, 4 и 8 іюня
Законъ Божій	5 (пять)	5 (пять)
Русскій яз. и словесность.	5 (пять)	5 (пять)
Логика	5 (пять)	
Латинскій языкъ	5 (пять)	5 (пять)
~~Греческій языкъ~~	~~5 (пять)~~	~~5 (пять)~~
Математика	5 (пять)	5 (пять)
Физика и матем. геогр.	5 (пять)	
Краткое естествовѣдѣніе.		
Исторія	5 (пять)	5 (пять)
Географія	5 (пять)	
Французскій языкъ	5 (пять)	5 (пять)
Нѣмецкій языкъ	5 (пять)	5 (пять)
Грузинскій языкъ		
Армянскій языкъ.		
Татарскій языкъ.		

На основаніи чего и выданъ ему сей аттестатъ зрѣлости, представляющій ему всѣ права, обозначенныя въ §§ 130—132 Высочайше утвержденнаго 30 Іюля 1871 года Устава гимназій и прогимназій. Г. Тифлисъ Іюня „14" дня 1894 года.

За отличные успѣхи и поведеніе Педагогическимъ Совѣтомъ удостоенъ золотой медали.

Директоръ гимназіи Л. Марковъ

Инспекторъ гимназіи К. Шуллеръ

Преподаватель русскаго языка и словесности Н. Чернышевъ

Законоуч. прот. Г. Ленц

Преподаватель исторіи и географіи

ზურაბ ავალიშვილის სიმწიფის ატესტატი. გაცემულია ტფილისის პირველი გიმნაზიის მიერ 1894 წლის 14 ივნისს (დედანი დაცულია პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში)

ახალი სახელმწიფოს შემოფარგვლას ახალი-ვე ქვეყნებით. მანვე დიდი ამაგი დასდო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესის დაჩქარებას. აქტიურად მონაწილეობდა ევროპის ქვეყნებში გაგზავნილი სამთავრობო დელეგაციების მუშაობასა და საქართველოს პირველი კონსტიტუციის შექმნაში.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს იმდროინდელმა მთავრობამ სათანადოდ მაინც ვერ გამოიყენა ზურაბ ავალიშვილის გამორჩეული ნიჭი, უნარი, გამოცდილება და საერთაშორისო ავტორიტეტი.

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოდ გვეჩვენება ქაიხსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი შეფიცულთა რაზმის ერთ-ერთი წევრის, შემდგომში ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის, ალექსანდრე სულხანიშვილის მოსაზრება: „საქართველოს მთავრობა უნდა შედგებოდეს უნარიანი, საქმის მცოდნე, წარჩინებული პირებისგან, მიუხედავად მათი პარტიული მიკერძოებისა და არა ისე, როგორც ჩვენი მთავრობა მოიქცა: მათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების გარდა, ახლო არავინ გააკარეს მთავრობას და საერთოდ, ადმინისტრაციას. მიუხედავად იმისა, რომ მრავლად გვყავდა მომზადებული და შესაფერისი ხალხი, ისინი სრულიად შეუფერებელ პირებს ნიშნავდნენ მთელ რიგ პასუხსაგებ თანამდებობაზე. სხვა რაღაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ყოფილი ექიმი გახდა სამხედრო მინისტრი, ხოლო რუსებთან ხელშეკრულების დასადებად გაგზავნილი იქნა სოფლის მასწავლებელი და ამასობაში თარჯიმნად ჰყავდათ, ისიც მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო კანონების მცოდნე, თითქმის ყველა საერთაშორისო ენაზე მოლაპარაკე, დიდი ქართველი პატრიოტი ზურაბ ავალიშვილი! ჩემი თვალსაზრისით, ასეთი საქციელი ნამდვილ ღალატს წარმოადგენდა სამშობლოს წინაშე ნებსით თუ უნებლიეთ!“.

ზურაბ ავალიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე აქ არ ვისაუბრებთ, ვინაიდან იგი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი.

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების (1921 წლის თებერვალი-მარტი) შემდეგ, ზურაბ ავალიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში. 1940 წლიდან მეცნიერი საცხოვრებლად გა-



Его Превосходительству
Г-ну ректору Императорского
С.Петербургского Университета
Князя Зураба Давидовича Авалова
Прошеніе.

Окончив в текущем году курс ученія в 1-й Тифлисской гимназіи и желая продолжать образованіе в вверенном Вашему университету имею честь просить Ваше Превосходительство о зачисленіи меня студентом на юридическій факультет университета. При семъ прилагаю всѣ требуемые Уставомъ Университета документы, за исключеніемъ свидѣтельства о приемѣ, которое я представлю позднѣе, когда оно будетъ выдано мнѣ в самомъ непродолжительномъ времени.

Кн. Зураб Авалов

ზურაბ ავალიშვილის თხოვნა პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ (1894 წლის 5 აგვისტო)

ქაიხსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი და ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილი პარიზი. 1928 წ.



СВИДѢТЕЛЬСТВО.

Предъявитель сего Зураб Давидовъ Авалов

православнаго вѣроисповѣданія,

сынъ крестьянъ

родившійся 22 Декабря 1870 года въ Тифлисской

по аттестату зрѣлости Тифлисской 1-й

гимназіи, принятъ былъ въ число студентовъ ИМПЕРАТОРСКАГО С.-Петербургскаго Университета въ Августе 1894 года и зачисленъ на Юридическій Факультетъ, на которомъ слушалъ курсы: по **Исторіи Римскаго права, Догмѣ Римскаго права, Исторіи Русскаго права, Государственному праву, Церковному праву, Полицейскому праву, Политической Экономіи, Статистикѣ, Гражданскому Праву и Судопроизводству, Торговому праву и Судопроизводству, Уголовному праву и Судопроизводству, Финансовому праву, Международному праву, Энциклопедіи права, Исторіи Философіи права**

участвовалъ въ установленныхъ учебнымъ планомъ практическихъ занятіяхъ, подвергался испытанію изъ **Богословія** и Не слушал язык а и не выполненіи всѣхъ условій, требуемыхъ правилами о зачетѣ полугодій, имѣетъ восемь зачтенныхъ полугодій.

Въ удостовѣреніе чего, на основаніи ст. 77 Общаго Устава ИМПЕРАТОРСКИХЪ Россійскихъ Университетовъ 23 Августа 1884 года, выдано Зураб Авалову это свидѣтельство отъ Юридическаго Факультета ИМПЕРАТОРСКАГО С.-Петербургскаго Университета за надлежащею подписью и съ приложеніемъ университетской печати, 13 Марта 1898 года, за № 520

Свидѣтельство это видомъ на жительство служить не можетъ.

Деканъ Юридическаго Факультета Императорскаго С.-Петербургскаго университета

Секретарь Юридическаго Факультета

Секретарь Совѣта

Одинаковый всему свидѣтельству Кн. Зураб Давидовичъ Авалов

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანატის მიერ გაცემული ცნობა ზურაბ ავალიშვილის მიერ მოსმენილი სალექციო კურსების შესახებ (1898 წლის 13 მარტი)

დავიდა გერმანიაში, სადაც თავდაპირველად მიუნხენში დამკვიდრდა.

სწორედ ზურაბ ავალიშვილის აქტიური დახმარებით მოახერხა მისმა ახლო მეგობარმა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომ საფრანგეთში დაცული საქართველოს ისტორიული საგანძური ეხსნა ამ ქვეყანაში შეჭრილი გერმანელი ოკუპანტების ხელყოფისგან.

საგანგებოდ შექმნილ კომისიაში შეყვანილმა ზურაბ ავალიშვილმა თავისი მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი მაქსიმალურად გამოიყენა ქართული ეროვნული განძეულის გადასარჩენად და ამისთვის საკუთარი მოსალოდნელ საფრთხესაც კი არ შეუშინდა. მისეული დასკვნით, ამ საგანძურში დაცული სიძველენი არ განეკუთვნებოდა მსოფლიოს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობას და ისინი მხოლოდ ქართველი ერისათვის იყო ღირებული. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა, ზურაბი „არწმუნებდა გერმანელებს, ეს განძეული მარტო საქართველოსათვის არის ღირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისთვის არაფერი სახარბიელოაო“. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ განძის გადარჩენაში ასევე დიდი წვლილი შეიტანა არქიმანდრიტმა გრიგოლ ფერაძემ, რომელიც შემდგომ წმინდანად შერაცხეს.

გერმანიაში მოღვაწეობის პერიოდში ზურაბ ავალიშვილი თანამშრომლობდა „ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტთან“. მას ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფიზიკოსი და პოლიტოლოგი ალექსანდრე ნიკურაძე, რომელსაც იმდროინდელ გერმანიაში მყოფ რამდენიმე გავლენიან ქართველ მოღვაწეს შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკავა.

ზურაბ ავალიშვილს ცოლად ჰყავდა ნორვეგიელი მაია ფოგტი. მაიას ახლო ნათესავი (მამის ბიძაშვილი) იყო ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი ლინგვისტი და ქართველოლოგი, პროფესორი ჰანს ფოგტი. ზურაბსა და მაიას შვილები არ შესძენიათ.

სპირიდონ კედიას მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე-კედიასი თავის მემუარებში იხსენებდა, რომ ზურაბ ავალიშვილი და მისი მეუღლე მათი ოჯახის „ხშირი სტუმრები იყვნენ და ძალიან დაახლოებულნიც“.

ფენომენალური ნიჭისა და უნივერსალური განათლების მქონე ზურაბ ავალიშვილის პიროვნული ხასიათის შესახებ საყურადღებო ცნობები შემოგვინახეს გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა და ჩვენი ემიგრაციის ცნობილმა წარმომადგენლებმა გრიგოლ რობაქიძემ, რევაზ გაბაშვილმა და შალვა მაღლაკელიძემ.

ქართული კაზმულსიტყვაობის დიდოსტატი გრიგოლ რობაქიძე 1918 წლის 21 მარტს, გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში ასე ლაკონიურად და მოხდენილად ახასიათებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა (42 წლის) ზურაბ ავალიშვილს: „ეს ცივი ინტელექტი, მძაფრი ირონიით ამახვილებული“.

1948 წლის 23 დეკემბერს კრებულში „ბედი ქართლისა“ გამოქვეყნებულ სტატიაში გრიგოლ რობაქიძე მიუთითებდა, რომ ზურაბი „დიდი მცოდნე იყო ლიტერატურისა და თანაც ღრმად გამგები“.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიუ-

ლი პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელი რევაზ გაბაშვილი იგონებდა: „პირადი ხასიათით, იქნება ზნეობითაც, ზურაბ ავალიშვილი ყოვლად აუტანელი პიროვნება იყო: ბევრსა სვამდა, ცოტა ზარმაციც იყო და დამცინავი კილო ჰქონდა ყველასადმი. მაგრამ რაც შეეხება ცოდნას, ნიჭს, წერის უნარს, პოლიტიკურ-დიპლომატიურ მსჯელობა-გათვალისწინებას, ბადალი არ ჰყავდა. ნამდვილი მეცნიერი-ენციკლოპედისტი იყო. არა მარტო ყოველმხრივ განსწავლულ-განვითარებული, არამედ ზედმიწევნითაც, დეტალებით გასაოცარი მეხსიერებისა, ნამდვილი მკვლევარი ანალიტიკოსი-სინტეზისტი...

ქართველ ისტორიკოსებში მე ყველაზე დიდი პატივისმცემელი ვარ ივანე ჯავახიშვილისა, მისი შრომისა და უფრო მეტად პატიოსან მძებნელისა სიმართლისა („არც თვითონ შესცდეს, არც სხვა შეაცდინოს“), მაგრამ... ივანე ჯავახიშვილი თუ ქრისტეს შეედრება თავისი გარეგნობით, ზნეობით, ხასიათით, სწავლებითაც, ზურაბ ავალიშვილი, ბევრად მასზე ნიჭიერ, ფართო შეხედულებათა და სინტეზის მომცემად მიმაჩნია, როგორც მეცნიერი... იქნება დაეწერა კიდეც... მთლიანი ისტორია საქართველოსი. დიდი არქივიც დარჩა (უკანასკნელ წლებში — ომამდე ბევრს მუშაობდა ბიბლიოთეკებში),


Секретно.

С.-Петербургскаго
Градоначальника

Отдѣленіе по охраненію общественной безопасности и порядка въ столицѣ.

20 Февраля 1899 г.

№ 2241

Господину Ректору Императорскаго С.-Петербургскаго Университета.

Вслѣдствіе просьбы окончившаго курсъ С.-Петербургскаго Университета князя Зураба Константинова Авалова о выдачѣ ему свидѣтельства о благонадежности на предметъ отправленія его при С.-Петербургскомъ Университетѣ, имѣю честь увѣдомить Ваше Превосходительство, что свѣдѣній, компрометирующихъ названное лицо въ политическомъ отношеніи, въ Управленіи моемъ не имѣется.

Генерала-Маіоръ

Начальникъ Отдѣленія,
Полковникъ

ჰეტერბურგის ქალაქის თავის უწყებაში შემავალი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსის სადუმლო წერილი საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორისადმი, კურსდამთავრებულ ზ. ავალოვის „კეთილსაიმედოობის“ შესახებ (1899 წლის 20 თებერვალი)

მარცხნიდან: გრიგოლ რობაქიძე, რაჟდენ რუსიშვილი და დიდი დაღესტნელი (ხუნძი) მხატვარი ჰალილ-ბეგ მუსაიასული (მიუნხენი, 1935 წელი)

ვერმახტის გენერალი შალვა მაღლაკელიძე

მაგრამ... როცა მთელი „კავკასიელები“ „გაყარეს“ ბერლინიდან, ზურაბი წავიდა თავის ძმასთან (ჩოხოსანი: უბრალო კაცი და არყის პატარა ქარხნის პატრონი სადღაც გერმანულ პროვინციაში) და... ვეღარაფერი გავიგეთ მისი... ჰყავდა ძმისწული ვაჟი“.

ზემოხსენებულ წერილში რევაზ გაბაშვილი არ უთითებს სახელს ზურაბ ავალიშვილის იმ ძმისას, რომელსაც გერმანიაში არყის ქარხანა ჰქონდა. ჩვენი ვარაუდით, იგი უნდა ყოფილიყო ზურაბის უფროსი ძმა — იოსებ (ოსინკა) ავალიშვილი (დაბადებული 1874 წელს), რომელიც სპეციალობით ინჟინერ-ქიმიკოსი იყო და ჰყავდა ქალ-ვაჟი — გიორგი და ნინო. აქვე დავძენთ, რომ ზურაბის უმცროს ძმას — მხატვარ გივი ავალიშვილს (დაბადებულს 1877 წელს), რომელიც სანქტ-პეტერბურგის ოპერის თეატრში მუშაობდა, შვილები არ დარჩენია.

ვერმახტის ქართველი გენერალი შალვა მაღლაკელიძე იგონებდა: „ზურაბ ავალიშვილს... არ სწამდა არც ერთი პარტია, სწამდა მხოლოდ კონიაკი. დიდად განათლებული კაცი იყო. კაფეში დაჯდებოდა, წაიკითხავდა, დაწერდა. გააკეთებდა ამას კონიაკის ქვეშ. იყო დიდი, მძიმე, კახელი კაცი, თავადიშვილი, დედა ჰყავდა ბარონესა“.

1944 წლის 21 მაისს, ზურაბ ავალიშვილი გერმანიის ქალაქ შვარცენფელდში გარდაიცვალა. იგი ბავარიის ქალაქ შვანდორფში დაკრძალეს.

იმავე წლის 3 ივლისს, ქართული ლეგიონის ბერლინში გამომავალ ყოველკვირეულ გაზეთში „საქართველო“ გამოქვეყნდა ბერლინის ქართული სათვისტომოს პირველი თავმჯდომარის, მწერლისა და პუბლიცისტის გრიგოლ დიასამიძის ნეკროლოგი, რომელშიც ვკითხულობთ: „დავკარგეთ ერთი უნიჭიერესი და უგანათლებულესი ქართველთაგანი. 21 მაისს ქალაქ შვანდორფში (ბავარია) გარდაიცვალა ჩვენი სწავლული ზურაბ ავალიშვილი. იგი მივლინებული იყო იქ, როგორც ერთ-ერთი

მარცხნიდან: ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის (გერმანია) ყოფილი დირექტორი ალექსანდრე ნიკურაძე („სანდერსი“) და მისი სიყრმის მეგობარი, ცნობილი ქიმიკოსი რაჟდენ რუსიშვილი (ჟენევა, 1947 წელი)

თანამშრომელი კონტინენტალური ევროპის გამომკვლევი ინსტიტუტისა, სადაც დიდ მუშაობას ეწევა პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე. სწორედ მის ხელზე გარდაიცვალა უეცრად ჩვენი ზურაბი, როცა ორივენი მხიარულად ბაასობდნენ...

ზურაბი შეუდარებელი იყო იქ, სადაც საკითხს სჭირდებოდა მეცნიერული გარკვევა. ასეთ დროს მას ბადალი და მეტოქე არა ჰყავდა... იყო გულმართალი, სასტიკი მსაჯული თავის თავისა. ის არ ჩაიდენდა არაფერს, რაც ზნეობასა და პატიოსნებას დაშორებული იყო. თუ ვისმე დაუმეგობრდებოდა, მტკიცედ ინახავდა მას. ჩვენებური „დღევანდელი მეგობრობა — ხვალინდელი მტრობა“ ვერ გაეგო, არა სწამდა. ამიტომაც, სამეგობროდ და სამეუღლეოდ არჩეული ნორვეგიული ოჯახის შვილის, მაია ფოგტის დაკარგვას ვერ გაუძლო და ბევრი ხანი არ გასულა, თვითონაც მას გაჰყვა. რამდენიც უნდა გვიმტკიცონ მკურნალებმა, სიცივეს, გაციებას ისე არ დაუუძლურებია ჩვენი ზურაბი, როგორც ფსიქიკურ ფაქტორს — მეგობარი-მეუღლის დაკარგვას. ქალბატონი მაია კეთილგუნებიანი ქალი იყო, ყოველმხრივ განათლებული, როგორც შეჰფერის ფრიტიოფ ნანსენისა და სტანისლავ პშიბიშევსკის მახლობელ პირს. მან შეუქმნა თავის ღირსეულ მეუღლეს მყუდრო ცხოვრება, სასიამო კერა... გაიბზარა კაჟიანი სხეული რაინდისა, რომელშიც გამოსჭვიოდა სამხრეთის, თანაც ჩრდილოეთის ბუნება“.

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული გაზეთი არ იუწყება, თუ რამ განაპირობა ზურაბ ავალიშვილის დაღუპვა. არადა, 69 წელს მიღწეული მეცნიერი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა. იგი მოკავშირეთა (ინგლისურ-ამერიკული) სამხედრო ავიაციის მიერ განხორციელებული ქალაქ შვარცენფელდის დაბომბვის ოპერაციის მსხვერპლი გახდა.

საფიქრებელია, რომ გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების კონტროლქვეშ, ბერლინში გამომავალმა ქართულმა გაზეთმა შეგნებულად აუარა გვერდი დიდი მეცნიერის დაღუპვის ნამდვილ მიზეზს.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას გვაწვდის ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც იგონებდა: „ნაცისტებს ბერლინში ზოგიერთი ქართველი მიმხრობოდა და ჰიტლერის თაყვანისმცემელი გამხდარიყო. ისინი დაუფიქრებლად დარწმუნებულნი იყვნენ, ჰიტლერი საქართველოს თავისუფლებას მიანიჭებსო... მათ დააჯერეს და გერმანიაში წაიყვანეს პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, რომელიც იქ უდროოდ დაიღუპა კიდევაც (ქალაქის დაბომბვისას) და მასთან ერთად დაგვეკარგა აუარებელი ისტორიული მასალა საქართველოს შესახებ, რომელიც ავალიშვილს ჰქონდა შეგროვილი. ჰიტლერისადმი ბრმად მიმხრობილი ქართველი ემიგრანტები აღარ ითვალისწინებდნენ, რომ ის კაციჭამია რუსეთის დამარცხების შემთხვევაში არც საქართველოს დააყრიდა კარგ დღეს. რატომღაც ეგონათ, მცირე ავტონომიას მოგვცემსო“.

ზურაბ ავალიშვილი

1993 წლის მაისში ზურაბ ავალიშვილის ცხედარი გერმანიიდან სამშობლოში გადმოასვენეს და იმავე თვის 25 რიცხვში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში დაკრძალეს.

ასეთია მოკლედ მრავალმხრივი ქართველი მოღვაწისა და მეცნიერის — ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიის ცნობილი, ნაკლებად ცნობილი და უცნობი დეტალები.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

მარტინ სკორსეზეს „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ (1988). იესოს როლში უილემ დეფო

იესო ქრისტე კინოეკრანზე

რამდენიმე წლის ხნის წინ აქტიურად მსჯელობდნენ დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიული ფილმის პროექტის შესახებ. როგორც კინორეჟისორს, ეს იდეა თავიდანვე განუხორციელებლად მიმაჩნდა და დღემდე ასე ვფიქრობ, რადგან ჩვენს პირობებში მსგავსი ფილმის გადაღება, თუ კარგი შედეგის მიღება გვინდა, კოპროდუქციის, უცხოელ კინემატოგრაფისტებთან თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია. ამასთან, მსგავს პროექტს დაახლოებით 150 მილიონი აშშ დოლარი მაინც დასჭირდება (თუ მეტი არა). საქართველოშიც არ მეგულება ადამიანი, რომელიც ასეთი სირთულის, დიდბიუჯეტიანი ბლოკბასტერის გადაღებას შეძლებს. საინტერესოა, რომ ჯერ არშემდგარი პროექტის თაობაზე ადამიანები გამოდიოდნენ და მთელი სერიოზულობით აცხადებდნენ, რომ დავით აღმაშენებლის ეკრანზე განსახიერებამდე, მსახიობი პატრიარქმა უნდა დალოცოსო. აქ კი უნებურად იესო ქრისტესა და სახარებაზე გადაღებული ფილმები გამახსენდა...

უილემ დეფო. მარცხნივ: „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“, მარჯვნივ: ოლივერ სტოუნის „ოცეული“ (1986)

იესო ქრისტესა და ბიბლიურ თემაზე მსოფლიო კინემატოგრაფში უამრავი ფილმია შექმნილი. ბევრმა მსახიობმა განასახიერა იესო, მათ შორის არის ამერიკელი უილემ დეფო. მის შესახებ დიდმა რეჟისორმა სერჯიო ლეონემ თქვა, რომ მას ფსიქოპატი მკვლელის სახე აქვს. ამას ხელი არ შეუშლია მეორე დიდი რეჟისორისთვის, მარტინ სკორსეზესთვის, სწორედ ეს მსახიობი ამოერჩია ქრისტეს როლისთვის ფილმში „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ (1988). ამ არჩევანისკენ მას უბიძგა დეფოს მიერ შესრულებულმა სერჟანტ ელისის როლმა („ოცეული“, რეჟისორი ოლივერ სტოუნი, 1986), განსაკუთრებით კი მისი სიკვდილის სცენამ. ჯვარცმულ ქრისტესავით ხელებგაშლილი უილემ დეფო ნამდვილ კინოხატად იქცა. „ქრისტეს უკანასკნელ ცდუნებაში“ მსახიობმა რომის პაპის დალოცვის გარეშე და უამრავი არამზადის, მკვლელისა და ბანდიტის როლის თამაშის შემდეგ, შეძლო ბრწყინვალედ განესახიერებინა მაცხოვარი დღემდე საკამათო ფილმში. სურათმა, რომელიც ეფუძნება ბერძენი მწერლის, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ავტორის, ნიკოს კაზანდაკისის ამავე სახელწოდების რომანს, ქრისტიანულ სამყაროში მძაფრი ვნებათაღელვა გამოიწვია: ზოგიერთ ქვეყანაში ფილმის ჩვენება აკრძალეს, დაარბიეს კინოთეატრები, სეანსიდან გამოსული მაყურებელი ერთმანეთს ცხვირ-პირს უმტვრევდა. საინტერესოა, რომ უმრავლესობას, რომელიც პროტესტს გამოთქვამდა, ფილმი საერთოდ არ ენახა. ასეთი „რეკლამა“ კინოსურათს წაადგა, უამრავი მაყურებელი მიიზიდა და მოგებამაც 400 მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა.

ყოველი მსახიობისთვის ქრისტეს როლი ერთ-ერთი ყველაზე რთულად სათამაშოა, რადგანაც ყოველ ქვეყანაში მაყურებელთა შორის ჩამოყალიბებულია ერთგვარი სტერეოტიპი, როგორ გამოიყურება იესო. მაყურებელი ეკრანზე საკუთარ წარმოსახვაში შექმნილ სახეს ელოდება. მსახიობ უილემ დეფოს თქმით, მას არასოდეს ხიბლავდა ჩვეულებრივი როლები (ამიტომაც წამოვიდა თავის დროზე მილუოკის „X“ თეატრიდან). მას უყვარს „როცა მის მიერ ნათამაშები როლები კითხვებს აჩენენ“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ორთოდოქს ქრისტიანებს ფილმის შემქმნელების მიმართ არა მარტო კითხვები, არამედ აგრესიაც გაუჩნდათ: ფილმში იესო ჩვეულებრივი, უნებისყოფო და გაუბედავი ადამიანია, რომელმაც შეიტყო,

პროტესტი „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნების“ წინააღმდეგ

რომ ღმერთიცაა. მას ვერ გადაუწყვეტია, რა არის მისი ხვედრი — ღვთაებრივი მოწოდება თუ უბრალო ადამიანის ცხოვრება...

სახარება არაერთხელ გადმოუტანიათ ეკრანზე (ჩვენში ყველაზე პოპულარული ფრანკო ძეფირელის „იესო ნაზარეველი“ იყო, მთავარ როლში რობერტ პაუელით). ბევრი ნიჭიერი შემოქმედი გაურბოდა სახარების დეტალურ ჩვენებას, ზოგიერთ დიდ რეჟისორს

ნიკოს კაზანდაკისი





კადრები ფრანკო ძეფირელის ფილმიდან „იესო ნაზარეველი“ (1977). ქრისტეს როლში — რობერტ პაუელი

კი საერთოდ არ გასჩენია სურვილი ბიბლიური თემების ეკრანიზაციისა, მაგრამ უამისოდაც მშვენივრად ახერხებდა ქრისტიანული იდეალების ჩვენებასა და დამკვიდრებას. თუ გადავხედავთ მსოფლიო კინოს ისტორიას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ არის უამრავი სხვადასხვა თემატიკის ფილმი, რომელიც ბიბლიურ სიუჟეტებს არ უკავშირდება, მაგრამ ღრმად რელიგიურია.

იესო ქრისტეზე ფილმების შექმნა კი კინოს ოფიციალური დაბადებიდან სამი წლის შემდეგ, ანუ 1898 წელს დაიწყო. კინოს მამები ლუი და ოგიუსტ ლუმიერები შანსს, იესო ქრისტე „ცოცხლად“ ეჩვენებინათ, ხელიდან ვერ გაუშვებდნენ — რკინიგზის სადგურში შემომავალი მატარებლის თუ ქარხნიდან გამოსული ადამიანების ეკრანზე ჩვენება მაყურებელში პირვანდელ მძაფრ ემოციებს აღარ იწვევდა. 1898 წელს ჟორჟ ჰატომ და ლუი ლუმიერმა გადაიღეს ფილმი „ცხოვრება და ვნებანი იესო ქრისტესი“, რომელიც 13 სცენისგან შედგებოდა და დაახლოებით 7-8 წუთის ხანგრძლივობისა იყო (ფირის სიგრძე — 250 მეტრი). ეს უფრო ცოცხალ სურათებს წააგავდა, ვიდრე სიუჟეტის მქონე ფილმს. ოპერატორებმა მხოლოდ თეატრალური სცენები გადაიღეს, რომელიც აბდაუბდად იყო ერთმანეთზე გადაბმული, ამიტომაც ამ ფილმმა ვერანაირი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ევროპელ მაყურებელზე. სამაგიეროდ, სურათით დაინტერესდნენ ამერიკელები, რომელთაც ფილმის ერთგვარი რიმეიკი შექმნეს. ფილმი 700 მეტრი იყო, თითქმის სამჯერ მეტი. რაც მთავარია, მას გამართული სიუჟეტი ჰქონდა და სურათმა, XIX საუკუნის ახალფეხადგმული კინომრეწველობის კვალობაზე, კარგი შემოსავალი მოიტანა. ამასთან, ფილმის პროდიუსერმა მოახერხა და თითოეული ასლი 580 დოლარად გაყიდა. ეს ფილმი ნახა „პროფესიონალმა პლაგიატორმა“, როგორც მას ფრანგი ისტორიკოსი, კინოს თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ჟორჟ სადული უწოდებს, ზიგმუნდ ლიუბინმა — მუნჯი კინოს ეპოქის რეჟისორმა და სურათის საკუთარი ვერსია მოამზადა. ფილადელფიაში ფილმის გადაღებისას ქარმა ბეთლემის დეკორაციის კალთა მაღლა ასწია და უკან ფონზე ექვსსართულიანი სახლები გამოჩნდა, საიდანაც ცნობისმოყვარე ადამიანები იჭყიტებოდნენ. ლიუბინმა ამ სცენის ხელახლა გადაღება

საჭიროდაც კი არ მიიჩნია და მაყურებელი ქრისტეს ვნებებს თანამედროვე ფილადელფიის ფონზე ადევნებდა თვალს.

1902-1905 წლებში ფრანგმა რეჟისორმა ფერდინანდ ზეკამ კომპანია Pathe-ში გადაიღო „ქრისტეს ვნებანის“ მთელი ციკლი, რომელიც სიუჟეტურად ერთმანეთს უკავშირდებოდა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ფილმი შავ-თეთრ ფირზე იყო გადაღებული, მაგრამ ყოველი კადრი (წამში კი 24 კადრია) ხელით იღებებოდა და ისე გადიოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკრანებზე.

ქრისტეს კანონიკური სახე კინემატოგრაფში ცნობილმა რეჟისორმა, ამერიკული კინოს ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, სესილ დემილმა დაამკვიდრა. 1927 წელს მან გადაიღო მუნჯი ფილმი „მეფეთმეფე“, სადაც მთავარი როლი ჰენრი უორნერმა შეასრულა. დემილმა მთავარი როლის შემსრულებლებთან კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმად, მათ ეკრძალებოდათ ხუთი წლის განმავლობაში სხვა ისეთ პროექტში მონაწილეობა, რომელიც მათ „წმინდა“ ეკრანულ იმიჯს შებღალავდა. გადაღებისას კი მათ არ უნდა ეთამაშათ აზარტული თამაშები, არ უნდა

ლუი და ოგიუსტ ლუმიერები

„მეფეთმეფე“ (1927). რეჟისორი სესილ დემილი

კადრები ნიკოლას რეის ფილმიდან „მეფეთმეფე“ (1961). იესო — ჯეფრი ჰანტერი

ევლოთ ღამის კლუბებში და სხვ. (ზუსტად ასევე, სკორსეზემ მედიის წარმომადგენლებს აუკრძალა შესვენებებზე გრიმწასმული უილემ დეფოს გადაღება, როცა ის სიგარეტს ეწეოდა). ფილმს დიდი წარმატება ჰქონდა.

სამი ათეული წლის შემდეგ, 1961 წელს ეკრანებზე გამოვიდა ამავე სახელწოდების სურათი (რეჟისორი ნიკოლას რეი), სადაც ქრისტეს როლს მივიწყებული მსახიობი ჯეფრი ჰანტერი თამაშობდა. ეს პირველი ჰოლივუდური ნაწარმოები გახლდათ, სადაც ქრისტე ალაპარაკდა. მანამდე, ფილმებში იესოს მონაწილეობა იგულისხმებოდა ან მას ზურგიდან აჩვენებდნენ, როგორც „ბენ ჰურში“ (რეჟისორი უილიამ უაილერი, 1959). კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ ახალგაზრდების კერპი ჰანტერი უფრო თანამედროვე გმირს წააგავდა და პარალელს ავლებდნენ ნიკოლას რეის სხვა ფილმთან — „უმიზეზო მეამბოხესთან“, ჯეიმს დინით მთავარ როლში, ოღონდ ქარაგმულად შენიშნავდნენ, ჰანტერის გმირს ამბოხის მიზეზი ჰქონდაო. ფილმის შემქმნელებს ჯვარცმის ეპიზოდის გადაღება მეორედ მოუხდათ, რადგან წინასწარი ჩვენების დროს მაყურებელთა უმრავლესობას არ მოეწონა, რომ ქრისტეს ანუ ჰანტერს თმიანი გულ-მკერდი ჰქონდა. გაქირავებაში ფილმი ჩავარდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ ოთხი წლის შემდეგ გადაეღოთ „ყველაზე ცნობილი ისტორია“ (რეჟისორი ჯორჯ სტივენსი), სადაც იესოს როლს მაქს ფონ ზიუდოვი ასრულებდა. ბრწყინვალე მსახიობებმა და რეჟისორმა ვერაფერი უშველეს ფილმს — 60-იან წლებში ყველაფერი იცვლებოდა და მაყურებელს უკვე ნაკლებად აინტერესებდა ეკრანზე ბიბლიური ისტორიების ხილვა...

ერთ-ერთ პირველ მხატვრულ ფილმში, უფრო სწორად, 30-წამიან კლიპში „შოტლანდიელების დედოფლის, მერის სიკვდილით დასჯა“ (1895) ნაჩვენები იყო თუ როგორ კვეთენ თავს დედოფალს, უფრო სწორად მანეკენს, მაგრამ იმდროინდელ მაყურებელზე ეს განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. სიკვდილით დასჯა ხომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ატრაქციონი იყო საუკუნეების განმავლობაში (მათ შორის „ცივილიზებულ და განათლებულ ევროპაში“) და მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში დღემდე რჩება. ასეთივე ეფექტი მოახდინა საუკუნის შემდეგ გამოსულმა მელ გიბსონის უაღრესად პოპულარულმა

ფილმმა „ქრისტეს ვნებანი“, სადაც აუდიტორია ლამის ორი საათის განმავლობაში თვალს ადევნებს ეკრანული ქრისტეს ნატურალისტურად დადგმულ წამება-ჯვარცმას.

მელ გიბსონი აცხადებდა, რომ იესოზე ფილმის გადაღების იდეა მას დიდი ხნის წინ მოუვიდა, ხოლო გადაღებას მძიმე სულიერი დეპრესიის დროს შეუდგა, რამაც მისი სიტყვებით, მძიმე ცოდვისგან — თვითმკვლელობისგან გადაარჩინა. ფილმში მსახიობები მხოლოდ ლათინურად და არამეულ ენებზე საუბრობენ. რეჟისორს სუბტიტრების გამოყენებაც კი არ სურდა, მაგრამ გამქირავებელთა დაჟინებული თხოვნის შემდეგ დათანხმდა. გადაღებისას ქრისტეს როლის შემსრულებელს ჯეიმს კეგიზელს (რომელიც სინჯებზე მისვლისას დარწმუნებული იყო, რომ ფილმს სერფერების შესახებ იღებდნენ) ორჯერ შემთხვევით ისე გადაუჭირეს მათრახი, რომ ხელის მტევანი დაუზიანდა, ერთხელ კი მას მეხი დაეცა, თუმცა არაფერი დაშავებია. ფიზიკური ტანჯვის განსახიერებისთვის მსახიობს თამაში არ დასჭირვებია: გრიმისგან, რომელსაც ყოველდღე შვიდი საათის განმავლობაში უკეთებდნენ, მთელი სხეული წყლულით დაეფარა და ვერ იძინებდა. ჯვარი, რომელიც გოლგოთაზე მიჰქონდა, არ ყოფილა ბუტაფორული, იგი 70 კილოგრამს იწონიდა. გადაღება ზამთარში მიმდინარეობდა და კეგიზელი ისე იყინებოდა (მას მხოლოდ ლომის ტყავი ემოსა), რომ იძულებული იყვნენ, მისთვის სახე გაეთბოთ, რათა ტუჩები ემოძრავებინა. ფილმი გამოსვლისთანავე სენსაციად იქცა. ყველა ბილეთი პრემიერამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდა. პრემიერის პირველივე დღეს კი ერთ 56 წლის ქალბატონს, როცა ჯვარცმის სცენას უყურებდა, გულის შეტევა მოუვიდა და საავადმყოფოში გარდაიცვალა. თვით ჯვარცმის სცენა იტალიის სამხრეთის ერთ ქალაქში იყო გადაღებული, სადაც 1964 წელს პიერ პაოლო პაზოლინი იღებდა „მათეს სახარებას“.

პაზოლინის ფილმი ბევრმა კინომცოდნემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა იესოს ცხოვრების მარქსისტულ-კათოლიკური მსოფლმხედველობის გამო, მას „კომუნისტურ მანიფესტსაც“ კი უწოდებდნენ, რაც გასაკვირი არ არის, რადგან რეჟისორი პაზოლინი კომუნისტი და ათეისტი იყო. მან იესო რევოლუციონერად აქცია, მისი ქადაგებანი — რევოლუციურ აგიტაციად, ხოლო ვინც

კადრები ჯორჯ სტევენსის ფილმიდან „ყველაზე ცნობილი ისტორია“ (1965). იესო — მაქს ფონ ზიუდოვი

მელ გიბსონის „ქრისტეს ვნებანი“ (2004). იესო — ჯეიმს კეზიელი



პიერ პაოლო პაზოლინის „მათეს სახარება“ (1964). იესო — ენრიკე ირაზოკი

მაცხოვრისა დაიჯერა — ხალხის მასებად, რომლებიც ბრძოლისთვის არიან მზად. მიუხედავად ყველაფრისა, ფილმი იტალიაში პოპულარობით სარგებლობდა, დღემდე ის ინტელექტუალების ერთ-ერთ საყვარელ ნაწარმოებად რჩება. ფილმი ბიბლიური ტექსტის ყველაზე ზუსტ ეკრანიზაციად მიიჩნევა, რაზეც რეჟისორმა თქვა, რომ „გამოსახულება ვერასოდეს მიაღწევს ტექსტის პოეტურ სიმაღლეებს“. იესოს როლი 19 წლის ესპანელმა სტუდენტმა ენრიკე ირაზოკიმ შეასრულა. ამბობენ, რომ პრემიერის შემდეგ ვატიკანმა მას პენსია დაუნიშნა, რათა აღარასოდეს ეთამაშა კინოში. არანაკლებ საინტერესო იყო ფილმის ეკლექტიკური საუნდტრეკი, სადაც ერთმანეთში იყო გადახლართული ბახი, მოცარტი, ბლუზი და ჯაზის ნიმუშებიც.

სიტყვამ მოიტანა და ჩემი აზრით, საუკეთესო საუნდტრეკი იყო 1973 წელს რეჟისორ ნორმან ჯუისონის მიერ გადაღებულ მიუზიკლში „იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავი“ (იმავე წელს ეკრანებზე გამოვიდა მიუზიკლი Godspell-ი (God — ღმერთი, gospel — სახარება) და ქანთრის ვარსკვლავის, ჯონი კეშის ორმაგი ალბომი Gospel Road: A Story of Jesus-ი). „სუპერვარსკვლავს“ საფუძვლად დაედო ენდრიუ ლოიდ უებერისა და ტიმ რაისის ბრწყინვალე მიუზიკლი, რომელშიც Deep Purple-ის ვოკალისტი იან გილანი მღეროდა. მიუზიკლის ჩანაწერები თავის დროზე თბილისშიც გავრცელდა და რატომღაც „ჰიპოპერას“ უწოდებდნენ (სიტყვიდან „ჰიპები“). ნორმან ჯუისონმა ამ სურათით დაამტკიცა, რომ ფილმის შექმნა ნებისმიერ თემაზეა შესაძლებელი, თუ ის ნიჭიერად დაიდგმება. თანამედროვე ამერიკაში რომ გადაეღოთ „იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავი“, ერთი რამ აუცილებლად შეიცვლებოდა: იუდას როლს არავითარ შემთხვევაში არ ათამაშებდნენ შავკანიანს. სამაგიეროდ, ეკრანებზე გამოჩნდა შავკანიანი იესო ქრისტე (Son of Man, რეჟისორი მარკ დორნფორდ-მეი, 2006), მაცხოვარი პოპულარული მულტსერიალ „სიმპსონებშიც“ გამოჩნდა, მეტიც, საშინელებათა ფილმ Zombie Jesus-ში (რეჟისორი სტივ მილერი, 2007) იესო უკვდავი ზომბია(!).

იესო ქრისტეს შესახებ ფილმების გადაღება ალბათ არასოდეს შეწყდება, სანამ იარსებებს ქრისტიანობა და სანამ იარსებებს კინო.

ირაკლი მახარაძე

ნორმან ჯუისონის მიუზიკლი „იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავი“ (1973). იესო — ტედ ნიილი



მარცხნივ: ენდრიუ ლოიდ უებერი და ტიმ რაისი. მარჯვნივ: ტედ ნიილი

კადრი მულტსერიალ „სიმპსონებიდან“

მარკ დორნფორდ-მეის ფილმის „ძე კაცისა“ (Son of Man, 2006) პოსტერი. მთავარ როლში ანდილ კოსი

„ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲖᲔᲘᲛᲘ

არტგენული „პეიზაჟი“. ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲓᲘᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲧᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ...

თბილისელებმა კი არა, ზაფხულობით დედაქალაქში ჩამოსულ ტურისტთა დიდმა ნაწილმა იცის უკვე, რომ ოვლისის მეორე ნახევარი ეთნოგრაფიულ მუზეუმში არტგენს ეთმობა. არტგენი რა არის, — ამას უკვე აღარავინ კითხულობს. თუმცა მაინც ვიტყვით, რომ ამ ფესტივალის მიზანია, დავიწყებას გადაარჩინოს არა მხოლოდ ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშები, არამედ ხალხური რეწვა, გამოყენებითი ხელოვნება და რაც მთავარია, განამტკიცოს ის სიყვარული, რომელიც სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს აკავშირებთ ერთმანეთთან, ერთმანეთის ხელოვნებასთან.

ᲖᲣᲛᲑᲐ — ᲖᲐᲖᲐ ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲘ *(როკმუსიკოსი, ფესტივალის ორგანიზატორი):* „ოვლისში ღია ცის ქვეშ მუზეუმში მთელი საქართველო იყრის თავს. უკვე მეთერთმეტე წელიწადია ვიმეორებ და არ მბეზრდება იმის თქმა, რომ არტგენი ქართული გენეტიკური ხელოვნების დღესასწაულია. ის მთელ წელიწადს გრძელდება მთლიანად საქართველოში და ბოლოს აქ იყრის თავს. ვერც წარმოიდგენთ, როგორ ემზადებიან არტგენზე ამოსასვლელად. მეფანდურე საუკეთესო ფანდურს არტგენისთვის ინახავს, მომღერალი ახალმიკვლეულ მელოდიას — დასკვნითი კონცერტისთვის ამზადებს, მქსოველი საუკეთესო ორნამენტს საარტგენო ნაკეთობაში აქსოვს... გვემატება ახალი ჯგუფები, ახალი სახელები. წლეულს ერთი „სიახლეც“ შევნიშნე: არტგენზე მიზანმიმართულად ამოდიან — მაგალითად,

სუხიშვილებს თავიანთი გულშემატკივრები ჰყავთ, ნიკა კოჩაროვსა და რობი კუხიანიძეს — თავიანთი, ასევე ნინო ქათამაძესა და „33ა“-ს, ჩემს ანსამბლსაც („ზუმბალენდი“) — თავისი მაყურებელი აკითხავს... ხალხმა არტგენით უკვე ახლებურად გაგვიცნო, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის“.

ნინო ქათამაძე *(მომღერალი, არტგენის მუდმივი მონაწილე):* „ეს ის დღესასწაულია, რომელიც ყველას ახსოვს. ყოველთვის ვცდილობ, ჩემი საგასტროლო განრიგი ისე დავგეგმო, რომ არტგენის დროს აუცილებლად აქ ვიყო. ვიცი, რომ ყოველთვის მელოდებიან და მეც ვცდილობ, ჩემს მაყურებელს იმედი არ გავუცრუო. ასე მგონია, აქ რომ არ ვიმღერო, იმ წელიწადს რაღაც აუცილებლად დამაკლდება. ის „რაღაც“ აქაური მაყურებლის სიყვარულია. რამდენიმე საათის განმავლობაში ფეხზე რომ დგანან, შენთან ერთად მღერიან და ცეკვავენ და მგონი ჩემზე უკეთ იციან ჩემი რეპერტუარი... მიყვარს არტგენი და მისი მაყურებელი, რომელსაც არასოდეს ვუღალატებ“.

მრავალფეროვანი იყო არტგენის თითოეული დღე ღია ცის ქვეშ მუზეუმში. ხალხური რეწვის ნიმუშების, ნახატების, მინანქრის ნაკეთობათა გამოფენა-გაყიდვას ფოლკლორული საღამოები ენაცვლებოდა, საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის საჩვენებელ ორკესტრს — ჯაზის საღამო, თამაზ ყურაშვილი და მეგობრები; მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და გურიის თვითშემოქმედ კოლექტივებს ჯგუფები „ჩვენებურები“, „რეგიონი“, „ფრანი“. ანსამბლები ლეჩხუმიდანაც ჩამოვიდნენ, კახეთიდანაც, სვანეთიდანაც, იმერეთიდანაც...

ერთი სიტყვით, მთელმა საქართველომ აქ მოიყარა თავი და თბილისელებსა და მის სტუმრებს კიდევ ერთხელ უმასპინძლეს.

ძველი ნაცნობი — მარო ბაბო!..

ხალხური რეწვის ნიმუშების თვალიერებისას გვერდი ვერ ავუარეთ ჩვენს ძველ ნაცნობს, არტგენის სახეს — მარო ბაბოს. მარიამ ზედგინიძე-ჟუჟუნაძე ახალციხიდან, სოფელ მუსხიდან ჩამოდის ყოველ წელიწადს. თავისი ხელით დაქსოვილი წინდები, ფარდაგები, ხალიჩები, ჯეჯიმი, ჯვალო, საჩოხე შალი ჩამოაქვს...

— 80 წლისა მოვიყარე და ახლაც ჩემი

ნინო ქათამაძე და ზაზა კორინთელი არტგენზე. ზაზა კორინთელის ფოტოარქივიდან

მეფანდურეები საუკეთესო ფანდურებს არტგენისთვის ინახავენ...

მყიდველის მოლოდინში

მარო ბაბო ისევ არტგენის სახეა

მარო ბაბო: — მე რო აღარ ვიქნები, მუსხიდან მაინც ჩამოვლენ ჩემი შვილიშვილები, ჩემი მოწაფეები... ამ საქმეს არ ეღალატება, შვილო...

ხელით ვშოულობ პურის ფულსაო, — გვითხრა, მერე თავისი შვილიშვილი გაგვაცნო, ჩემს საქმეს ეგ გააგრძელებსო და მატყლის დართვა განაგრძო. აქაც კი უსაქმოდ არ ჩერდება. მოწაფეები მამემატაო, უხარია და გვამხნევებს, მე რო აღარ ვიქნები, მუსხიდან მაინც ჩამოვლენ... არც ჩემს შვილობილ ზუმბას არ უღალატებენო... არც იმ საქმეს ეღალატება, შვილო, მე და ჩემი მოწაფეები რომ ვაკეთებთო, — გვითხრა გამომშვიდობებისას და ისევ თავის თითისტარს მიუბრუნდა.

ᲩᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ!

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი — ვკითხულობთ ერთ-ერთ სახელდახელო ექსპოზიციასთან. რას არ ნახავთ აქ — თექის ყელსახვევებს, ხელჩანთებს, ქამრებს, ყაბალახს, ნაბდებს, ქართული ორნამენტებით დამშვენებულ ნაირნაირ ტანისამოსს, ნაქარგებით მორთულ ქამრებს, სამაჯურებს, ქალამნებსა და მრავალგვარ ძველებურ ფეხსამოსს...

გამოფენაზე ფაფანაკიც კი შევნიშნეთ. ფაფანაკი ალბათ იცით, რაც არის, — ძველებური მომრგვალო, ბრტყელი თავსაბურავია, ჩვეულებრივ ნიკაპქვეშ ზონრით იმაგრებდნენ. თბილი და პრაქტიკული ჩანს, ოღონდ კარგა ხნის მივიწყებულია. მათრახების წნულებიც შევნიშნეთ, ოღონდ ახლა მათრახი და შოლტი აღარავის სჭირდებაო და ამ წნულებმა სამაჯურის ფორმა მიიღო. საკმაოდ ლამაზი დაწნული სამაჯურები (ტყავის ან შალის ძაფის) კი გამოსულა...

ანა მაისურაძე *(თექის პედაგოგი):* — ჩვენი სკოლა-პანსიონი მეხუთე წელიწადია, დეკანოზმა მირიანმა (სამხარაძე) დააარსა უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით. ქვეყანაში პირველი სახელობო და სახელოვნებო სასწავლებელია. 450 მოსწავლე და 80-მდე სტუდენტი გვყავს. სადღეღამისო პანსიონში კი ხელოვნების ნიჭის მქონე 130 მოზარდი ცხოვრობს. მათ შორის არიან არა მხოლოდ მართლმადიდებელი, არამედ მუსლიმი ქართველებიც ზემო აჭარიდან, ტაოკლარჯეთიდან, ჰერეთიდან, ასევე ქართველი ეკომიგრანტების შვილები. ჩვენი სკოლა-პანსიონის დევიზია „ჩავიცვათ ქართულად“, ანუ ძველქართული სამოსი გავაცოცხლოთ. აი, ნახეთ, ეს ფაფანაკი, ზამთარში მას მერწმუნეთ, ვერც ერთი თბილი შარფი ვერ შეედრება...

ქალბატონი ანა ფაფანაკს გვაწვდის. „მოდელი“ გვჭირდება, გავიფიქრე და იქვე მდგომ ერთ-ერთ გოგონას ვთხოვე, ფაფანაკი მოეხვია. ფოტო მშვენიერი გამოვიდა — მოდელიც არაჩვეულებრივი ვიპოვეთ. იგი 17 წლის ნუკრიანელი ქეთევან ბახტურიძეა, დედასთან

ერთად მონაწილეობს არტგენზე. დედა-შვილი თექაზე მუშაობს, საინტერესო ნამუშევრები აქვთ. არტგენზე არა მხოლოდ ჩვენს ნაკეთობებს გამოვფენთ, არამედ ბევრ რამესაც ვსწავლობთო, — მითხრა მანანა ბახტურიძემ. მე აქამდე არ ვქარგავდი, ახლა კი რამდენიმე დღეში ვისწავლე ქარგვა და გაისად რომ ჩამოვალ, უამრავ ნაქარგსაც ჩამოვიტანო...

* * *

სკოლა-პანსიონის მოსწავლეთა გამოფენის ალბომსაც შევავლეთ თვალი, სადაც დამთვალიერებლებს გულუხვად გაემეტებინათ საქებარი სიტყვები, რომელთაგან ერთერთს, პროფესორ ლევან ფრუიძის ჩანაწერს გთავაზობთ: „როგორც ეთნოგრაფს, თვალში მომხვდა სწორედ ეთნოგრაფიული ჩანახატები. ქართველთა განსახლება, კარ-მიდამო, შრამელ-ბურულები (სამეურნეო ნაგებობანი) ბავშვებს თავიანთ ნაკეთობებზე გადაუტანიათ. ყოველი მოსასხამი, სამკაული თუ ფეხსამოსი ხელოვნების ნიმუშია“.

ქვემოთ მოყვანილი ჩანაწერი კი არტგენიდან ჩვენი ორი წლის წინანდელი რეპორტაჟიდანაა. აი, რა გვითხრა მაშინ მარო ბაბომ, ჩვენმა დღევანდელმა მასპინძელმა:

„სოფელ მუსხიდან მოვედით, / ჩვენზე არა სთქვათ ავია, / მაშინ მოგიკვდეთ მუსხელნი / არ მოგაწონოთ თავია... მაინცდამაინც არ გვილხინს მუსხელებს, მაგრამ ბედს არ ვემდურით. რომ დავემდუროთ, რა გამოვა... ცოტა მეტი დახმარება და ხელის წამოშველება გვჭირდება და არც ჩვენ შევირცხვენთ თავს. ხო ამ ხნის ქალი ვარ, მზე ვერ მასწრებს ადგომას. ეთნოგრაფიული მუზეუმიც მაქვს სოფელში, ძველი შენობა დაგვენგრა და საბავშვო ბაღს შევეკედლეთ, ისიც დანგრევის პირასაა.

მერე რო იცოდე, რა ექსპონატები გვაქვს, სუ ჩვენი ძველების ნაკეთებ-ნაფერები, ახლებსაც ვუმატებთ. მარტო ტირიფისგან და თხილისგან ისეთ ჭურჭელსა „ქსოვენ“ ჩვენს სოფელში... იმ ყველაფერს ხო მოვლა და შენახვა უნდა“.

როგორც დავადგინეთ, მუსხაში არც ამ ბოლო წლებში მოუცლიათ ხალხური რეწვის შემორჩენილ ოსტატთა ხელშეწყობისთვის. თუმცა კი აქაურები იმედს არ კარგავენ და გაისადაც აპირებენ არტგენზე თავის გამოჩენას.

მომავალ არტგენამდე...

სალომე ჭოჭიტაშვილი

თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეთა ნაკეთობანი

„სახელდახელო“ მოდელი — ნუკრიანელი 17 წლის ქეთევან ბახტურიძე

„ზუმბალენდი“

კატალაუნის ბრძოლა (ილუსტრატორი ანგუს მაკბრაიდი)

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲝᲛᲘ ᲙᲐᲢᲐᲚᲐᲣᲜᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

„ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲘ" ᲰᲣᲜᲗᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲐᲢᲘᲚᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑ

კატალაუნის ველი, 451 წლის 20 ივნისი. რომაელი ლეგიონერები მჭიდრო რიგებად მაღლობზე არიან განლაგებული, მზეზე ბრწყინავს მათი იარაღ-საჭურველი, შტანდარტები, დროშები... მწყობრის უკან დიდ, შავ ცხენზე თმაშეკერცხლილი, მოოქრულსაჭურვლიანი მეომარი ამხედრებულა. გარშემო ლეგატები შემოხვევიან და ბრძანებას ელოდებიან. მან ჩორთით დაძრა ცხენი, ჯარისკაცთა რიგებს ჩამოუარა, მზადყოფნა შეუმოწმა, შემდეგ კი მოკლე სიტყვით მიმართა, რასაც ლეგიონერები მოწონების ყიჟინითა და შეძახილებით შეხვდნენ. მოშორებით მდგარ ვესტგოთებს თეოდორიხი და თორისმუნდი აგულიანებდნენ. ეს ველური მეომრები ფარებისა და იარაღის ჟღრიალით ცდილობდნენ მტრის დაშინებას.

ჰუნების ბელადმა ატილამ იცნო რომაელი მხედარი — ფლავიუს აეციუსი, რჩეული სარდალი. ყოფილი მძევალი ჰუნების მეფე რუგილასთან, ატილას მამის ძმასთან... „ღვთის მათრახმა" (ატილას მეტსახელი) თავის მრავალრიცხოვან არმიას მოავლო თვალი. ჰუნები, სკირები, ოსტგოთები, ჰერულები, ბასტარნები, ალემანები, თიურინგები, გეპიდები... მათ ოსტგოთების მეფე ვალამირი და გეპიდთა მეფე არდარიხი სარდლობდნენ. თითქმის მთელი ბარბაროსთა სამყარო მის რიგებში იდგა. დრო იყო, დასავლეთ რომის იმპერია საბოლოოდ გაენადგურებინა. ატილამ იერიშის ბრძანება გასცა, ბარბაროსთა ურდო მტრისკენ დაიძრა.

ხალხთა ომში მაშინდელი ევროპის თითქმის ყველა ხალხი დაუპირისპირდა ერთმანეთს. კატალაუნის ველზე ბრძოლა რომის იმპერიის ბოლო დიდი გაბრძოლება და უკანასკნელ რომაელად წოდებული აეციუსის გაბრწყინება იყო. იმ დროისთვის უკვე გამოვლინდა იმპერიის სისუსტეები — მოკავშირეთა გარეშე ომის წარმოების შეუძლებლობა, ეკონომიკური კრიზისი, უმწეო პოლიტიკა, უნიჭო იმპერატორთა მოქმედებები. ამას დაერთო მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობლის, ატილა მუნძუკის ძის შემოსევები. ჰუნთა ურდოები მისი მეთაურობით მთელ აღმოსავლეთ ევროპას, ბალკანეთს და შემდეგ დასავლეთ რომის იმპერიას დაესხნენ თავს. ატილამ დიდი სახელმწიფო ჩამოაყალიბა და აეციუსის არმიის განადგურებასაც გეგმავდა, რითაც მდგომარეობას განამტკიცებდა და რომსა და მის მოკავშირეებს ადვილად დაიპყრობდა. მაგრამ ფლავიუს აეციუსმა, მასზე არანაკლებმა სტრატეგმა და ტაქტიკოსმა კატალაუნის ბრძოლაში შეაჩერა ატილა და მისი დასავლური იერიშები ძალიან დაასუსტა. მიუხედავად ამისა, ერთი წლის შემდეგ ატილამ იტალიაში ილაშქრა, მაგრამ რომაელებმა მისი მოგერიება მოახერხეს. იმპერიის აღსასრული ახლოვდებოდა, თუმცა აეციუსმა მისი კიდევ რამდენიმე ათწლეულით გადავადება მოახერხა. მომდევნო თაობებმა მას უკანასკნელი რომაელი უწოდეს, ეპიგონი სციპიონის, მარიუსის, სულას, პომპეუსისა და კეისრისა.

მოწინააღმდეგეები. რომის იმპერია

რომის იმპერია ახ.წ. V საუკუნისთვის დაასუსტა ბარბაროსთა გაუთავებელმა შემოსევებმა, ხალხთა დიდმა გადასახლებამ, ქვეყნის შიდა კრიზისმა, სხვადასხვა პროვინციის სამხედრო მეთაურთა ბრძოლამ იმპერატორობისთვის. იმპერიის ძლიერებას ბოლო მოეღო. იმპერატორმა დიოკლეტიანემ (244-311 წწ.) III საუკუნეში ქვეყნის ორად გაყოფით სცადა უზარმაზარი იმპერიის მართვა, მაგრამ რომს არც ამან უშველა. კონსტანტინე დიდმა (272-337 წწ.) სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ კვლავ გაერთიანა სახელმწიფო, შემდეგ კი ქრისტიანობის თავისუფლება ცნო. 380 წელს იმპერატორმა თეოდოსიუს დიდმა (347-395 წწ.), ქვეყნის ახალმა გამაერთიანე-

ატილას 451 წლის კამპანია



პაველ შიმაკი. გვიანდელი იმპერიის პერიოდის რომაელი მესაზღვრე მეომრები

ბელმა, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. სიკვდილის შემდეგ კი ყველაფერი თავის ვაჟებს, არკადიუსსა და ჰონორიუსს გაუნაწილა. პირველს აღმოსავლეთი კონსტანტინოპოლით, მეორეს — დასავლეთი რომით. 410 წელს რომი ვესტგოთებმა აიღეს მეფე ალარიხის (370-410 წწ.) მეთაურობით. შემდეგ ბარბაროსებმა დასავლეთ რომის ტერიტორიაზე თავიანთი სამეფოებიც დააარსეს. განსაკუთრებით საშიში ვანდალები და ვესტგოთები იყვნენ, მათ შემდეგ კი ევროპაში მონღოლოიდ ჰუნთა ურდოები შემოიჭრნენ, ყველაზე მძლავრი მოწინააღმდეგეები. რომის იმპერიაში 425 წლის 23 ოქტომბერს ვალენტინიანე III გამეფდა (425-455 წწ.), სუსტი და უნიჭო მმართველი, ამიტომ იმპერიას დედამისი გალა პლაციდია მართავდა. რომს ძალიან ავიწროებდნენ ვესტგოთები, რომელთაც დაიკავეს აკვიტანია (რეგიონი დღევანდელი საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში ატლანტის ოკეანესთან, სამხრეთით ესაზღვრება ესპანეთს) და რომაელები აიძულეს, ამ მხარეში მათი ძალაუფლება ეცნოთ. ვანდალები, ალანები და სვებები შეიჭრნენ ესპანეთში, იქიდან კი აფრიკაში და გამოდევნეს რომაელი მმართველი ბონიფაციუსი (გარდ. 432 წ.). რომმა კონტროლი იმპერიის დიდ ნაწილზე დაკარგა. მისი გავლენა მხოლოდ იტალიის ჩრდილოეთით ვიწრო ზოლზე, გალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და იტალიაში მოქმედებდა. ამ დროს იმპერიას მოევლინა ფლავიუს აეციუსი, რომელმაც რომი იხსნა და მისი დაცემა რამდენიმე ათწლეულით გადაავადა.

ფლავიუს აეციუსი (გარდ. 454 წ.) — დასავლეთ რომის იმპერიის მხედართმთავარი და სამგზის კონსული (432, 437 და 446 წლებში). გოთი ისტორიკოსი იორდანე მასზე წერს: „სამხედრო საქმის შესანიშნავი მცოდნე, ის რომის იმპერიისთვის დაიბადა“. აეციუსი რომის კავალერიის სავარაუდოდ, გერმანული წარმოშობის მაგისტრის ვაჟი იყო, თავდაპირველად იმპერატორ ჰონორიუსის მცველთა შორის მსახურობდა. 408 წელს სტილიხონის (358-408) მოკვლის შემდეგ (იმპერიის ფაქტობრივი გამგებელი, წარმოშობით ვანდალი მხედართმთავარი) რომაელებს ვესტგოთებმა შეუტიეს ალარიხის მეთაურობით და აიძულეს, ხარკი და მძევლები გადაეცათ. აეციუსი ჯერ ვესტგოთებისთვის გადაცემულ მძევლებში მოხვდა, შემდეგ კი ჰუნებთან. ტყვეობაში 3 წელიწადი გაატარა. გალორომაელი ისტორიკოსი გრეგორი ტურელი „ფრანკთა ისტორიაში“ მას ასე მოიხსენიებს: „იგი საშუალო სიმაღლის იყო, ძლიერი აღნაგობის, ენერგიული, ძალ-ღონით სავსე, თავზე ხელაღებული მხედარი, დახელოვნებული მოისარი და შუბოსანი. ადვილად ახერხებდა მტრებთან მშვიდობის დამყარებას, რადგან ფლობდა დიპლომატიის ხელოვნებას. მასში არ იყო არც ერთი წვეთი სიხარბისა. იყო კეთილი და დიდსულოვანი. სიძნელეებს მამაცურად ხვდებოდა, იყო შრომისმოყვარე, არ ეშინოდა საფრთხის და ადვილად იტანდა შიმშილს, წყურვილსა და უძილობას“. აეციუსმა იმსახურა უზურპატორ ფლავიუს იოანეს (423-425 წწ.) კარზე, შემდეგ კი ვალენტინიანე III-ის მმართველობისას გალიის ჯარების სარდლად დაინიშნა. რამდენჯერმე დაამარცხა ფრანკები, ვესტგოთები, შემდეგ ბრძოლა მოუხდა დასავლეთ რომის იმპერიის არმიების მთავარსარდალ ფლავიუს ფელიქსთან (გარდ. 430 წ.). აეციუსმა გაიმარჯვა, შემდეგ კი მეორე გავლენიან რომაელ სარდალთან, ბონიფაციუსთან დამარცხდა და ჰუნებთან გაიქცა. ბო-

ნიფაციუსი აეციუსთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. აეციუსი ჰუნების დახმარებით კვლავ დაბრუნდა და იმპერიის მთავარსარდლის თანამდებობაც დაიკავა. ამის შემდეგ იგი განაგრძობდა ვანდალებთან, ბურგუნდებთან და სხვა ბარბაროსებთან ბრძოლას იმპერიის დასაცავად. 451 წელს მას ბრძოლა მოუწია ყველაზე მრისხანე მოწინააღმდეგესთან, ვისაც კი ოდესმე შეხვედრია — ჰუნთა მეფე ატილასთან. აეციუსმა გამოიყენა თავისი დიპლომატიური მოხერხებულობა და ომში ჩაითრია ვესტგოთები მეფე თეოდორიხ I-ის მეთაურობით, ასევე ალანები, ბურგუნდები და ფრანკები, რომელთაც თავიანთი ანგარიშები ჰქონდათ ატილასთან, განსაკუთრებით, ბურგუნდებს, რომელთა ტერიტორია ჰუნებმა 437 წლისთვის გადაწვეს და სასტიკად ააოხრეს. 451 წელს, კატალაუნის ველზე, რომთან ერთად, დასავლეთ ევროპის ბარბაროსებმაც გაიმარჯვეს აღმოსავლეთიდან მოსულ ძალებზე, ეს ნამდვილი ხალხთა ომი იყო.

რომაული არმია დიოკლეტიანეს რეფორმების შედეგად (III საუკუნეში) შეიცვალა და თითქმის აღარაფერი შერჩა კეისრის, ავგუსტუსისა და ტრაიანეს ლეგიონებისა. ბარბაროსების შემოსევებისა და შინაომებისგან დასუსტებულ იმპერიას თავდაცვითი ჯარები სჭირდებოდა. შეიქმნა სასაზღვრო (Limitanei) და შინაგანი სამსახურის ძალები (Comitatenses), პრეტორიანელები ჩაანაცვლა სასახლის დაცვამ (ქვეითები — Palatini, მხედრები — scholae Palatini). ლიმიტანებში ძირითადად ძველი ლეგიონერები და პროვინციული დამხმარე რაზმები შედიოდნენ. ისინი ლაშქრობებში არ მონაწილეობდნენ. კომიტატენსთა ლეგიონი ადრინდელთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო და მხოლოდ 1-1,2 ათას კაცს ითვლიდა. არმიის უდიდეს ნაწილს ქვეითები შეადგენდნენ. შეიქმნა ახალი დამხმარე რაზმები — Auxilia, რომლებშიც 500 მეომარი შედიოდა. რომაულ ჯარებში ყველაზე დიდი რაოდენობით გერმანელი ბარბაროსები მსახურობდნენ (Foederati). ისინი არ იყვნენ მძიმედ შეიარაღებული, მაგრამ შეეძლოთ როგორც მწყობრში ბრძოლა, ასევე მსუბუქი ქვეითების ამოცანების შესრულება, მძიმედ აღჭურვილი ლეგიონერებისგან განსხვავებით. თუმცა ეს განსხვავება V საუკუნისთვის თითქმის გაქრა. ლეგიონებიცა და დამხმარე ბარბაროსთა ნაწილებიც ერთნაირად იყვნენ შეიარაღებული და ამოცანასაც ერთნაირს ასრულებდნენ. კიდევ არსებობდა მსუბუქი ქვეითი ჯარი: საგიტარები (მშვილდოსნები), ექსკულკატორები (ხელშუბის მტყორცნელები), ფუნდიტორები (მეშურდულეები) და ბალისტარები (ძირითადად არბალეტოსნები). გვიანდელი იმპერიის პერიოდში არბალეტს იყენებდნენ როგორც ბარბაროსები, ასევე რომაელები, ამ ეპოქაში მეტი დატვირთვა გაუჩნდა ცხენოსან ჯარსაც. რომაული კავალერია ძირითადად სარმატების, ჰუნების, გერმანელებისა და ალანებისგან შედგებოდა, რომელთაც რომი სიცოცხლეში არ ენახათ და სამხედრო ნადავლისა და ჯამაგირისთვის მსახურობდნენ. მხედრობა ჯარის ელიტურ ნაწილს წარმოადგენდა და კარგად იყო შეიარაღებული. გვიანდელი რომის კავალერია შეგვიძლია შუასაუკუნოვანი რაინდების წინა-

ვესტგოთი მეომრები

V საუკუნის ჰუნი მეომარი, მისი უნაგირისა და აღჭურვილობის დეტალებით

მობედადაც მივიჩნიოთ. V საუკუნის რომაელ სარდალთა გვარდიაში (Bucellarii), რომელიც უმთავრესად პირადი სახსრებით შეკრებილ შენაერთს წარმოადგენდა, ხშირად შედიოდა ჰუნი მხედრებისგან შემდგარი კავალერიის რაზმეული.

ვესტგოთთა ჯარი არ განსხვავდებოდა რომაულ ჯარებში მომსახურე სხვა გერმანული ტომებისგან. მეფე თეოდორიხის არმია აერთიანებდა კარგად შეიარაღებულ ქვეითთა რაზმებს და ცხენოსანთა ნაწილებს. ჰყავდათ მშვილდოსნებიც, თუმცა ძირითადი მისია დიდი ფარებით, ცულებითა და მახვილებით შეიარაღებულ გერმანელ ქვეითებს ეკისრათ. დაცვითი ბრძოლისას ისინი ფარების კედელს ქმნიდნენ. თეოდორიხი ფრთხილი, ჭკვიანი და გამოცდილი მეომარი იყო, სავარაუდოდ, ალარიხის სიძე. იგი კატალაუნის ველზე დაიღუპა, სადაც მასთან ერთად ორი ვაჟიშვილი — თორისმუნდი და თეოდორიხიც იბრძოდნენ.

რომაელთა მოკავშირე ბურგუნდები (მეფე გუნდერიკი, იგივე გუნდიოკი), ფრანკები (მეფე მეროვეხი, იგივე მეროვეუსი) და ალანებიც (მეფე სანგიბარნი) მოსულიყვნენ საბრძოლველად. ალანები კარგი მხედრები იყვნენ და ცხენოსან ჰუნებთან დაპირისპირებისთვის მათი გამოყენება შეიძლებოდა. ფრანკებს ასე ახასიათებს V საუკუნეში მოღვაწე კლერმონის ეპისკოპოსი სიდონიუს აპოლინარიუსი: „წელზე შემორტყმულ ფართო ქამრებზე მძიმე ხმლები აქვთ ჩამოკიდებული, თავიანთ სხეულს დიდი ფარებით იცავენ. ეს ომისმოყვარე ბარბაროსები ბავშვობიდანვე სწავლობენ სირბილს, ხტუნვას, ცურვას, ხელშუბის მიზანში ტყორცნას, საბრძოლო ცულის ხმარებას“.

აეციუსის არმიის მეომართა ზუსტი რაოდენობა დაუდგენელია, თანადროული წყაროები მას 50-80 ათასი მეომრით საზღვრავენ, მაგრამ ეს რიცხვი ერთიორადაა გაზრდილი.

ᲰᲣᲜᲔᲑᲘ

მომთაბარე ჰუნები ჩრდილოეთ ჩინეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და დაახლოებით ძვ.წ. III საუკუნეში გაერთიანდნენ. ახ.წ. IV საუკუნის 70-იან წლებში ჰუნებმა ალანები დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ კი გოთების მეფე ჰერმანრიხის (გარდ. 375 წ.) სახელმწიფო დაამხეს, რაც ხალხთა დიდი გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ჰუნებმა დაიპყრეს ოსტგოთთა დიდი ნაწილი (დნეპრისპირეთში) და აიძულეს ისინი, თრაკიისკენ, აღმოსავლეთ რომის იმპერიისკენ დაეხიათ. დასავლეთ რომის იმპერიასთან ეს მომთაბარე ხალხი V საუკუნის შუა ხანებამდე კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა და გერმანულ ტომებთან ომებში მოკავშირედ ითვლებოდა. სამაგიეროდ, აღმოსავლეთ რომის იმპერიას ავიწროებდნენ, რომლის იმპერატორებიც იძულებული იყვნენ, ჰუნთა მეფე რუგილასთვის ყოველწლიურად 350 ლიტრი ოქრო ეძლიათ. რუგილას სიკვდილის შემდეგ მეფობისთვის ერთმანეთს მისი ძმის, მუნძუკის ვაჟები (ატილა და ბლედა) დაუპირისპირდნენ. ატილამ გაიმარჯვა, მოკლა ბლედა და ჰუნთა მმართველი გახდა.

უცნობი ავტორის „გალიის ქრონიკაში“ (452 წ.) წერია, რომ ბლედა რუგილას მემკვიდრე გახლდათ, ანუ ატილაზე უფროსი იყო. 437 წელს ჰუნებმა გაანადგურეს ბურგუნდთა სახელმწიფო (სავარაუდოდ, ამაში აეციუსის ხელი ერია). V საუკუნის ესპანელი ეპის-

კოპოსისა და ქრონოგრაფის, იდაციუსის ცნობით, მათ 20 ათასი ბურგუნდი ამოხოცეს. 441 წელს ბლედამ და ატილამ ერთად ილაშქრეს ილირიკუმში, აღმოსავლეთ რომის იმპერიის პროვინციაში — ამ ლაშქრობაში ბლედას მონაწილეობა დასაშვებია, რადგან მის მკვლელობას პროსპერ აკვიტანელი 444 წლით ათარიღებს, მარცელინუს კომესი — 445, „გალური ქრონიკა“ — 446 წლით. ამავე პერიოდში აღმოსავლეთ რომის იმპერია ვანდალებს ებრძოდა და ჰუნებთან გამკლავება გაუჭირდა. იმპერატორმა თეოდოსიუს II-მ (401-450 წწ.) ხარკი იკისრა და მრისხანე მოწინააღმდეგესთან ზავი დადო. ატილამ კიდევ რამდენჯერმე დალაშქრა ბიზანტია, დაამარცხა მისი ჯარები და გაძარცვა ქალაქები, შემდეგ კი ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით თავისუფალი ტომების უზარმაზარი ტერიტორიები დაიპყრო.

დიდი იმპერიის შექმნის შემდეგ ჰუნთა მეფე დასავლეთ რომის იმპერიის დასაპყრობად დაიძრა. საამისოდ ორ მიზეზს ასახელებენ: ვალენტინიანე III-ის დის, ჰონორიას შეთავაზებას მისი ცოლად შერთვის შესახებ და თხოვნას, ძმის ძალაუფლებისგან გაეთავისუფლებინა. ატილამ მართლაც მოითხოვა ჰონორიას ცოლად შერთვა და ნახევარი დასავლეთ რომის იმპერია მზითვად, უარის მიღების შემდეგ კი შეტევაზე გადავიდა. მეორე ვერსიით, ჰუნები ვანდალთა მეფე ჰენზერიხმა წააქეზა აკვიტანიაში დასახლებული ვესტგოთების წინააღმდეგ. ისინი ვანდალებს მას შემდეგ გადაემტერნენ, რაც თეოდორიხის ასული ჰენზერიხის ვაჟს დასცილდა, რადგან ამ უკანასკნელს ვალენტინიანე III-ის ქალიშვილზე დაქორწინება გადაეწყვიტა. ატილა დღევანდელი უნგრეთის ტერიტორიიდან დიდი არმიებით დაიძრა გალიაში შესაჭრელად. მის ჯარში შედიოდნენ ჰუნები, ალანები, ოსტგოთები (მეფე ვალამირი), გეპიდები (მეფე არდარიხი), რუგები, სკირები, ჰერულები და თიურინგები. ჰუნთა მეფემ 451 წლის გაზაფხულზევე გადალახა რაინი, აიღო მეცი, კიოლნი, რეიმსი, ტრირი, ხოლო ლუტეცია (ახლანდელი პარიზი) გადარჩა, ჰუნებმა მას გვერდი აუარეს. ივნისში ატილამ ავრელიანს (ორლეანი) მიაღწია. 14 ივნისს ქალაქთან აეციუსისა და თეოდორიხის გაერთიანებული ჯარები გამოჩნდნენ და ჰუნებისგან იხსნეს. ატილამ სენის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა

ატილა (ფრაგმენტი ეჟენ დელაკრუას პანორამიდან ბურბონის სასახლეში, 1843-1847)

ჯარი, კატალაუნის ველებზე, ტრიკასესის (ტრუას) მახლობლად. ბრძოლაც აქ, შამპანის ოლქში, კატალაუნის ველზე გაიმართა, 410 წლის 20 ივნისს.

ევროპული ხალხების წარმოდგენები ჰუნთა მეფე ატილაზე ძირითადად ლეგენდებსა და გადმოცემებს ეყრდნობა და ძალიან ცოტა აქვს საერთო ატილას ისტორიულ სახესთან. ის თითქმის არ არის ჩვენთვის ცნობილი. ამის მიუხედავად, ჩვენამდე მისი თანამედროვეების იმდენმა გადმოცემამ და ჩანაწერმა მოაღწია, რომ იმ ეპოქის ვერც ერთი სხვა ადამიანი ვერ შეედრება. ატილას მითის შექმნა ჯერ კიდევ ძველ დროს დაიწყო, გაგრძელდა შუა საუკუნეებში და დღემდე გრძელდება. ატილა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის მბრძანებელი, დიადი მებრძოლი და დამპყრობელი იყო. ჰუნების სახელი სწორედ მასთან ასოცირდება. ატილამ გააერთიანა მომთაბარე ტომები და თავს დაატყდა გერმანელ ბარბაროსებსა და რომის ორად გაყო-

იმპერატორმა ვალენტინიანე III-მ რომის უდიდესი სარდალი აეციუსი შურის გამო მოაკვლევინა. ამით იმპერიის დაცემა გარდაუვალი გახდა

ფილ იმპერიას. დასავლეთ რომის იმპერიაში იგი გადაწყდა შესანიშნავ სარდალ ფლავიუს აეციუსსა და მის მოკავშირეებს და კატალაუნის ბრძოლაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლა, დიდი გამარჯვებისა და რომის იმპერიის განადგურების წყურვილით.

ატილა ჰუნთა მომთაბარე ტომების მეთაური იყო და ძირითადად სწორედ მათ ტაქტიკას იყენებდა. ჰუნები შესანიშნავი მხედრები და მოისარნი გახლდნენ. ისინი თავიანთი მსუბუქი კავალერიით უახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგეს და ისრების წვიმას აყრიდნენ, შემდეგ დასუსტებულ და დაფანტულ მტერს გამოედევნებოდნენ, მათ რიგებს უფრო არევ-დარევდნენ და ხელჩართულ ბრძოლაში გაანადგურებდნენ. ჰუნთა მთავარი იარაღი რთული კონსტრუქციის მშვილდი იყო, ასევე იყენებდნენ მსუბუქ შუბებს, ლასოსა და შუაზიურ მახვილებს. ლასო თოკის მარყუჟი იყო, რომელსაც მტრის ცხენოსანს ესროდნენ, ჩამოაცვამდნენ და ძირს აგდებდნენ ან ახრჩობდნენ. ზოგჯერ იყენებდნენ პატარა ფარებსაც. ჰუნები ტანს ჯაჭვის პერანგით ან ფირფიტოვანი აბჯრით იფარავდნენ, რომლის კალთების სიგრძე მეომრის სოციალური სტატუსის შესაბამისად იზრდებოდა. მხოლოდ ჰუნთა მეფეები, დიდებულები და მაღალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ კარგად აღჭურვილი. იმ მეომრებს, რომელთაც კონსტანტინოპოლსა და რომში დაქირავებულ ჯარში გაევლოთ სამსახური, გოთური ან რომაული აბჯარი ჰქონდათ.

კომპოზიტურ მშვილდს, დამზადებულს ხის, რქისა და მყესებისგან, აღმოსავლეთში ათასწლოვანი ისტორია აქვს. მესოპოტამიაში ნაპოვნი მისი პირველი ნიმუში ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება. ამ მომაკვდინებელ, მძლავრ და შორს მტყორცნელ იარაღს ჰუნები შესანიშნავად იყენებდნენ და მტერს შიშის ზარს სცემდნენ. ჰუნთა მოკავშირე ძალები, ჩვეულებრივ, გერმანელ ბარბაროსებს წარმოადგენდნენ. ოსტგოთებს მეფე ვალამირი (დაახლ. 420-465 წწ.) მეთაურობდა, გეპიდებს — არდარიხი. ატილას ძალები დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც მოწინააღმდეგისა, რადგან იორდანე აღნიშნავს, რომ აეციუსმა თავი მოუყარა ისეთ ძალებს, რითაც თანასწორად იბრძოლებდა ჰუნებთან, ანუ დაახლოებით იმავე რაოდენობის ჯარს.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

კატალაუნის ველებზე ბრძოლა უპირატესობას ჰუნებს აძლევდა, რომელთაც უფრო მძლავრი კავალერია ჰყავდათ და საკარაუდოდ, მცირე რიცხობრივი უპირატესობაც უნდა ჰქონოდათ. აეციუსმა რომაელები მარცხენა ფლანგზე განალაგა, ალანები — ცენტრში, ხოლო მარჯვნივ — ვესტგოთები. ატილამ კი მარჯვნივ გერმანელი მოკავშირეები დააყენა, ოსტგოთები — მარცხნივ, ვესტგოთების პირისპირ, ხოლო ჰუნები — ცენტრში. აეციუსის მოკავშირეებმა შემაღლებები დაიკავეს. ატილამ ბრძოლა გვიან დაიწყო, რადგან გადმოცემის მიხედვით, შამანებმა დამარცხება უწინასწარმეტყველეს, ამიტომ თუ წარმატებას ვერ მიაღწევდა, ღამის სიბნელეში უფრო ადვილად შეძლებდა უკან დახევას. მათ ტრადიციულ ტაქტიკას მიმართეს — მოწინააღმდეგეს ისრის სეტყვა დააყარეს, შემდეგ კი მოკავშირეებთან ერთად ეკვეთნენ. რომაელების ჯარზე ატილამ ძლიერი იერიში მიიტანა. იორდანეს მიხედვით, მან თქვა: „რომაელები საცოდავი ჯარისკაცები არიან და მხოლოდ სუსტ მტრებთან, ალანებთან და ვესტგოთებთან თუ შეუძლიათ ბრძოლა“. სისხლისმღვრელი შეტაკებები ბრძოლის ყველა უბანზე მიმდინარეობდა. დანაკარგი ორივე მხრიდან დიდი იყო. თეოდორიხი თავისი ჯარის წინ იდგა და მეომრებს ამხნევებდა, როცა სასიკვდილოდ დაიჭრა ოსტგოთი დიდებულის, ანდაგეს ნასროლი ხელშუბით. თუმცა ვესტგოთებმა თორისმუნდის მეთაუ-

რობით განაგრძეს ბრძოლა და მოწინააღმდეგე უკუაგდეს კიდეც. ცენტრში ჰუნების იერიშს ალანებმა ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს, რომაელები კი აეციუსთან ერთად თავდაცვით პოზიციაზე ჰუნთა მოკავშირე გერმანელებს იგერიებდნენ. აქ ატილას ჯარს გაუჭირდა, მათ ნელ-ნელა უკან დახევა დაიწყეს და თავი ბანაკს შეაფარეს. დანაკარგი ორივე მხრიდან უზარმაზარი იყო.

წარუმატებლობამ ატილა გატეხა. მას კოცონში ჩავარდნაც კი უცდია. საბოლოოდ იგი იძულებული გახდა, დარჩენილ მეომრებთან ერთად უკან დაეხია პანონიაში და 452 წლისთვის ახალი ლაშქრობა მოემზადებინა, ამჯერად იტალიაში. ჰუნები მართლაც შეიჭრნენ ჩრდილოეთ იტალიაში. აეციუსი თავისი მცირე ძალებით ვერ ახერხებდა სათანადო წინააღმდეგობის გაწევას, თუმცა საბოლოოდ ჰუნები რომაელთა მიერ გადახდილი კონტრიბუციით დაკმაყოფილდნენ და უკან დაიხიეს. მოლაპარაკებები თვით რომის პაპმა, ლეო I-მა წარმართა. 453 წელს ჰუნთა სახელოვანი მეფე გარდაიცვალა ან მოკლა თავისმა ცოლმა, ბურგუნდმა ილდიკომ, რომელმაც შური იძია თავისი სამშობლოს განადგურებისთვის.

შედეგები

კატალაუნის ბრძოლაში ორივე მხარემ უმძიმესი დანაკარგი განიცადა, მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვებისთვის არც ერთს არ მიუღწევია. მიუხედავად ამისა, რახან ატილა და მისი ურდოები დასავლეთ ევროპას გაეცალნენ, ეს აეციუსის სტრატეგიულ გამარჯვებას ნიშნავდა. კატალაუნის ბრძოლა ასევე რომის იმპერიის უკანასკნელი ღირსეული გაბრძოლება და ბარბაროსთა ხანის დასაწყისი გახლდათ. ვესტგოთებს უდიდესი წვლილი მიუძღვით ჰუნების განდევნაში. ამ ხალხმა შემდეგ თავიანთი სამეფო დააარსა პირენეს ნახევარკუნძულზე. რომის დაცემა აეციუსმა 476 წლამდე გადაავადა. იმპერატორმა ვალენტინიანე III-მ თავდადება და გმირობა „დაუფასა“ და 454 წელს სარდალი მოაკვლევინა — მხოლოდ მისი სიძლიერისა და სიქველის გამო... რომმა საკუთარი ხელით მოიშორა თავისი უდიდესი სარდალი. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა გარდაუვალი გახდა და „მარადიული ქალაქი“ ჯერ 455 წელს აიღო ვანდალების მეფე ჰენზერიხმა, 476 წელს კი ოდოაკრმა დასავლეთ რომის იმპერიის არსებობას საბოლოოდ დაუსვა წერტილი.

ნიკა ხოფერია

კატალაუნის ბრძოლა რომის იმპერიის უკანასკნელი ღირსეული წინააღმდეგობა იყო

იუდაიზმი

(ნაწილი II)

ფლორენციის სინაგოგა

მონოთეიზმის გამარჯვება

იერუსალიმის ტაძარი ერთადერთი იყო, რომელსაც შესაწირავის მიღების უფლება ჰქონდა და ქურუმებს უზარმაზარი სიმდიდრე დაუგროვდათ. გამდიდრებულებმა კი ზურგი შეაქციეს გაჭირვებაში ჩავარდნილ საკუთარ ხალხს. მიუხედავად ამისა, ბაბილონის ტყვეობის შემდგომ მონოთეიზმმა ებრაელებთან განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. იაჰვე გადაიქცა სამყაროს შემოქმედ უმაღლეს ღმერთად. რელიგიის ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ერთღმერთიანობამ ასეთი საყოველთაო ხასიათი მიიღო. ამდენად, მონოთეიზმმა კლასიკური ფორმით პირველად ისრაელში გაიმარჯვა.

მონოთეისტური დოქტრინის კვალობაზე ჩამოყალიბდა ბიბლიის წიგნებიც. განსაკუთრებით კი ხუთწიგნეული, რომელიც იუდაიზმის საფუძვლად იქცა. ხუთწიგნეულის საბოლოო რედაქტირება უნდა მომხდარიყო ძვ.წ. V საუკუნის ბოლოს.

ძველი ებრაელი მწერლები და წინასწარმეტყველები, ამქვეყნიური ცხოვრების საპირისპიროდ, საიქიოს არ სახავდნენ ადამიანის განცხრომის ადგილად. ძველ იუდაიზმში საერთოდ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობდა მომავალი ცხოვრების შესახებ. თუმცა ბიბლიაში არის პასაჟები, რომლებიც ადასტურებენ საიქიოს რწმენას. ესაა შეოლი — ადგილი, სადაც გარდაცვლილთა სულები სახლობენ. მაგალითად, როცა აღესრულა ისაკი, შეერთო თავის ხალხს მოხუცებული და ხანსრული, ასევე აბრამიც სიკვდილის შემდგომ შეერთო თავის ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ იგი უცხო ქვეყანაში დაიმარხა, იაკობმა, როცა მას საყვარელი შვილის

Auto Bild

საქართველო

N1 საავტომობილო ჟურნალი

მხეცებისგან დაგლეჯის ამბავი მოუტანეს, სასოწარკვეთილმა წამოიძახა: მგლოვიარე ჩავალ ჩემს შვილთან შავეთში. გამოკვეთილად რომ ითქვას, ძველ იუდაიზმში საიქიო ცხოვრება არ არის განდიდებული, რაც შეეხება ადამიანთა ცოდვებს, მათი გამოსყიდვა ხდება პატიოსანი მოქმედებით, სადაც იაჰვესადმი თაყვანისცემა ყოველთვის პირველ პლანზეა წამოწეული. იაჰვე ებრაელებს ჩააგონებს, რომ ეს ხალხი მისი რჩეული ერია და მოვა დრო, როცა ებრაელი ყველა ხალხზე ამაღლდება. რა თქმა უნდა, ებრაელთა „რჩეულობის იდეა" ებრაელ ავტორთა სურვილის ნაყოფია, რამაც განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა მათ მიერვე შექმნილ ბიბლიურ წიგნებში. ეს იდეა დღემდე ცოცხლობს ებრაელ ხალხში და ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი დაუოკებელი მესიანიზმის გამო მათ არაერთხელ იწვნიეს საყოველთაო რბევა და აუტანელი გაჭირვებანი.

ინდივიდუალიზმი

იუდეის მეფე ნეემიას დროს, რომელმაც გაამაგრა იერუსალიმის კედლები, განსაკუთრებით გამოიკვეთა ებრაელთა სწრაფვა ინდივიდუალიზმისკენ. ისინი ილტვოდნენ ყველა სხვა ხალხისგან (რადგან ღვთის რჩეულთ თავიანთ ტოლად აღარავინ მიაჩნდათ), რისი გამოვლინებაც იყო ქორწინების აკრძალვა სხვა ტომის წარმომადგენლებთან. ხოლო ისინი, ვინც არ ეთაყვანებოდნენ იაჰვეს, მიჩნეული იყვნენ უწმინდურ წარმართებად.

როგორც ითქვა, წარმოდგენა საიქიოს შესახებ, სულის უკვდავებასა და საზღაურის მიგებაზე ძველ იუდაიზმში არ არის. ღვთის საჩუქარი და წყალობა გაიცემა და მიიღება სიცოცხლეში, მიწაზე, სააქაო ცხოვრების საზღაურად და შთამომავლობითაც კი შეიძლება გადავიდეს. ებრაულ ღვთისმეტყველებაში საიქიო მისაგებლის მოძღვრება, როგორც ნათლად გამოხატული რელიგიური რწმენა, წარმოიქმნა ბაბილონის ტყვეობის შემდგომ.

ებრაული რელიგიის მომდევნო პერიოდი დაკავშირებულია დიასპორის ეპოქასთან, როცა ისინი იერუსალიმიდან, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, გაიფანტნენ სხვადასხვა ქვეყანაში და ამის შემდგომ აღარ ჰქონიათ სახელმწიფოებრიობა. ეს პროცესი დაიწყო ძვ.წ. II-I საუკუნეებში.

ჯერ კიდევ ასურელებისა და ბაბილონელების დაპყრობითი ომების შემდგომ, ელინისტურ ეპოქაში, უკვე ბევრი ებრაელი ცხოვრობდა მცირე აზიაში, სირიაში, ეგვიპტესა და ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ ქვეყანაში. ებრაელთა მასობრივი ლტოლვა კი დაიწყო რომაელთა საწინააღმდეგო აჯანყების შემდგომ, რის საპასუხოდაც სასტიკად დაისაჯნენ. ახ.წ. 70 წელსა და 132-135 წლებში იერუსალიმისა და მისი ტაძრის დანგრევის მერე ებრაელებს აღარ დარჩათ კულტის მსახურების ცენტრი. ისინი განდევნეს და, ამრიგად, წარმოიშვა ახალი ისტორიული პირობა, ახალი ისტორიული გარემო, სადაც ებრაელთა რელიგიას ცვლილებანი ელოდა.

სინაგოგა

დიასპორის მახასიათებელი, პირველ ყოვლისა, არის ებრაელი თემის სინაგოგური ორგანიზაცია. სინაგოგა არის ებრაელთა სამლოცველო სახლი, ტაძარი და ბერძნულად ნიშნავს საკრებულოს. მისი ხელმძღვანელები ეკუთვნოდნენ ეკონომიკურად დაწინაურებულ ფენას. უფროსი არქისინაგოგი საერო პირიც კი იყო. სინაგოგას ჰქონდა თავისი ხაზინა, თავისი ქონება და შემოსავალი, რომელიც იკრიბებოდა მორწმუნეებისგან. შემოსავალში

ილუსტრაცია 1493 წელს გამოცემული „ნიურნბერგის ქრონიკიდან“, სადაც გამოსახულია იერუსალიმის დაქცევა ბაბილონელთა მიერ

ფოსის ინიციატივით, ბიბლია ბერძნულ ენაზე თარგმნა 70-მა (ზოგი ვერსიით 72-მა) ებრაელმა სწავლულმა. ამ ღონისძიებას მიმართეს ბერძენთა უმართებულო შეხედულებების გასაბათილებლად, რომელნიც სხვათა კულტურას ამრეზით უცქერდნენ. ამ ბიბლიას ეწოდება სეპტუაგინტა (ანუ სამოცდაათისეული) და მიჩნეულია ბიბლიის ყველაზე დალაგებულ და სრულ ნიმუშად. ბიბლიის თავდაპირველი ტექსტი თარგმანში უკეთ არის წარმოდგენილი, ვიდრე სხვა ებრაულ ტექსტებში. ამ ვითარებამ დიასპორაში მიმოფანტულ ებრაელობას, რომელსაც გადავიწყებული ჰქონდა დედაენა, შესაძლებლობა მისცა, მჭიდრო კავშირი ჰქონოდა თავისი ქვეყნის ისტორიასა და რელიგიურ აღმსარებლობასთან.

სხვა ხალხებთან თანაცხოვრებამ იაჰვეს კულტი მცირედ, მაგრამ მაინც გამოიყვანა ნაციონალური კარჩაკეტილობის წრიდან და იგი არაებრაელთა თაყვანისცემის ობიექტიც

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დახმარებას, რომელიც უნდა გაცემულიყო ღატაკი ებრაელების დახმარების მიზნით. სინაგოგაში იკითხებოდა წმინდა წერილი, განმარტავდნენ მას, ლოცულობდნენ, მაგრამ არ სწირავდნენ შესაწირავს, რადგან შეურყეველი ტრადიციის მიხედვით, იაჰვეს შესაწირავი უნდა მიიღოს მხოლოდ იერუსალიმის ტაძარმა.

მიჩნეულია, რომ სინაგოგებმა აღორძინება დაიწყეს ელინისტურ ეპოქაში. პირველი ასეთი სინაგოგის შესახებ ცნობები მოიპოვება ძვ.წ. III საუკუნეში, იერუსალიმის ტაძრის დანგრევის შემდგომ. სინაგოგები გახდნენ იუდაისტური რელიგიის აღმსრულებლობის ობიექტები და ეს ხდებოდა არა მარტო დიასპორებში, არამედ თვით იერუსალიმშიც.

ელინისტურ ქვეყნებში დასახლებული ებრაელები, როგორც წესი, ბერძნულ ენაზე იწყებდნენ მეტყველებას. საინტერესოა, რომ პალესტინაში, სირიასა და ბაბილონში მცხოვრები ებრაელები არამეულ ენაზე ლაპარაკობდნენ, რადგანაც ძვ.წ. III საუკუნის შემდეგ ებრაული ენა მხოლოდ რელიგიურ პრაქტიკაში გამოიყენებოდა. ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ეგვიპტის ფარაონ პტოლემაიოს ფილადელ-



სეპტუაგინტა, პირველი ფსალმუნი

შეიქნა — ამ ნიადაგზე წარმოიშვა პროზელიტთა მოძრაობა. ესენი იყვნენ სხვადასხვა მოდგმის ხალხები, რომელნიც თავგამოდებით იცავდნენ იაჰვეს კულტს. ასეთი ურთიერთობის ნიადაგზე იმ პერიოდში იუდაიზმში გაჩნდა ებრაელთა ახალი სოციალური და პოლიტიკური გარემოს გავლენით გამოწვეული ნიშნები. ებრაელები სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ხალხი იყო, თავად იერუსალიმში ისინი რომის მონობის ქვეშ იტანჯებოდნენ. აჯანყდნენ, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. დამცირებული, უფლებააყრილი და ბედგამწარებული ხალხის წიაღში წარმოიშვა რწმენა მომავალი გადარჩენისა, რომელიც მესიის (მხსნელის) სახით უნდა მოვლინებოდათ და ეხსნა ისინი მონობისა და სულიერი დაცემულობის მდგომარეობისგან. მესიაზე მიანიშნებდნენ ჯერ კიდევ დიდი წინასწარმეტყველები, ხოლო რომის მფლობელობის ეპოქაში ეს იდეა უფრო გავრცელდა და გაღრმავდა, რაც საბოლოოდ საფუძვლად დაედო ქრისტიანულ რელიგიას.

იუდაიზმი და ქრისტიანობა

აქ საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას იუდაიზმისა და ქრისტიანობის დამოკიდებულების შესახებ. უმთავრესია საკითხი — თუკი ებრაელები ელოდნენ მესიის გამოცხადებას, რატომ არ მიიღეს ქრისტე მესიად. ეს საკითხი ქრისტეს მოწამებრივი აღსასრულის დღიდან იქცა ორი რელიგიისთვის ცენტრალურ საკითხად. ფაქტია, რომ პირველი ქრისტიანები ებრაელები იყვნენ, თუმცა თავდაპირველად მეტად მცირენი, მაგრამ სჯეროდათ ქრისტეს ღვთაებრიობისა და მოწამებრივი აღსასრულით დაამტკიცეს მისადმი რწმენა და სიყვარული. მაგრამ რატომ არ მიიღო ისრაელის ერმა მაცხოვარი, რომლის მოვლინებასაც ასე შენატროდნენ ძველი წინასწარმეტყველნი?

ებრაელი ერის მსოფლმხედველობაში გამოიყოფა სამი ძირითადი თვისება: ღრმა რელიგიურობა, უკიდურესი ინდივიდუალობა და რელიგიური მატერიალიზმი. ებრაელი არ აღიარებს სულს. მისი რელიგიური მატერიალიზმი იმით გამოიხატება, რომ ყოველგვარი ღვთაებრივი უნდა განხორციელდეს, ყოველგვარი იდეა პრაქტიკასა და სიცოცხლეში უნდა აღსრულდეს. იუდეველთა გონებაში ღრმად ჩაიჭედა ის აზრი, რომ უფალი იაჰვე მხოლოდ მათი ღმერთია, მათ არ სურდათ იმის დაშვება, რომ თავიანთი ღმერთი სხვასაც ედიდებინა, განსაკუთრებულობისა და განცალკევების გრძნობამ, რაც მათთვის თავდაცვითი იარაღი იყო სხვა ეთნოსებთან და რელიგიებთან ბრძოლის ჟამს, სხვა მოსაზრებებს სძლია, რადგან

VI საუკუნის ბეთ ალფას (ისრაელი) სინაგოგიდან მხოლოდ მოზაიკა შემორჩა, რომელიც 1928 წელს აღმოაჩინეს

თავად იუდაიზმიდან ქრისტიანობის ამოსვლა სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

მესიისგან ებრაელები პოლიტიკურ ხსნასა და თავისუფლებას ელოდნენ, ვინც მათ ადამიანურ, მიწიერ სიკეთეს მოუტანდა, ასეთი მხსნელის მოლოდინში კი მათ მოევლინათ ქრისტე, რომელიც იმქვეყნიურ ცხოვრებას მიაპყრობდა ადამიანთა მოდგმის ყურადღებას. იუდაისტთა უმეტესობამ არ მიიღო იგი, თუმცა ზოგიერთი თეოლოგ-ფილოსოფოსის აზრით, ქრისტიანობა იუდაიზმის გვირგვინია, იგი არის საბოლოო მიზანი, რომელსაც მიელტვოდა იუდაიზმი.

სექტები და თალმუდი

ებრაელთა დიასპორის ეპოქის დამახასიათებელი მოვლენაა იუდაისტურ რელიგიაში სექტების წარმოშობა, რაშიც აისახა ებრაელი საზოგადოების განსხვავებული შეხედულებანი და ინტერესები. იერუსალიმის ქურუმთა წრეში ჩამოყალიბდა სადუკეველთა და ფარისეველთა სექტა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ საკულტმსახურებო წესების მკაცრ დაცვაზე. უფრო მეტად კი გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავდნენ. ახ.წ. 66-73 წლებში, როცა იუდეველები რომის წინააღმდეგ აჯანყდნენ, მათ რომაელთა მხარე დაიჭირეს. აქედანაა, რომ დღემდე სალიტერატურო ენასა და მეტყველებაში ფარისეველი გამყიდველისა და პირმოთნე ადამიანის სინონიმად იქცა.

საზოგადოების დაბალ ფენებში წარმოიშვა ესეველთა სექტა. ისინი აღიარებდნენ საიქიო ცხოვრებას, იცავდნენ ასკეტიზმს და რაღაც კომუნიზმის მსგავს საერთო ქონების იდეას უჭერდნენ მხარს.

იუდაიზმის იზოლაციას განსაკუთრებულად შეუწყო ხელი საყოფაცხოვრებო, რელიგიურ-იურიდიული და უფლებრივი კანონების კრებულმა, რომელსაც თალმუდი ეწოდება. თალმუდი შეიქმნა ძვ.წ. III საუკუნეში, ბაბილონელ და პალესტინელ ებრაელთა შორის. იგი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: ერთია ადრეული ხანის — მიშნა, ფართო ხასიათის განმარტებათა კრებული და მეორე, შედარებით გვიანდელი — გემარა, განმარტებათა წესები. თავის მხრივ, თითოეული იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან პირველს ეწოდება გალახა — კანონთა და რიტუალური წესების კრებული და მეორეს აგადა — ლეგენდებისა და გადმოცემების წიგნები. მიშნა დაწერილია ძველებრაულ ენაზე, ხოლო გემარა — არამეულზე.

შემონახულია თალმუდის ორი რედაქცია — იერუსალიმისა და ბაბილონისა. მოგვიანებით თალმუდს კიდევ დაემატა სხვადასხვა სახის კომენტარების კრებული, რომელსაც მიდრაში ეწოდება.

მოშე მაიმონიდის ძეგლი კორდობაში, ესპანეთში

თალმუდი შეიქმნა ებრაელთა მდიდარ ფენაში. იგი ებრაელთა ყოფა-ცხოვრებისა და რელიგიის საკითხების ყველა მხარეს პასუხობს, მისი განმარტება დამოკიდებულია რაბინზე და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და ცოდნას, რათა პასუხი გაეცეს მორწმუნის რელიგიურ კითხვას თუ წამოჭრილ პრობლემას, რომელსაც ცხოვრება აყენებს ადამიანის წინაშე. ამიტომაც თალმუდის კანონების განმარტება ხშირად ადამიანის პირად უნარზეცაა დამოკიდებული.

რაციონალიზმი და მისტიციზმი

შუა საუკუნეების ებრაულ აზროვნებაში განსაკუთრებით გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა — რაციონალიზმი და მისტიციზმი.

რაციონალურად მოაზროვნე ებრაელთა სათავეში დგას იუდეველთა გენია მოშე მაიმონა (იგივე მაიმონიდი). მისი მამა გამოჩენილი მეთალმუდე იყო, რომელმაც დიდი განათლება მისცა შვილს. მოშე მაიმონიდმა 1180 წელს დაასრულა ათწლიანი ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს თალმუდის ლაბირინთებიდან, მისი ძნელად გასაგები ტექსტებიდან ამოკრეფილ, ნათელ ენაზე შედგენილ, სათანადო კომენტარებით გამართულ და ყველასთვის გასაგებ თხზულებას. მაიმონიდის კოდექსი შეიცავს იუდაიზმის ცამეტ უძირითადეს დოგმატს, ე.წ. იად ჰა ჰაზაკას (ხელი ძლიერი), რომელიც ებრაულადაა დაწერილი.

მაიმონიდის შემოქმედება მიმართული იყო ებრაელი ხალხის რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმების ჩამოყალიბებისკენ, მან იწინასწარმეტყველა ებრაელი ხალხის განთავისუფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა. ძალიან ფართო იყო მაიმონიდის კვლევის სფერო. მთელი მისი მოღვაწეობა მიმართული იყო საკუთარი ხალხის კეთილდღეობისკენ. მადლიერმა ებრაელობამ მას ისრაელელი ერის თვალთა მნათობი უწოდა.

მუსლიმური მისტიციზმის გავლენით, ესპანეთის ებრაელობის ნაწილში გავრცელდა კაბალისტების ასკეტური მიმდინარეობა. მთავარ კაბალისტიკურ თხზულებად ითვლება ზოგარი (XII ს.). კაბალისტების მოძღვრებით, ღმერთი არის დაუსაბამო, ზღვარდაუდებელი. მისი შეცნობა უნდა მოხდეს არა პირდაპირ, არამედ სახელთა საიდუმლო ნიშნებით, ასევე ასოებითა და რიცხვებით. მათი მოძღვრებით, სამყაროში ბოროტება არაა თავისთავადი მოვლენა, იგი სიკეთის გარსია, მისი გარეგანი მხარე. კაბალისტები ცნობენ სულთა გადასახლებას, რომელიც სხვა ადამიანის ან ცხოველის სახით ევლინება ქვეყანას მეორე ცხოვრებაში და გაგრძელდება ეს პროცესი მანამ, სანამ არ განიწმინდება ადამიანი ცოდვებისგან.

კაპიტალიზმის ეპოქაში ებრაელობის ნაწილში წარმოიშვა მისტიკური შეფერილობის იდეური მიმდინარეობა ხასიდიზმი, რომელიც საბოლოოდ XVII საუკუნეში გაფორმდა და განსაკუთრებული ხასიათი რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიიღო. ხასიდიზმის ფუძემდებელი იზრაილ ბეშტი ქადაგებდა, რომ რაბინულ წეს-ჩვეულებათა და დღესასწაულთა სიმრავლე გადაჭარბებულია და რომ ღმერთთან მიახლოება უნდა ხდებოდეს უშუალოდ ლოცვის ექსტაზური ფორმით. თუმცა ყველა მორწმუნეს არ შეუძლია ამ რთული რიტუალის შესრულება. იგი შეუძლიათ მხოლოდ სულით ძლიერ ადამიანებს, რომელთაც ცადიკები ეწოდებათ.

აღსანიშნავია გერმანელ ებრაელთა შორის წარმოშობილი ებრაული განმანათლებლო-

ბის მოძრაობა. მისმა მამამთავარმა მოზეს მენდელსონმა ემანსიპირებულ ებრაელებს გაერთიანებისკენ მოუწოდა. იგი თავგამოდებით იცავდა მოსეს კანონების მიმდევრებს და მიაჩნდა, რომ ებრაული რელიგია მარადიული ჭეშმარიტებაა, თუმცა ეს აზრი გერმანული არისტოკრატიული წრეების ებრაელობას არად ეჭაშნიკებოდა. მენდელსონმა 1778-1779 წლებში ძველებრაულიდან გერმანულად თარგმნა მოსეს ხუთწიგნეული, ებრაული ასოებით და კომენტარებითურთ გამოსცა ივრითზე. ისინი ხელმისაწვდომი იყო იმ ებრაელებისთვის, რომლებმაც გერმანულად კითხვა არ იცოდნენ, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ებრაელებს, რომლებიც მხოლოდ იდიშზე — გერმანული ჯგუფის ებრაულ ენაზე კითხულობდნენ, ხუთწიგნეულის წყალობით უკვე ლიტერატურულ გერმანულზე მიუწვდებოდათ ხელი. მენდელსონის ნაშრომებმა ხელი შეუწყო ძველებრაული ენის განახლებასაც, ბიძგი მისცა ებრაელთა წერილობითი ტრადიციის განვითარებას და საზოგადოდ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ივრითზე ლიტერატურის განვითარებისა და ევროპის ებრაელობის კულტურული აღორძინებისთვის. მენდელსონმა საფუძველი ჩაუყარა განმანათლებლობას გერმანიის ებრაელობაში, ასიმილირებისა და ღვთის განდგომისკენ მიდრეკილ ებრაელებს, ბიბლიური მოსეს მსგავსად, იუდაიზმის ახალი მაცოცხლებელი სული შთაბერა და ახალი ძალით გამოუცხადა მოსეს რჯული. შეიძლება ითქვას, რომ მისმა მოღვაწეობამ სათანადო შედეგი გამოიღო და გზასაცდენილი ებრაელობა მშობლიურ წიაღს დაუბრუნა. მადლიერმა ერმა მას მესამე მოსე უწოდა.

მოზეს მენდელსონი

მაიმონიდის ავტოგრაფი, მისი პირველი მსხვილი ნამუშევარი — მიშნას კომენტარები

რელიგიური წეს-ჩვეულებები

ებრაელი მორწმუნის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს მითითებებსა და აკრძალვებს, რომლებიც ეხება საკვებს, ტანსაცმელს, ლოცვის დროის განსაზღვრას, აგრეთვე დღესასწაულთა აღსრულების წესს და სხვა. იუდაიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინადაცვეთას, რომელიც ახალშობილს უტარდება დაბადებიდან 8 დღის შემდეგ, თალმუდის მიხედვით, ებრაელის ყოველ ნაბიჯს ლოცვა უნდა ახლდეს. საკვების აკრძალვის სფეროში შემუშავებულია წესი, რომელიც კრძალავს ცხოველის ხორცის ზოგიერთი ნაწილის გამოყენებას. საამისოდ

საიდუმლო სერობა, ანუ იესოს უკანასკნელი საპასექო სერობა. მოსეს სჯულის ყველა მოთხოვნას იესო ქრისტე მკაცრად ასრულებდა

გამოყოფილია საგანგებო პირი, რომელიც კლავს პირუტყვს და საჭმელად ვარგის ნაწილებს ყიდის მრევლზე. დანარჩენი ხორცი უწმინდურად ითვლება.

განსაზღვრული წესია შემუშავებული ჩაცმულობაშიც: მამაკაცის სამოსი გრძელი უნდა იყოს, შეკერილი ერთსახოვანი ქსოვილისგან, რომელსაც ჯიბეები წელს ქვემოთ აქვს, თავსაბური ძილის დროსაც აუცილებელია, მორწმუნე ებრაელი უნდა ატარებდეს წვერს, ხოლო საფეთქელზე კიკინებს, ლოცვის დროს მლოცველი იხვევს რიტუალურ საბურველს, რომელსაც თალეთი ეწოდება.

იუდაიზმის მონაპოვარია შაბათი დღე, რომელიც დასვენების დღედაა გამოცხადებული. შაბათს აღიარებს ყველა მორწმუნე ებრაელი. შაბათი მიანიშნებს იაჰვესა და ისრაელელი ხალხის მარადიულ კავშირზე.

წლიური დღესასწაულებიდან უდიდესად ითვლება: პასექი, რომელსაც ზეიმობენ ეგვიპტის მონობიდან გამოსვლის აღსანიშნავად; როშხანაშა — ახალი წელი (შემოდგომით); იომ კიპური (თხოვნის დღე ახალწლიდან მეათე დღეს); სუქოთი (შვიდდღიანი საშემოდგომო დღესასწაული, რომლის დროსაც სავალდებულოა მორწმუნე ცხოვრობდეს საგანგებო ქოხში) და ფურიმი (გაზაფხულის დღესასწაული, მიძღვნილი ისრაელის ეროვნული გმირების — ესთერისა და მორდეხას სახელისადმი).

ებრაული რელიგიის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული სწავლების მეთოდიკასა და ორგანიზაციაზე. უნდა ითქვას, რომ რელიგიური განსწავლულობის საკითხით ადრიდანვე აინტერესებდნენ ახალგაზრდებს და ისინი სათანადო ცოდნას იღებდნენ სგანგებო სკოლებში, რომლებსაც ეწოდებოდათ ეშობოთი და ხედერი, ხოლო მასწავლებლებს — მელამედი.

ებრაელთა ისტორია — ესაა მარადიული ზრუნვა საკუთარი რელიგიისა და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნებაზე. ძველია მათი ადათწესები და სარწმუნოებრივი შეხედულებანი, რომელთაც განუხრელად იცავდნენ მთელი ბედუკუღმართი ისტორიის განმავლობაში. სამაგიეროდ, რწმენის თანამიმდევრულმა ერთგულებამ და კონსერვატიზმმა იხსნა სამყაროს კიდით კიდემდე გაფანტული ებრაელობა განადგურებისგან.

ელდარ ნადირაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჟაკ ლე გოფი

ჟაკ ლე გოფი

ფრანგი „ისტორიის მამა"

ამ გაზაფხულზე საფრანგეთისა და მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება გამოეთხოვა მსოფლიო მედიევისტიკის (შუა საუკუნის ისტორიის) უდიდეს წარმომადგენელს, ჟაკ ლე გოფს, როგორც ფრანგ ისტორიკოსებს უყვართ თქმა, — „მზეც ისტორიკოსს". უხუცესი მეცნიერის (იგი 90 წლის იყო) გარდაცვალებას გამოეხმაურა არა მარტო ფრანგული, არამედ საერთაშორისო საზოგადოება.

გამოქვეყნებულ წერილებს შორის ყურადღებას იპყრობს მისი კოლეგის, თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსის ნიკოლა ტრუონგის სტატია, ჩვენი გადასახედიდან ცოტათი უცნაური სათაურით — გარდაიცვალა ჟაკ ლე გოფი — „მზეცი ისტორიკოსი". გამოსათხოვარი დაიბეჭდა მეცნიერის გარდაცვალების მეორე დღეს, ოთხშაბათს, 2 აპრილს, პრესტიჟულ ფრანგულ გაზეთ „მონდში", რომელშიც ვკითხულობთ:

„მისმა ისეთმა შრომებმა, როგორიცაა „ინტელექტუალები შუა საუკუნეებში", „წარმოსახვითი შუა საუკუნეები" თუ „წმინდა ლუის ანტიბიოგრაფია", მკვლევარს საერთაშორისო აღიარება მოუტანეს.

მისი მეგობრისა და ერთ-ერთი გამომცემელ-რედაქტორის, პიერ ნორას თქმით, იგი იყო უკანასკნელი დიდ ადამიანთაგანი, რომელიც ჩვენგან წავიდა". ჟაკ ლე გოფს არასოდეს უვლია ადვილი გზით. მისი სამეცნიერო შრომები თუ სახელმძღვანელოები ყოველთვის იყო სიახლის მანიშნებელი, როგორც მეცნიერების, ისე პედაგოგებისთვის. პოპულარული გახდა მისი ხანგრძლივი შუა საუკუნეების თეზა — იგი იწყება V საუკუნიდან, ანუ ევროპაში ქრისტიანობის გავრცელებიდან და მთავრდება XVIII საუკუნით, ანუ ინდუსტრიული რევოლუციებით. მისმა ამ იდეამ ვნებათაღელვა გამოიწვია, მაგრამ,

გამომცემელ-რედაქტორი პიერ ნორა

ჟაკ ლე გოფის ნაშრომი „ინტელექტუალები შუა საუკუნეებში“

ჟაკ ლე გოფის ნაშრომი „განსაწმენდელის დაბადება“



როგორც ამბობენ, ეს იყო იდეა, რომელმაც შეცვალა ისტორია“.

„ჟაკ ლე გოფი არ ყოფილა ვიწრო, ჩაკეტილი, კაბინეტური ტიპის მეცნიერი. იგი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის ხშირად ამბობდა: „როცა საზოგადოება თვლემს, ისტორიკოსი უნდა ფხიზლობდეს“. ამის კარგი ნიმუში თავადვე იყო. „ალბათ ცოტამ თუ იცის, მაგრამ ჟაკ ლე გოფი ძალიან აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკაში. მას ესეც აინტერესებდა. ის იყო მემარცხენე იდეალების ერთგული. 1958-1962 წლებში იყო ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრი, თუმცა სოციალისტური იდეების ერთგულება ხელს არ უშლიდა, დაეგმო კომუნიზმის დანაშაულებანი ჩეხოსლოვაკიაში თუ უნგრეთში. მემარცხენეობა უფრო მისი იდეური სამყარო იყო. მართალია, აქტიურად არა, მაგრამ ყოველთვის ამ აზრებს თანაუგრძნობდა“.

სტატია ოპტიმისტურ ნოტაზე სრულდება: „მან გააადამიანურა ისტორია. მისი ნაშრომებით გავიგეთ, რომ ამ ეპოქაში ხალხი ცხოვრობდა ჩვენნაირი ვნებით, განცდებით, მართალია სხვა მენტალიტეტით, მაგრამ ჩვენნაირი და შესაძლოა ჩვენზე ინტელექტუალურიც. ჟაკ ლე გოფი იყო კაცი, რომელმაც ეს ყველაფერი დაგვანახვა. გვაგრძნობინა შუა საუკუნეები ისე, როგორადაც მანამდე ვერ ვხედავდით“.

* * *

მკითხველს მოკლედ შევახსენებთ სახელმოხვეჭილი ფრანგი ისტორიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას.

ჟაკ ლე გოფი დაიბადა 1924 წლის 1-ელ იანვარს ტულონში, ინგლისური ენის პროფესორის ჟან ლე გოფის და იტალიელი ჟერმინა ანსალდის ოჯახში. ჰყავდა მეუღლე ანა დუნინ-ვიშოვაცი და ორი შვილი — ბარბარა და თომასი.

ჟაკ ლე გოფი სწავლობდა ტულონის ლიცეუმში, შემდეგ — მარსელისა და პარიზის ლუი დიდის უნივერსიტეტებში. მისი მეცნიერული კარიერა იწყება გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. თავდაპირველად ამიენის ლიცეუმში ასწავლიდა. იყო რომის ფრანგული სკოლის წევრი, სამეცნიერო კვლევების ნაციონალური ცენტრის ატაშე. ლილის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის ასისტენტი, მასწავლებელი და შემდეგ დირექტორი სამეცნიერო კვლევათა ნაციონალურ ცენტრში. უმაღლესი კვლევების პრაქტიკული სკოლის თავმჯდომარე სოციალურ მეცნიერებაში. საუნივერსიტეტო კვლევის სამეცნიერო კომიტეტის პრეზიდენტი. ჟურნალ „ანალების“ თანარედაქტორი 1967 წლიდან.

იყო ბუქარესტის, ბუდაპეშტის, კრაკოვის, იერუსალიმის, პარიზის, პრაღის, რომისა და ვარშავის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი.

1991 წელს დაჯილდოვდა სამეცნიერო კვლევების ნაციონალური ცენტრის ოქროს მედლით. 1987 წელს კი გადაეცა ნაციონალური ისტორიის გრანპრი, ასევე საფრანგეთის ფონდის გრანპრი, ნიდერლანდების სამეფო მეცნიერებათა აკადემიის პრიზი.

მისი მეცნიერული ინტერესების ყურადღების ცენტრში დგას მედიევისტიკის საკითხები, პირველ რიგში კი მენტალიტეტის კვლევა, სოციალურ-ეკონომიკური საკითხები შუა საუკუნეებში. არსებითად ეს იყო ახალი სიტყვა ისტორიულ მეცნიერებაში.

მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია: „ხანგრძლივი შუა საუკუნეები“ (2004), „სხვა შუა საუკუნეები“ (1999), „წარმოსახვითის შუა საუკუნეობრივი სამყარო“ (1985), „შუა საუკუნეების დასავლური ცივილიზაცია“ (1964), „მართლა საჭიროა თუ არა ისტორიის მიმართულებებად დანაწევრება“ (2013), „შუა საუკუნეები და ფული: ისტორიულ-ანთროპოლოგიური ნარკვევი“ (2010), „ვაჭრები და ბანკირები შუა საუკუნეებში“ (2006), „შუა საუკუნეების ძიებისას“ (2003), „შუა საუკუნეების სურათებით“ (2000), „ისტორია და მეხსიერება“ (1988) და სხვა მრავალი. ეს შრომები განეკუთვნება არა მხოლოდ ფრანგული, არამედ მსოფლიო მედიევისტიკის საგანძურს, ოქროს ფონდს.

ჟაკ ლე გოფის შემოქმედება, ბუნებრივია, ქართველი ისტორიკოსების ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდა. მათ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციისა და შესწავლის საქმეში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. უწინარესად უნდა ითქვას, რომ საქართველოში ჟაკ ლე გოფის შემოქმედებით დაინტერესებას

ჟურნალ „ანალების“ 1914 წლის ნომერი

ჟურნალ „ანალების“ 1926 წლის 3 დეკემბრის ნომერი, მიძღვნილი რომანტიზმისადმი

ჟაკ ლე გოფი 1988 წელს

შედარებით ხანმოკლე ისტორია გააჩნია და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. ეს უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული. საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, ჟაკ ლე გოფის სახელი ან უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებოდა ან სულაც მის შრომებს გულგრილად ეკიდებოდნენ და მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისთვის თუ იყო ცნობილი.

საბჭოთა კავშირის დაშლამ სტიმული მისცა ქართველი ისტორიკოსების დაინტერესებას ჟაკ ლე გოფის შემოქმედებით. სავსებით მართლზომიერია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემატიკის სერიოზული განხილვის პირველი მცდელობა სწორედ პოსტსაბჭოთა ხანაზე მოდის. პოლიტიკური და იდეოლოგიური წნეხი მოიხსნა. რუსულ ენაზე გამოვიდა ჟაკ ლე გოფის შედევრები. ლე გოფის შემოქმედებამ პოპულარობა მოიხვეჭა და ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. იგი გასცდა სპეციალისტების ვიწრო წრეს.

ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, საგულისხმოა აკადემიკოს როინ მეტრეველის ბროშურა „მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის შუა საუკუნეობრივი სამყაროს“ წაკითხვის შემდეგ“. ფაქტობრივად, ეს არის ქართულ სინამდვილეში ჟაკ ლე გოფის მეცნიერული მემკვიდრეობის გააზრებისა და შეფასების პირველი სერიოზული მცდელობა. ამავე თემას ეხება ამ სტრიქონების ავტორის ნაშრომი „ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ლე გოფის „ხანგრძლივი შუა საუკუნეების“ კონცეფცია“, რაც კიდევ ერთი ნაბიჯია ლე გოფის შემოქმედების პოპულარიზაციის გზაზე.

ჟაკ ლე გოფის მეცნიერულ ძიებებში ყურადღებას იპყრობს და ცენტრალური ადგილი უჭირავს „ხანგრძლივი შუა საუკუნეების“ კონცეფციას. ისიც უნდა ითქვას, რომ „ანალების“ სკოლის ფრანგი ისტორიკოსები, მათ შორის, ცხადია, ჟაკ ლე გოფი, უპირატესად ფრანკოცენტრისტები, საუკეთესო შემთხვევაში რომანოცენტრისტები არიან და უმთავრესად ორიენტირებული ჩანან რომანიზებულ სამყაროზე, ხოლო გერმანულ და სკანდინავიურ სამყაროს შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. ფეოდალიზაციის პროცესის უფრო სრულყოფილად, ამომწურავად წარმოჩენის თვალსაზრისით გერმანულ-სკანდინავიური სამყაროს გათვალისწინება საინტერესო იქნებოდა, — აღნიშნავს პროფესორი არონ გურევიჩი.

მერაბ კალანდაძე

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

ყოველთვიური ჟურნალი!

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან!

ELVA.GE პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნამატის გარეშე ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

მთელ ბალტიისპირეთში ეწყობოდა აქციები სსრკ-თან შეერთების მოთხოვნით

ანექსიის „ტექნოლოგია“

ლიტვის ექსპრემიერის სახიფათო „თამაში“ ბერიასა და სტალინთან

მოსკოვი, 1939 წელი.
ლავრენტი ბერიამ დოსიე დახურა. აგენტი, მეტსახელად „სწავლული“, უამრავ კითხვას აღუძრავდა.
— საინტერესოა, ეს კაცი ჩვენზე მუშაობას რად დათანხმდა?
„სწავლულის“ ნამდვილი გვარ-სახელი აუგუსტინას ვოლდემარასი იყო. ოდესღაც ამ კაცს ლიტვის პრემიერის პოსტი ეკავა.

აუგუსტინას ვოლდემარასი (1893-1942) ლიტველი არისტოკრატის იჯახში დაიბადა, დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. სტაჟირება რომის უნივერსიტეტში გაიარა. როგორც მეცნიერმა, ისტორიისა და ფილოლოგიის დარგში გამოქვეყნებული შრომებით გაითქვა სახელი. პარალელურად, პოლიტიკაშიც აქტიურად ჩაება. 1912 წელს ჩამოაყალიბა პარტია „ლიტველი ერის ნება“, რომელმაც ლიტვის ავტონომია მოითხოვა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამ პარტიის ბაზაზე ტაუტინინკების (ლიტველი ნაციონალისტების)

კავშირი იქმნება. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ვოლდემარასი ანტანას სმეტონასთან ერთად ლიტვის დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთ-ერთი ინიციატორია. აქტიურად მონაწილეობს 1918-1920 წლების ომში. შედეგად ლიტვის დამოუკიდებელი რესპუბლიკა მართლაც შეიქმნა, მაგრამ ეს ძალიან ძვირი დაჯდა. პოლონეთმა ლიტვას მისი ძირძველი დედაქალაქი, ვილნიუსი (პოლონურად ვილნო) წაართვა. ამან არჩევნებში ტაუტინინკების მარცხი განაპირობა. ხელისუფლებაში ისინი 1926 წელს დაბრუნდნენ, როცა პოლკოვნიკმა პლეხავიჩუსმა კანონიერად არჩეული მთავრობა დაამხო. პრეზიდენტის პოსტი კვლავ სმეტონამ დაიკავა, ვოლდემარასი კი პრემიერი გახდა.

— მალე სმეტონასა და ვოლდემარასს შორის ბრძოლა დაიწყო, — წერს ლიტველი ისტორიკოსი და მწერალი იურგის საციკისი.

ვოლდემარასს დიქტატორის ამბიციები ჰქონდა, მაგრამ სმეტონასთან დუელში დამარცხდა. 1929 წელს სმეტონას ბრძანებით ვოლდემარასი თანამდებობიდან მოხსნეს. პრემიერი მარცხს არ შეეპუა. 1934 წელს მან მოაწყო პუტჩი, რომელიც მარცხით დასრულდა. ვოლდემარასი დააპატიმრეს და 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 1938 წელს სმეტონამ ის გაათავისუფლა და ლიტვიდან გააძევა. მიუხედავად ამისა, ვოლდემარასი მაინც განაგრძობდა ძალაუფლებისთვის ბრძოლას.

აუგუსტინას ვოლდემარასი

ლავრენტი ბერია და იოსებ სტალინი



მეოთხე სენი

დოსიეს გაცნობის შემდეგ ბერიამ პაველ სუდოპლატოვი გამოიძახა. საუბარი ძირითადად ვოლდემარასს შეეხო.

— პაველ ანატოლიევიჩ, თქვენ ვოლდემარასს იცნობთ, ხომ ასეა?

— დიახ, — თავი დაუქნია სუდოპლატოვმა, — „სწავლული“ ჩემს უშუალო დაქვემდებარებაშია. რამდენჯერმე პარიზში გავემგზავრე, რათა პირადად შევხვედროდი. ჩვენ გარდა, ვოლდემარასი გერმანელებზე, ინგლისელებსა და ფრანგებზეც მუშაობს.

— პაველ ანატოლიევიჩ, — ბერია ჩაფიქრდა, — ვოლდემარასი ლიტველი რადიკალი ნაციონალისტია, მისი ანტიკომუნიზმი უფრო შეურიგებელია, ვიდრე სმეტონასი. როგორ მოხდა, რომ ჩვენზე მუშაობას დათანხმდა?

— ვოლდემარასი ავადაა! — სუდოპლატოვს სახიდან ღიმილი გაუქრა, — მას აეკ-

ლიტვის რესპუბლიკის პირველი მთავრობა (1918 წლის 18 ნოემბერი — 26 დეკემბერი). ცენტრში: პრემიერ-მინისტრი აუგუსტინას ვოლდემარასი

ვიატა იდეფიქსი, რომ ლიტვის დიქტატორი უნდა გახდეს. ამიტომ ყველაფერზე წავა ამ სურვილის აღსასრულებლად.

შეხვედრა სტოკჰოლმში

1939 წელს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი დაიდო. ორმა დიქტატორმა — სტალინმა და ჰიტლერმა მსოფლიო გადაინაწილა. ლატვია და ესტონეთი საბჭოთა გავლენის ზონაში მოხვდნენ, ლიტვა კი ორმაგი — რუსულ-გერმანული პროტექტორატის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

— ანტანას სმეტონას რეჟიმი ისეთ ხელისუფლებას უნდა ჩაენაცვლებინა, რომელიც ხელსაყრელი იქნებოდა როგორც მოსკოვის, ისე ბერლინისათვისაც, — წერს სამხედრო ისტორიკოსი მიხაილ სემირიაგა.

პაქტის ხელმოწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლავრენტი ბერიამ პარიზში მცხოვრებ ვოლდემარასს შეუთვალა, რომ მასთან შეხვედრა სურდა. ბერია ლიტვის ექსპრემიერს მოსკოვში იწვევდა. ვოლდემარასი არ დათანხმდა. მაშინ ლავრენტიმ შესთავაზა, სადმე ნეიტრალურ ადგილას შევხვდეთო. ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ შეთანხმდნენ, ერთმანეთს შვედეთის დედაქალაქში შეხვედროდნენ.

შეხვედრა სტოკჰოლმში, შინსახკომის კონსპირაციულ ბინაზე მოეწყო. ლავრენტი ლიტველ სტუმარს ყურადღებით აკვირდებოდა. სახის სწორი ნაკვთები, მოკლედ შეკრეჭილი თმა, ამაყად მომზირალი თვალები... — სუდოპლატოვი მართალია, — გაიფიქრა ბერიამ, — ამ კაცს მართლაც დიქტატორობა სურს და ამის გამო ყველაფერზე წავა.

— ბატონო ვოლდემარას, — ბერიამ გაიღიმა, — მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. თქვენთან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს.

ვოლდემარასმა არაფერი უპასუხა. ბერიამ საქმის არსი მოკლედ, ლაკონიურად აუხსნა. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შედეგად რუსეთ-გერმანიას შორის მიღწეულია შეთანხმება, რომ სმეტონას რეჟიმი უფრო ეროვნულმა ხელისუფლებამ ჩაანაცვლოს. ბერიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიტვის მომავალ პრეზიდენტად ვოლდემარასს ხედავს.

— დიდი მადლობა, — ექსპრემიერმა გაიღიმა, — მაგრამ ბატონი სტალინი ამ საკითხზე რას ფიქრობს?

— თქვენთან შეხვედრა მან დამავალა.

— ძალიან კარგი, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუკი სათანადო გარანტიებს თვით ბატონი სტალინისგან მივიღებ, — ვოლდემარასი კვლავ იღიმოდა, — თქვენი მხარდაჭერისთვის უღრმეს მადლობას გიხდით.

პოლონეთმა ლიტვას მისი დედაქალაქი წართვა. პოლონეთის მხედრობა ვილნოში (ვილნიუსში) შედის. 1921 წლის 19 აპრილი

„საქართველოში შეხვედრამდე“

სტოკჰოლმიდან დაბრუნებულმა ბერიამ ყოველივე სტალინს მოახსენა. დიქტატორი ჩაფიქრდა:

— მაშ, ვოლდემარასი მისაღები ფიგურაა?

— თუკი ლიტვა ჩვენი და ბერლინის ერთობლივი კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს, მასზე უკეთესი კანდიდატურა არ არსებობს, — ფიცხლად მიუგო ბერიამ.

— დავუშვათ ასეა, — სტალინი წამით გაჩუმდა, — ვოლდემარასის ხელისუფლებაში მოსვლა რას მოგვცემს?

— ერთ სახლში ორი ბატონი ვერ მორიგდება, — ბერიამ პაუზა გააკეთა, — ადრე თუ გვიან ლიტვა ან ჩვენი უნდა გახდეს, ან გერმანელების. ვოლდემარასის დახმარებით ლიტვა ჩვენი გახდება.

სტალინმა არაფერი უპასუხა. მეორე დღეს გერმანელებს აცნობა, კარგი იქნება, თუკი სმეტონას ვოლდემარასი შეცვლისო. გერმანელები სიხარულით დათანხმდნენ. ამის შემდეგ სტალინმა ვოლდემარასი მოსკოვში მიიწვია და პირადად მიიღო.

საუბარმა სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. დამშვიდობებისას ვოლდემარასმა უთხრა:

— მოხარული ვიქნები, თუკი მალე ლიტვაში გიმასპინძლებთ.

— დიდი მადლობა, — მიუგო სტალინმა, — მაგრამ უფრო გამიხარდებოდა, თუკი თქვენ, როგორც ლიტვის მომავალ პრეზიდენტს, ჩემს მშობლიურ გორში ჩაგიყვანთ და იქაურობას დაგათვალიერებინებთ. რამდენადაც ვიცი, რევოლუციამდე გორში ხშირად ჩადიოდით, ასეა?

— ასეა, — ვოლდემარსამა გაიცინა, — გორშიც ხშირად ჩავდიოდი, თბილისშიც, ქუთაისშიც. ქართული სუფრა ახლაც მახსოვს.

— ჰოდა, მომავალ შეხვედრამდე საქართველოში, — ამ სიტყვებზე ერთმანეთს გულთბილად დაემშვიდობნენ.

ბაზები დედაქალაქის „სანაცვლოდ“

ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლიტვაში ე.წ. ერთიანი წინააღმდეგობის ფრონტი შეიქმნა. მასში გაერთიანდნენ კომუნისტები, ლიაუდინინკები (ხალხოსნები), ესერები და ვოლდემარასის მომხრე ლიტველი რადიკალი ნაციონალისტები, რომლებიც უკიდურეს მემარჯვენე პოზიციებზე იდგნენ. ასეთი კურიოზული ბლოკი ალბათ ისტორიას არ ახსოვს. მართალია, კომუნისტები ერთიანი ფრონტის შემადგენლობაში ვოლდემარასის

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის გაფორმება. 1939 წლის 23 აგვისტო

ანტანას სმეტონა

მომხრეთა მიღებას აპროტესტებდნენ, მაგრამ მათ უბრალოდ ყურს არავინ უგდებდა.

— ხელისუფლებაში ყოფნისას ვოლდემარასი კომუნისტებს სდევნიდა, ზოგიერთი მათი ლიდერი დახვრიტა კიდეც. კომუნისტებიც გაიძახოდნენ, ვოლდემარასი ფაშისტია, ჩვენთან რა უნდაო, მაგრამ მათ არავინ არაფერს ეკითხებოდა. ყველაფერს რუსები წყვეტდნენ, — წერს წინააღმდეგობის ფრონტის ერთ-ერთი ლიდერი, შემდგომში კი ემიგრანტი ერნესტას გალვანაუსკასი.

ვოლდემარასის დახმარებით რუსებმა ლიტვაში თავიანთი პოზიციები განიმტკიცეს. საბჭოთა აგენტურულმა ქსელმა არმიის ზედაფენაში, მთავრობაში და თვით პრეზიდენტ სმეტონას უახლოეს გარემოცვაშიც კი შეაღწია. 1939 წლის 1-ელ სექტემბერს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ლიტველმა კომუნისტებმაც ქვეყანაში საბჭოთა ბაზების განლაგებისთვის აქტიური პროპაგანდა გააჩაღეს. ვოლდემარასი ამაში აშკარად არ მონაწილეობდა, თუმცა თავისი აგენტების მეშვეობით იმდენი მოახერხა, რომ რუსული ბაზების განლაგების მომხრენი მთავრობასა და არმიის ზედაფენაშიც გაჩნდნენ.

— საბჭოთა ბაზების განლაგების საკითხი განსაკუთებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ვარშავა დაეცა, ვილნიუსი (იმჟამად ვილნო) კი საბჭოთა არმიამ დაიკავა. სტალინმა პრეზიდენტ სმეტონას შეუთვალა: მზად ვარ ვილნიუსი დაგიბრუნოთ, სამაგიეროდ ლიტვაში საბჭოთა ბაზები უნდა განლაგდესო. მემარცხენეებმა (კომუნისტები, სოციალისტები) ბაზების განლაგების სასარგებლოდ დემონსტრაციები დაიწყეს. მთავრობაში ვოლდემარასის მომხრეებმა რუსული ბაზების განთავსებას მხარი დაუჭირეს.

— სმეტონა ორმხრივი წნეხის ქვეშ მოექცა. ერთი მხრივ ქუჩა, მეორე მხრივ მთავრობის ცალკეული წევრი და არმიის ზედა ფენის ნაწილი, — წერს გალვანაუსკასი.

ლიტვის პრეზიდენტიც იძულებული გახდა, რუსული ბაზების განთავსებას დაჰყაბულებოდა. სტალინმა „პირობა“ შეასრულა, ლიტველებს პოლონელების მიერ ოკუპირებული ვილნიუსი დაუბრუნა.

ანექსია მომწიფდა

1940 წლის ივნისში ჰიტლერმა საფრანგეთზე ლაშქრობა დაიწყო. მესამე რაიხის

მთელი რესურსები აქეთ იყო მიმართული. სტალინმა მიიჩნია, რომ ბალტიისპირეთში ხელ-ფეხი გაეხსნა.

— ჰიტლერს ახლა ბალტიისპირეთისთვის არ ეცალა. სტალინმაც ამ მხარის ანექსია გადაწყვიტა. ლიტვა, ისევე როგორც ლატვია ან ესტონეთი, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უნდა შესულიყო, — წერს სემირიაგა.

ბალტიისპირეთის ანექსიის გეგმა უშუალოდ სტალინმა დაამტკიცა. თავდაპირველად ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში დამატებითი რუსული ქვეგანაყოფები უნდა განთავსებულიყო. ამის შემდეგ შეიქმნებოდა ე.წ. სახალხო მთავრობები, რომლებიც ნიადაგს მოამზადებდნენ ბალტიისპირეთის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესაყვანად. სტალინმა ამ მთავრობების სია პირადად დაამტკიცა.

— ვოლდემარასს რა ვუყოთ? — ეს საკითხი მთელი სიმწვავით დადგა.

ბერიას ვერდიქტი მოკლე და ლაკონიური იყო. ვოლდემარასი ლიტვის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლას არასდიდებით არ დათანხმდებოდა. სტალინმა შინსახკომის შეფის არგუმენტი მშვიდად მოისმინა.

— ჰო, მაგრამ არც ვოლდემარასის საზღვარგარეთ დატოვება შეიძლება, — ჩუმად წარმოთქვა სტალინმა.

— როგორ მოვიქცეთ?

— კარგი იქნება, თუ ეს ვაჟბატონი ლიტვაში დაბრუნდება. იქიდან მაშინვე მოსკოვში გადმოვიყვანდით, — სტალინი წამით გაჩუმდა, — შემდეგ, შესაძლოა, საბჭოთა ხელისუფლებაც აღიაროს...

საბჭოთა ჯარების შესვლა ვილნიუსში. 1939 წლის 18 სექტემბერი

ლიტვის ჯარები ვილნოში (ვილნიუსში) 1939 წლის 27 ოქტომბერს შევიდნენ, 28 ოქტომბერს კი მათი ოფიციალური დახვედრა მოეწყო. 1940 წლის 3 აგვისტოს ლიტვა ვილნიუსითურთ სსრკ-ის შემადგენლობაში შევიდა

ULTIMATUM

1940 წლის 15 ივნისს ლიტვა-საბჭოთა კავშირის საზღვარზე რუსებმა პროვოკაცია მოაწყვეს. კრემლმა მომხდარში ლიტველები დაადანაშაულა. მალე ლიტვის მთავრობას ულტიმატუმი წაუყენეს:

1. დაუყოვნებლივ მიეცნენ პასუხისგებაში შინაგან საქმეთა მინისტრი აგუსტინას პოვილაიტისი და უშიშროების დეპარტამენტის შეფი კაზის სკუჩასი, როგორც ანტისაბჭოთა პროვოკაციების ძირითადი ორგანიზატორები;

2. ლიტვის ხელისუფლებამ უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიაზე დამატებითი საბჭოთა ქვეგანაყოფების განთავსება;

3. შეიქმნას ახალი მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს ლიტვა-საბჭოთა კავშირს შორის დადებული პაქტის შესრულებას (ლიტვის ხელისუფლებას გადაეცა ამ „მთავრობის“ სრული სია).

პრეზიდენტმა სმეტონამ ულტიმატუმის უარყოფა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა მოითხოვა. მთავრობის ბევრმა წევრმა, მათ შორს პრემიერმა ანტანას მერკისმა, ამას მხარი არ დაუჭირა. რუსების მხარეს დადგა თავდაცვის მინისტრი, გენერალი ვინცას ვიტკაუსკასიც. სმეტონამ ლიტვა დატოვა და ემიგრაციაში გაემგზავრა. 1940 წლის 16

ივნისს ლიტვაში რუსული არმია შევიდა. შეიქმნა ე.წ. სახალხო მთავრობა, რომელსაც სათავეში ცნობილი მემარცხენე ჟურნალისტი იუსტას პალეცკისი ჩაუდგა. ლიტვის ოკუპაცია 24 საათში დასრულდა. ამის შემდეგ უკვე ანექსიის პროცესი დაიწყო.

ხაფანგი

ვოლდემარასი ამ დროს სტოკჰოლმში იმყოფებოდა. რუსულმა ულტიმატუმმა და ხელისუფლებაში იუსტას პალეცკისის მოსვლამ მასზე დამთრგუნველი ეფექტი მოახდინა. ამ დროს ვოლდემარასმა სტალინის ოფიციალური წერილი მიიღო. საბჭოთა დიქტატორი მას ლიტვაში ჩასვლასა და ახალი მთავრობის სათავეში ჩადგომას სთავაზობდა.

— ვოლდემარასი თავდაპირველად შეყოყმანდა, თუმცა შემდეგ მაინც დათანხმდა. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ სტალინი ლიტვის ანექსიას აპირებდა, — წერს მიხაილ სემირიაგა.

ვოლდემარასი დათანხმდა, ლიტვა რუსეთის სატელიტი გამხდარიყო. ცოლს ასეც უთხრა: — დღეს ან რუსებთან უნდა ვიყოთ, ან გერმანელებთან. ამ ორი ბოროტებიდან ისევ რუსეთი მირჩევნია. სტალინმა ლიტვაში ჯარი შეიყვანა. საამისოდ დროც ზუსტად შეარჩია, ჰიტლერი საფრანგეთის დაპყრობითაა გართული და ბალტიისპირეთისთვის არ სცალია. სტალინი ხედავს, რომ გერმანიასთან ომი გარდაუვალია და ბალტიისპირეთის ქვეყნები მოკავშირეებად სჭირდება. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ხომ მტკიცე ანტიგერმანულ პოზიციებზე დგანან და ეს საზოგადოების ყველა ფენას ეხება.

— დარწმუნებული ხარ, რომ რუსეთი ლიტვის ანექსიას არ აპირებს?- შეეკითხა ცოლი.

— რა თქმა უნდა! — ვოლდემარასმა გაიცინა, — საბჭოთა კავშირში შესვლა ხომ ლიტველი კომუნისტების მეტს არავის უნდა! კომპარტია კი მცირერიცხოვანი, უკიდურესად არაპოპულარული ორგანიზაციაა!

— სტალინი რუსულ ხიშტებს ეყრდნობა და არა ლიტველ კომუნისტებს.

— სტალინი ჭკვიანი კაცია! როგორ, გერმანიასთან ომის წინ ანტიგერმანულად განწყობილ ლიტვას მტრად გადაიკიდებს? არავითარ შემთხვევაში!

ვოლდემარასიც კაუნასში გაემგზავრა. ძალაუფლების დაბრუნების ცდუნება ძალიან დიდი იყო, თუმცა გული მაინც ცუდს უგრძნობდა და ცოლი სტოკჰოლმში დატოვა.

კაუნასში ჩასვლისთანავე ვოლდემარასი დააპატიმრეს. ექსპრემიერი ვაგზალშივე აიყვანეს. რამდენიმე საათში იგი უკვე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იყო.

აღსასრული

პატიმრობაში ვოლდემარასმა ორი თვე გაატარა. ის ბუტირკის ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული. ორი თვის შემდეგ ლიტვის ექსპრემიერი გაათავისუფლეს.

— ეს ბერიას პროტექციის შედეგად მოხ-

ლიტვის სახალხო სეიმის დელეგაციის მოსკოვში ჩასვლის დღეს, ლიტვის სსრ-ის პრემიერ-მინისტრი იუსტას პალეცკისი მიტინგზე მისალმებით გამოდის

კაუნასელები მიესალმებიან ლიტვის შესვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში

და, — წერს სუკის ყოფილი ოფიცერი გალინსკისი, — მან შეძლო სტალინის დარწმუნება, რომ ვოლდემარასის გათავისუფლება საშიში არ იქნებოდა.

გათავისუფლებული ვოლდემარასი ორჯონიკიძეში (ამჟამინდელი ვლადიკავკაზი) გაემგზავრა, სადაც შინსახკომის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა. თუმცა ეს ყოველივე 1941 წლის 22 ივნისს დამთავრდა, როცა ჰიტლერული გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს. ვოლდემარასი კვლავ დააპატიმრეს. ერთხანს ორჯონიკიძის ციხეში გამოამწყვდიეს, შემდეგ თბილისში გადაიყვანეს, 1942 წლის მაისში კი მოსკოვში. ბერია მას პირადად ესაუბრა.

— ამხანაგი სტალინი მზადაა ნდობა გამოგიცხადოთ, — ჩუმად წარმოთქვა ლავრენტიმ, — შექმნილია ანტიფაშისტური კომიტეტი, რომლის ამოცანაც ლიტვის ტერიტორიაზე პარტიზანული მოძრაობის ორგანიზებაა. ამხანაგი სტალინი გთავაზობთ, ამ კომიტეტს სათავეში ჩაუდგეთ.

— დიდი მადლობა, — ცივად წარმოთქვა ვოლდემარასმა, — მაგრამ ომის შემდეგ ლიტვის დამოუკიდებლობა თუ აღდგება?

— ლიტვა ისედაც დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ისევე რიგორც საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკა.

— გასაგებია, — ვოლდემარასმა გესლიანად გაიღიმა, — ლიტველები ამას არასოდეს შეურიგდებიან, არც მე შევურიგდები.

— კარგად დაფიქრდით, — ბერია წამით გაჩუმდა, — ასეთი გაჯიუტება შესაძლოა ძალიან ძვირი დაგიჯდეთ.

— არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც აღარაფრის აღარ გეშინია, — ვოლდემარასი ჩაფიქრდა, — მე მზად ვიყავი თქვენთან მეთანამშრომლა, ახლაც მზად ვარ, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: ლიტვა დამოუკიდებელი უნდა იყოს! კი ბატონო, რუსეთის მოკავშირენი ვიქნებით, რუსულ ბაზებზეც თანახმა ვართ, მაგრამ მოსკოვთან ჩვენი თანამშრომლობა შესაძლებელია როგორც სახელმწიფოსი სახელმწიფოსთან! სხვა ნებისმიერი ვარიანტი გამორიცხულია.

— ომის შემდეგ ლიტვაში და ბალტიისპირეთში ბევრი რამ შეიცვლება.

— ეს ცარიელი სიტყვებია, — აღნიშნა ვოლდემარასმა, — საბჭოთა მთავრობამ უნდა გააკეთოს ოფიციალური განცხადება, რომ 1940 წლის ანექსია შეცდომა იყო და საჯაროდ მოგვცეს პირობა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა აღდგება.

— კარგად დაფიქრდით, ასეთი გაჯიუტება შესაძლოა სიცოცხლის ფასად დაგიჯდეთ!

— მე უკვე ყველაფერი მოვიფიქრე, — მტკიცედ მიუგო ვოლდემარასმა.

ლიტვის ექსპრემიერი კვლავ ბუტირკის ციხეში დააბრუნეს, სადაც ის 1942 წლის 16 დეკემბერს გარდაიცვალა.

ნიკა თევზაძე

ისტორიის დოქტორი

„ᲯᲘᲜᲘ" 200-ᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲝᲗᲚᲘᲓᲐᲜ

პოლონეთის სანაპიროსთან, ბალტიის ზღვის ფსკერზე 200 წლის ბოთლი იპოვეს. ალკოჰოლური სასმლით სავსე უძველეს კერამიკულ ჭურჭელს ამკობს წარწერა — Selters-ი (ზელტერის წყალი). მეცნიერებმა მას მაშინ მიაკვლიეს, როდესაც გდანსკის ყურეში, პოლონეთის საზღვართან ახლოს ხომალდ F-53-31-ის ჩაძირვის ადგილს სწავლობდნენ.

ბოთლი დაუყოვნებლივ გაგზავნეს ექსპერტიზისთვის. შიგთავსის ანალიზმა აჩვენა, რომ მასში 14%-იანი ალკოჰოლია — წყლით გაზავებული არაყი ან ჯინი.

თავად მარკა შელტერს-ი კი მაღალხარისხიანი მინერალური წყლის მწარმოებელია, რომელიც გერმანიაში, ტაუნუსის მთებში 1000 წლის წინ აღმოაჩინეს. ეს ერთ-ერთი უძველესი მინერალური წყალია ევროპაში.

ჩაძირული ხომალდის სამძებრო სამუშაოებს ნაციონალური საზღვაო მუზეუმის წყალქვეშა არქეოლოგი თომას ბედნარზი ხელმძღვანელობდა. მისი შეფასებით, ბოთლი 1806-1830 წლებს განეკუთვნება.

30-სანტიმეტრიანი ჭურჭელი, რომელშიც ერთ ლიტრამდე სითხე იყო, Selters-ის წყაროებიდან დაახლოებით 40 კილომეტრში, რანშბახში დაამზადეს.

მომზადებულია
livescience-ის მიხედვით

წყალქვეშა არქეოლოგი თომას ბედნარზი

რიჩარდ III-ის „მეფობა ღვინისთვის“

ბრიტანეთის მონარქის, რიჩარდ III-ის ნეშტის ანალიზმა აჩვენა, რომ ის ფარშევანგის, გედისა და ყანჩის ხორცით იკვებებოდა. სასმელებიდან კი ღვინო მოსწონდა და ეს მოწონება განსაკუთრებით ტახტზე ასვლის შემდეგ გაუმძაფრდა.

რიჩარდ III-ის ბრინჯაოს სკულპტურა

მეცნიერთა მტკიცებით, 2012 წელს ლესტერში აღმოჩენილი მონარქის ნეშტის გამოკვლევის შემდეგ მათ შეძლეს აღედგინათ პლანტაგენეტების საგვარეულოს უკანასკნელი მეფის „ცხოვრების ისტორია“.

კვლევას იზოტოპების გეოქიმიკოსი ანჟელა ლემბიც აწარმოებდა. ის ამბობს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია კბილების ანალიზის შედეგად მიიღეს.

ანჟელა ლემბი: „კბილები ბავშვობაში ვითარდება და არ იცვლება. ამიტომ მათი საშუალებით ადამიანის ცხოვრების პირველი წლების შესახებაც შეიძლება ინფორმაციის მიღება. ძვლები კი იცვლება, ხდება მისი რეკონსტრუქცია და აღდგენა და სხვადასხვა მონაკვეთის მიხედვით შეიცავს ინფორმაციას ცხოვრების ბოლო 10-15 ან 2-3 წლის შესახებ“.

რიჩარდ მესამის შემთხვევაში ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მან მონარქის ტახტი 1485 წელს, ბოსუორთის ბრძოლაში დაღუპვამდე სულ რაღაც 26 თვით ადრე დაიკავა.

რიჩარდ ბაკლი *(ლესტერის უნივერსიტეტის არქეოლოგი):* „იზოტოპიურმა ანალიზმა აჩვენა, როგორ იცვლებოდა მეფის გარემო, რა ცვლილებები შევიდა მონარქის დიეტაში 1483 წელს, როცა ტახტი დაიკავა“.

ამ ანალიზების თანახმად, რიჩარდ მესამე აღმოსავლეთ ინგლისში დაიბადა, მაგრამ ბავშვობის ნაწილი დასავლეთში გაატარა. სიცოცხლის ბოლო პერიოდში კი, ანჟელა ლემბის ცნობით, დიდი ბრიტანეთის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში ცხოვრობდა. მაგრამ ისტორიულ წყაროებში ამაზე ინფორმაცია არ არის და ამიტომ მეცნიერები ახლა სხვა ახსნას ეძებენ.

კვლევებით ასევე დადგინდა, რომ მონარქი ლუდს არ წყალობდა და ღვინოს მიირთმევდა. ღვინო ამ პერიოდში იშვიათი, ძვირად ღირებული და იმპორტირებული ელიტარული სასმელი იყო, რომლის შეძენაც მხოლოდ განსაკუთრებით მდიდარ ადამიანებს შეეძლოთ.

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მონარქი ყოველ დღე ერთ ბოთლ ღვინოს სვამდა.

მომზადებულია BBC-ის მიხედვით

კრონბორგი

ჰამლეტის ციხე-დარბაზი

კრონბორგი დანიის ყველაზე სახელგანთქმული ციხე-დარბაზია ქალაქ ელსინორის (იგივე ჰელსინგერის) მახლობლად, კუნძულ ზელანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამ ადგილზე დანიისა და შვედეთის გამყოფი ერესუნის სრუტის სიგანე სულ რაღაც 4 კილომეტრია, რაც დიდხანს ანიჭებდა ციხე-დარბაზს დიდ სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას. იგი იუნესკოს მიერ შეტანილია მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, როგორც ჩრდილოეთ ევროპაში აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-დარბაზი.

უზარმაზარი ციხე-დარბაზის გაჩენამდე კრონბორგის ადგილას აგურის სიმაგრე კროგენი იდგა, რომელიც 1420-იან წლებში მეფე ერიკ პომერანიელმა ააშენა. სიმაგრე წარმოადგენდა გალავნით გარშემორტყმულ რამდენიმე შენობას, რომლის ძირითადი დანიშნულება ბალტიის ზღვიდან გამავალი ხომალდებისგან ბაჟის აკრეფა იყო.

თავისი დღევანდელი სახელწოდება კრონბორგმა 1582 წელს მიიღო, როცა მეფე ფრედერიკ II-მ იგი მთლიანად გადააკეთა და საბოლოოდ აღორძინების ეპოქის გამორჩეულ ევროპულ ციხე-დარბაზად აქცია. მშენებლობა თავდაპირველად 1574 წელს დაიწყო არქიტექტორმა ჰანს პასკემ. მას დაევალა აეგო სამეფო ქალაქგარე რეზიდენცია ისე,

კრონბორგის ციხე-დარბაზი

რომ სასახლეს შეენარჩუნებინა ციხესიმაგრის დანიშნულებაც. თუმცა, 7 წლის შემდეგ პასკე ფინანსების პირადი მიზნით გამოყენებისთვის დააპატიმრეს. მის ნაცვლად კი მეფემ ჰოლანდიელი არქიტექტორი ანტონიუს ოპ-ბერგენი მოიწვია. 1582 წელს კომპლექსი აკურთხეს და „გვირგვინის ციხე-დარბაზი“, ანუ კრონბორგი უწოდეს. სამუშაოები კი საბოლოოდ 1585 წელს დასრულდა.

კრონბორგის მშენებლობისას აგურთან ერთად იყენებდნენ ქვას, რომელიც მოჰქონდათ ჰოლანდიიდან, ნორვეგიიდან და კუნძულ გოტლანდიდან. შედეგად, კრონბორგი გახდა დანიის მეფეთა პირველი რეზიდენცია, რომელიც გარედან თლილი ქვით იყო მოპირკეთებული. კომპლექსს თითქმის კვადარტული ფორმა ჰქონდა, მის კუთხეებში კი მრგვალი კოშკები აღმართულიყო.

1629 წლის 25 სექტემბერს კრონბორგი თითქმის მთლიანად დაიწვა. გადარჩა მხოლოდ სამრეკლო. ფრედერიკ II-ის მემკვიდრემ, მეფე კრისტიან IV-მ, 1639 წლისთვის ციხე-დარბაზის გარეგნული სახე პრაქტიკულად სრულად აღადგინა, თუმცა ინტერიერების ბოლომდე აღდგენა ვერ მოხერხდა. საერთოდ, კრისტიან IV-ის სახელთანაა დაკავშირებული დღევანდელი დანიის უამრავი გამორჩეული ნაგებობა — კოპენჰაგენის მრგვალი კოშკი და ბირჟის შენობა, როზენბორგის სასახლე, ქალაქგარე სამეფო რეზიდენცია ფრედერიკ-

ჯიშკრის დეტალი

კრონბორგის შიდა ეზო სხვადასხვა რაკურსით

სბორგი და მრავალი სხვა, რის გამოც მას ხალხმა „აღმშენებელი“ უწოდა. კრონბორგმაც სწორედ მის ხელში მიიღო დასრულებული სახე.

ციხე-დარბაზში შესასვლელი ჭიშკარი ჩრდილოეთის მხრიდან დამშვენებულია პორტალით, ფლანკირებული (ანუ ცენტრისადმი სიმეტრიულად განლაგებული) კოლონებით და მდიდრულადაა შემკული ქვის ორნამენტებით. თავდაპირველად ჭიშკარი ცალკე იდგა — ციხე-დარბაზის გარშემო არსებული თხრილის გადაღმა, ხოლო სიმაგრის კედლები თავის კაზემატებიანად ჭიშკრამდე მოგვიანებით მიიყვანეს.

სამი მხრიდან კრონბორგი შემორტყმულია მიწაყრილებითა და თხრილებით. მისი მეოთხე — ზღვისკენ მიმართული მხარე თავდაპირველად უფრო დაბალი — ერთსართულიანი

ციხე-დარბაზის მაკეტი მთავარი შესასვლელის წინ

იყო, ბასტიონების თავზე არ მაღლდებოდა და აქედან ზღვის უფრო ფართო ხედი იშლებოდა. მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა „ფრედერიკის ბასტიონს“. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ადრე არსებული კროგენის ციხესიმაგრის გადაკეთებულ ძველ ბასტიონს. ციხე-დარბაზის შესასვლელი ჭიშკრიდან ფრედერიკის ბასტიონამდე საიდუმლო მიწისქვეშა გვირაბი იყო გაყვანილი.

კრისტიან IV-ის მეფობის პერიოდში მედიდური ციხე-დარბაზი დანიის ძლევამოსილების უთვალსაჩინოესი სიმბოლო იყო. როგორც სახელმწიფო ციხესიმაგრე, იცავდა ერესუნის სრუტის შესასვლელს, ხოლო მოსახლეობას აგონებდა „ოქროს ხანას“, როცა სრუტის ორივე ნაპირი დანიის სამფლობელო იყო და აქ გამავალი ნებისმიერი გემი ბაჟს იხდიდა.

1658 წელს კრონბორგი შვედებმა დაიპყრეს კარლოს გუსტავ ვრანგელის სარდლობით, ხოლო როცა ციხე-დარბაზი კვლავ დანიის მფლობელობაში დაბრუნდა, გადაწყდა მასთან მისასვლელი სახმელეთო გზების გამაგრება, რისთვისაც 1688-1691 წლებში ციხე-დარბაზთან მასიური კრონვერკი ააგეს. კრონვერკი (გერმანულად — გვირგვინის ფორმის სიმაგრე) წარმოადგენს ციხესიმაგრის გასამაგრებელ ნაგებობათა კომპლექსს, რომელიც შედგება გალავნებით შეერთებული ერთი ცენტრალური ბასტიონისა და ორი საფლანგო ნახევარბასტიონისგან, რაც მას გვირგვინის მოყვანილობას აძლევს და რომელიც ძირითადი ციხესიმაგრის გალავანთან ორი გრძელი გვერდითი კედლითაა შეერთებული.

სამეფო ოჯახი XVIII საუკუნის შემდეგ კრონბორგის ციხე-დარბაზს საცხოვრებლად სულ უფრო იშვიათად იყენებდა. 1739 წლიდან XIX საუკუნის შუა ხანებამდე კი კრონბორგს, სამხედრო დანიშნულების გარდა, ციხის როლიც დაეკისრა. ერთ დროს სამეფო ციხე-დარბაზის ყველაზე ცნობილი პატიმარი კი გახდა კაროლინა-მატილდა უელსელი, მეფე კრისტიან VII-ის ცოლი და გეორგ III-ის და, რომელმაც პატიმრობაში სულ რაღაც 3 თვე გაატარა (1772 წლის 17 იანვრიდან 30 აპრილამდე). 1785 წლიდან 1924 წლამდე კრონბორგი მთლიანად დანიის სამხედროთა განკარგულებაში იყო, თუმცა უკანასკნელმა ჯარიკაცმა სიმაგრე მხოლოდ 1991 წელს დატოვა, როცა გაუქმდა 1425

ციხე-დარბაზს დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და სათანადოდაც იყო გამაგრებული

კრომვერკი — გვირგვინის ფორმის გასამაგრებელ ნაგებობათა კომპლექსი

ზემოთ: სატახტო დარბაზი. ქვემოთ: სამეფო სასადილო ოთახი

ზემოთ: საზღვაო მუზეუმი კრონბორგში. ქვემოთ: მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზი

წლიდან უწყვეტად მოქმედი ელსინორის გარნიზონი.

სწორედ ელსინორის სახელითაა ციხე-დარბაზი კრონბორგი ცნობილი მთელი მსოფლიოსთვის — როგორც შექსპირის პიესა „ჰამლეტის“ მოქმედების ადგილი. სინამდვილეში დანიის პრინცი ჰამლეტი აქ ვერ იცხოვრებდა, რადგან პიესაში მოქმედება კრონბორგის აგებამდე ასწლეულებით ადრე ხდება. არც იმის საბუთი არსებობს, რომ თავად უილიამ შექსპირი ციხე-დარბაზს ოდესმე სწვევია. მიუხედავად ამისა, 1816 წელს, დიდი დრამატურგის გარდაცვალების 200 წლისთავის აღსანიშნავად, „ჰამლეტი“ ციხე-დარბაზში დაიდგა და ამ პირველ დადგმაში მასობრივ სცენებში ელსინორის გარნიზონის ჯარისკაცები გამოდიოდნენ. მას შემდეგ პიესა დანიის პრინცის შესახებ აქ მუდმივად იდგმება — ყოველწლიურად მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან თეატრალური დასები „ჰამლეტის“ საკუთარი ვერსიის საჩვენებლად. ციხე-დარბაზისკენ მიმავალ გზაზე კი დგას ჰამლეტისა და ოფელიას ქანდაკებები, რომელსაც არც ერთი ტურისტი გვერდს არ უვლის...

კრონბორგი დანიის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული ცენტრია, რომელსაც ყოველწლიურად ასობით ათასი ადამიანი სტუმრობს. ტურისტებისთვის ღიაა ციხე-დარბაზის ბასტიონები, დარბაზები და მრავალრიცხოვანი ოთახები, მიწისქვეშა საკნები და სამრეკლო. 2010 წელს ტურისტებისთვის გაიხსნა „დენთის სახლი“. 1915 წლიდან კრონბორგში მუშაობს დანიის საზღვაო მუზეუმი, რომელიც დანიის ფლოტის ისტორიას ასახავს აღორძინების ეპოქის დროიდან დღემდე. შარშან მუზეუმი იქვე არსებული „მშრალი დოკის“ განახლებულ ნაგებობებში გადაიტანეს, რასაც თავად დანიის დედოფალი მარგრეტე II დაესწრო. კრონბორგში ყველა ტურისტს აუცილებლად ურჩევენ, ციხე-დარბაზის სარდაფების სიღრმეში ნახონ დანიის სახელმწიფოს დამაარსებლის — ლეგენდარული მეფე ჰოლგერ-დანსკეს მჯდომარე ქანდაკება. ლეგენდის თანახმად, მას მანამდე სძინავს, სანამ დანიას სასიკვდილო საფრთხე არ დაემუქრება. და თუ ასეთი მოხდა, გოლიათი მეფე გაიღვიძებს და თავის ხმალს მამულის მტრებს ისე დაჰკრავს, რომ ამ ხმას მთელი ქვეყნიერება გაიგონებს.

რამაზ გურგენიძე

ჰოლგერ-დანსკე (დანიურად — Holger Danske, გერმანულად — Holger De Denemarche, ინგლისურად — Ogier the Dane, ფრანგულად — Olgerus dux Daniæ), რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ოჟიე არდენელი. სინამდვილეში ის ერთ-ერთი გმირია ფრანგული ეპიკური თქმულებების და მათ შორის ისეთი ციკლის, რომელიც კარლოს დიდის ქმედებებს ეხება. იქ ოჟიე იმპერატორის ერთ-ერთ აჯანყებულ მომხრედაა გამოყვანილი. თარგმანის არასწორი ინტერპრეტაციის გამო XVI საუკუნიდან მოყოლებული ის „მეფე ჰოლგერი“ და ლეგენდარული „დანიის სახელმწიფოს დამაარსებელია“ — დანიელი ხალხისთვის ის ეროვნულ გმირად და მოქმედ ისტორიულ ფიგურად იქცა. ქვეყანაში მისი არაერთი ქანდაკება დგას, ყველაზე ფართოდ ცნობილი კი სწორედ ის არის, რომელიც კრონბორგის სარდაფებში მშობლიური მიწის სიმშვიდეს მძინარე დარაჯობს.

ᲡᲔᲕᲓᲐᲜᲐᲠᲔᲕᲘ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

გოგი დოლიძე

წლებს თავისი მიაქვს. უამრავი ახლობელი წავიდა ჩვენგან. ადამიანებთან ურთიერთობებისგან კი სევდანარევი მხიარული მოგონებები რჩება, რომლებიც ძალიან ძვირფასია ჩვენთვის.
გთავაზობთ რამდენიმე ასეთ მოგონებას, რომლებიც ჩემი ძველი ჩანაწერებიდან შევარჩიე.

ᲐᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲛᲡᲕᲐᲛ?

ერთხელ, 80-იან წლებში, ჰამბურგიდან თბილისში მოვფრინავდი. ვნუკოვოს აეროპორტში ამბები ხდებოდა, ვერც წარმოიდგენთ — დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. ბილეთები თბილისზე მარტო იმ დღის კი არა, მთელი ორი კვირის რეისებზე არ იყო. როგორც იქნა, რაღაც მოვახერხე და თვითმფრინავის სალონშიც აღმოვჩნდი ჩემი დიდი ჩანთით (ჩაბარება არ გამოდიოდა, ყველაფერს იპარავდნენ). ეს ჩანთა, სანამ მოვწესრიგდებოდი და მისთვის ადგილს გამოვძებნიდი, გვერდით საგარძელზე დავდე.

ამ დროს სტიუარდესა მოვიდა და მთხოვა, ჩანთა ამეღო, „ცისფერი ტრიო“ მოფრინავს და გოგი დოლიძეო. ტრიო უკვე მოგათავსე და ჩანთა რომ დევს, ეგ ადგილი გოგისთვის მინდაო!

— გოგი დოლიძე არ ვიცი, ამ ჩანთას რომ უყურებ, მთელი ოჯახი და საახლობლო ელოდება და ვერ მოგცემ-მეთქი, — ეს ისე, ხუმრობით (ოღონდ ძალიან სერიოზული ტონით) ვუთხარი, თორემ ძლივს ნაშოვნი ერთი ბილეთით ორ ადგილს ვინ მომცემდა.

სტიუარდესა ჩემმა უარმა დააფრთხო და აღარ იცოდა, რა ექნა. მე კიდევ უფრო „გავამძაფრე“ სიტუაცია: — იდგეს და თანაც გვიმღეროს, მისი საქმე სიმღერაა-მეთქი, შევთავაზე!

სტიუარდესა ნელ-ნელა წავიდა სალონისკენ (დარწმუნებული ვიყავი, ორ წუთში ხომალდის მეთაურს შემოიყვანდა) და უცებ, სიმღერა მომესმა, — გოგი მადგა თავზე და მღეროდა!

— არც ახლა დამსვამო? — მკითხა.

მთელი „გზა“ სულ სიმღერ-სიმღერით ვიფრინეთ...

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡ ᲦᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲡᲐᲣᲖᲛᲔᲗ!..

მე და დათო ახობაძე თანაკურსელები ვიყავით. უნივერსიტეტში ვსწავლობდით, და-

სავლეთ ევროპულზე. დათო კონსტანტინე გამსახურდიას შვილიშვილი იყო, მისი უფროსი ქალიშვილის, ნათელას ვაჟი. ერთხელ დათომ შემომთავაზა, საღამოს ბაბუასთან ვივახშმოთ, თან „მუკუზანიც“ დავლიოთო. უარს როგორ ვეტყოდი.

ავედით კოლხურ კოშკში, ბატონმა ზვიადმა და დათომ ბატონ კონსტანტინესთან წარმადგინეს. უკვე საკმაოდ მოხუცი იყო.

„მუკუზანს“ გვიანობამდე შევყევით და მათთან დარჩენა შემომთავაზეს. მეც ამაყად დავრეკე შინ და ჩემებს მოვახსენე, რომ კოლხურ კოშკში ვრჩებოდი.

ბიჭები დიდხანს ვისხედით სუფრასთან, გამთენიისას დავიშალეთ.

დამაძინეს ოთახში, სადაც ბატონ კონსტანტინეს კედელზე ნაჩუქარი იარაღი გამოეფინა: ხმლები, ხანჯლები, თოფი, დანები...

იქნებოდა ასე დილის 9-10 საათი, როცა ოთახში ვიღაცის შემოსვლის ხმაურმა გამაღვიძა. წამოვდექი და რას ვხედავ, ბატონი კოწია მადგას თავზე გაოცებული. მიყურებს, მიყურებს და უცბად ატეხა ყვირილი, — ქურდი შემოსულაო!

თანაც სატევრისკენ იწევს, უნდა ავჩეხოო!

დავიბენი, არ გინდა, ამხელა კლასიკოსის წინაში ტრუსით დადგე?

თანაც, გკლავს!

ამ დროს დათო და ზვიადიც შემოცვივდნენ და ძლივს დააწყნარეს აღელვებული კლასიკოსი.

მე კი ამჯერად შემომთავაზეს, ჩაიცვი და ერთად ვისაუზმოთო!

როგორც იქნა, ჩავიცვი, მოვუტრიალდი მეგობრებს, კლასიკოს წინაპართან თქვენ ისაუზმეთ-მეთქი და სირბილით ისე დავეშვი გალის ქუჩაზე, უკან არც მიმიხედავს...

ახალი „მეთოდი“

გასული საუკუნის 70-იანი წლებია. ცნობილი მომღერალი და ლოტბარი მამია ხატელიშვილი, მამაჩემის მეგობარი იყო. რამდენადაც კარგი მუსიკოსი გახლდათ, იმდენად ცუდი მძღოლი. არადა, ხშირად უწევდა რაიონებში გამგზავრება (ადგილობრივ მომღერალთა გუნდებს ამზადებდა) და ასევე ხშირად ხან ხეს შეეჯახებოდა და ხან გაჩერებულ მანქანას... ერთ-ერთი მორიგი ასეთი „წარმატებული“ ტურნეს შემდეგ მუსკომედიის თეატრის დირექტორის, ბატონ აკაკი

კონსტანტინე გამსახურდია

გოგუაძის კაბინეტში მამიასა და მისი მეგობრების ე.წ. სასტავი შეკრებილიყო „საქმის“ შესასწავლად. მათ შორის იყო კომპოზიტორი არჩილ კერესელიძეც. ზოგი როგორ არიგებდა და ზოგი როგორ მამიას, რომ ყურადღებით უნდა ყოფილიყო ან სულაც საჭე ვინმე გამოცდილისთვის მიენდო, სანამ გვიან არ იყო. არჩილ კერესელიძემ აიღო სიტყვა. ერთხანს მთელი სერიოზულობით უხსნიდა მამიას, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ უსაფრთხოდ ემგზავრა. მერე კი ასევე სერიოზული ტონით დასძინა: — კაცმა რომ თქვას, სულ ტყუილად დადიხარ ამ რაიონებში. დაიბარე ეგ შენი მომღერლები კვირაში ერთხელ რიკოთზე. იქამდე როგორმე ჩვენ ჩაგიყვანთ. დადექი „პერევალზე“, ყველაზე მაღალ ადგილას, აქნიე ხელები და ასე მოამზადე გუნდებიო.

შემიხვიეთ... ლენინი!

მსახიობი რამაზ გიორგობიანი მეგობრებს ყოველთვის გვაოცებდა თავისი არაორდინარული ხუმრობებით.

ინდოეთიდან მოსკოვში დავბრუნდი და გავიგე, რომ რამაზს სახელმწიფო პრემია მიუღია ელდარ შენგელაიას ფილმ „ცისფერ

კადრი ფილმიდან „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“. რამაზ გიორგობიანი და დარეჯან სუმბათაშვილი

მარცხნიდან: ლევან ჭუბაბრია და მიტო მანჯგალაძე

მთებში“ შესრულებული როლისთვის და თურმე ჩემი ძმაც, კინოდოკუმენტალისტი ზურაბ ჭუბაბრიაც ახლდა თან.

მივედი სასტუმროში, შევედი ნომერში და რას ვხედავ!

რამაზი და ზურა სახელმწიფო პრემიას „ასველებენ“. მაგიდაზე კი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ლენინის ბიუსტები „მატრიოშკებივითაა“ ჩალაგებული!

განცვიფრებულს იცით, რა მითხრა?

— იმაზე მაგარი რა არის, ბიჭო! სასტუმრო „მოსკვაში“, სუვენირების მაღაზიაში რომ შეხვალ და ეტყვი — пожалуйста, заверните мне Ленина (გეთაყვა, შემიხვიეთ ლენინი!).

* * *

ჩემი უახლოესი მეგობარი იყო მხატვარი და არქიტექტორი მიტო მანჯგალაძე. ვერ ვიხსენებ ვერც ჩემს და ვერც მის მეგობარს, ახლობელსა თუ უცხოს, მიტოსთვის რამე ეთხოვოს და მას დახმარებაზე უარი ეთქვას. თან ისეთი მახვილი იუმორი ჰქონდა...

ერთხელ ინდოეთში ვართ მივლინებით და საბჭოთა საელჩოს ექიმი გვიხსნის, ჭამის წინ ხელები აუცილებლად უნდა დაიბანოთ, ვინაიდან აქ უამრავი დაავადება მძვინვარებსო(!).

ამ დროს გაისმა რუსულად: — Ты мудак (შე ბრიყვო!)!..

ყველამ გაიხედა და მიტო დაინახეს!

— ხელების დაბანა შინ უნდა გესწავლა და ინდოეთს რაც შეეხება, ინგლისელებმა ყველაზე კარგი ანტისეპტიკი გამოიგონეს ვისკის სახითო.

რუს ექიმს ფერი ეცვალა. 1985 წელი იყო და მთელი სისასტიკით მძვინვარებდა ანტიალკოჰოლური კანონი!

* * *

თურქეთთან საზღვარი ახალი გახსნილი იყო და მიტო ტრაპიზონში გაემგზავრა.

ჩამოსვლისას ვკითხე, როგორ მოგეწონა-მეთქი!

— რა უნდა მომწონებოდა, თურქეთის სოღანლუღში ვიყავიო.

* * *

მიტომ აკაპულკოში ფაეტონი დაიქირავა, მოართვევინა გასაბერი ბუშტებით, ჩაჯდა, სიგარას მოუკიდა და ქალაქის ცენტრში გაისეირნა. გზაში სიგარით ბუშტებს ხეთქავს.

მეგობარი ეუბნება, მიტო, არ გინდა, ქართველებმა არ დაგვინახონო (ამ დროს რუსთაველის თეატრს ჰქონდა გასტროლები მექსიკაში), სირცხვილიაო!

— ქართველებმა რომ დამინახონ, იმიტომ ვაკეთებ, თორემ აკაპულკოში ჩამოსულ მილიონრებს რაში აინტერესებთ, მიტო მანჯგალაძე რას აკეთებსო!

მოამზადა ლევან ჭუბაბრიამ

ჯუმბერ ლეჟავა:

მინდა, ჩემს საქართველოს ვემსახურო აჭაც და ანტარქტიდაზეც

ეს ინტერვიუ 2003 წელს ჩაიწერა, მაშინ, როცა მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა ცხრაწლიანი ოდისეის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნდა უამრავი იმედით, სურვილით — მსოფლიო ახლებურად გაეცნო თავისი ქვეყნისთვის; ისევ ემეგობრა იმ ადამიანებთან, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში უანგაროდ ამოუდგნენ მხარში; ისევ დაეგეგმა ახალი ტურნეები და მატიანედ ექცია მოგზაურობის თითოეული დღე. სამწუხაროდ, ამ სურვილების უმეტესობას ასრულება არ ეწერა. ქართველი მოგზაური წლეულს, 25 ივლისს გარდაიცვალა... ეს ინტერვიუ ადრე არ გამოქვეყნებულა და მკითხველი მას პირველად გაეცნობა.

ჯუმბერ ლეჟავა. მზადება სტარტისთვის (1993 წ.)

— მშვიდობით დაბრუნებას გილოცავთ, ბატონო ჯუმბერ. როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს — ვინ არის ჯუმბერ ლეჟავა?

— ერთი ქართველი, მოგზაურობაზე თავგადამკვდარი კაცი, რომელსაც უნდა, ძალიან ბევრი რამ გააკეთოს საქართველოსთვის. ფეხით მოვიარე მთელი საქართველო, ხელით შევხებივარ მის ყველა ისტორიულ ძეგლს. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები კი მოტოციკლეტითა და მანქანით შემოვიარე, კუთხე არ დამიტოვებია. მოგზაურობა ყოველთვის მიყვარდა. მერე მსოფლიო მოვიარე ველოსიპედით და ამ მოგზაურობის დროსაც საქართველოზე ვფიქრობდი.

არ მინდა, რომ ეს მოგზაურობა მოკვდეს, დამთავრდეს. სხვათა შორის, ეს მიწინასწარმეტყველეს რუსებმა. მითხრეს კიდეც, ჯუმბერ, შენც ხომ იცი, რომ ბრუნდები იქ, სადაც შენი მოგზაურობა ჩაკვდებაო...

— ეს როდის გითხრეს?

— როცა დაბრუნება გადავწყვიტე. მაგრამ არა მხოლოდ მაშინ, ყოველთვის მეუბნებოდნენ. ხმაც კი გავრცელეს, საქართველო ჯუმბერ ლეჟავას არ მიიღებსო... მგონი მართლდება ეს „წინასწარმეტყველება". მთელი მსოფლიო ელოდება ჩემგან ინფორმაციას, მოგვეცით მოგზაურობის მასალები და გამოვცემთო. აქ კი არავის აინტერესებს. ოთხთვე-ნახევრის ჩამოსული ვარ და არც სამსახური მაქვს, არც იმის პირობები, რომ წიგნებზე ვიმუშაო... ოფისიც მეგობარმა დამითმო — ერთი პატარა ოთახი და ეგ არის. ზღვა მასალაა. წუწუნი არ მიყვარს და არც იმედს ვკარგავ... თუმცა ჩვენ პრობლემებზე კი არა, მოგზაურობაზე ვსაუბრობთ.



„ყველა კონტინენტზე ვიყავი, ქართველებს უკვე ჰყავთ მოგზაური, რომელმაც მსოფლიოში პირველმა იმოგზაურა ველოსიპედით ანტარქტიდაზე, გრენლანდიაში, ისლანდიაში, ალასკაზე; გაიარა გობის უდაბნო ზაფხულში, ციმბირი — ზამთარში...“

— როგორ გაჩნდა ამ მოგზაურობის იდეა?

— ცოტა შორიდან მომიწევს დაწყება. 46 წლისამ ორი უმძიმესი ოპერაცია გადავიტანე. ღვიძლი დამიზიანდა და ნაწლავებიც ამომაჭრეს. როცა ყველას ეგონა, რომ ჩემი დღეები დათვლილი იყო, მე მაშინ დავიწყე ფიქრი თავის გადარჩენაზე. ფეხზე წამოვდექი თუ არა, თავს შევუძახე — ჯუმბერ, შენ უნდა იცოცხლო! და დავიწყე ფიზიკური ვარჯიში, ექიმების „დანიშნული“ წოლითი რეჟიმის საწინააღმდეგოდ. ზოგჯერ ვარჯიშისას გონება დამიკარგავს... მაგრამ ჯიუტად მივიწევდი მიზნისკენ. მალე გამოვჯანმრთელდი. მეტსაც გეტყვით, 1990-1992 წლებში მსოფლიო და გინესის რეკორდები დავამყარე ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვაში.

ერთხელაც, ჩემი უახლოესი მეგობრის, თენგიზ კიკაჩეიშვილის შვილმა, რატიმ „ულტიმატუმი“ წამომიყენა, — ძია ჯუმბერ, თქვენ ძალიან ძლიერი კაცი ხართ და დარწმუნებული ვარ, შეძლებთ მსოფლიოს ველოსიპედით შემოვლასო. რატიმ იცოდა ჩემი ველოსიპედით გატაცება, ჰოდა, ატრიალეთ პედლები, თან ქვეყნებსაც ნახავთო... ჯიხაიშში დავიბადე, ოქროსუბანში და ალბათ იცით, იქაურები, დიდ-პატარა, ველოსიპედებით დადიოდნენ. მამაჩემმა მოსკოვიდან ჩამომიტანა პირველი ნამდვილი ველოსიპედი (იგი კარგა ხანს მოსკოვში მუშაობდა, იურისტი იყო). რატიმ მარშრუტიც განმისაზღვრა, ანტარქტიდაც კი ჩართო... სპონსორობა ჩემმა მეგობარმა ჟიული შარტავამ შემომთავაზა, მაშინ რუსთა-

ვის მერი გახლდათ. სამწუხაროდ, ჩემი რატი აფხაზეთის ომის პირველივე დღეებში დაიღუპა და მე და ჟიულიმ მოგზაურობის პროგრამა უმისოდ შევადგინეთ. ეს მოგზაურობა სამ ჩემთვის უძვირფასეს ადამიანს მივუძღვენი: ჩემს ადრე გარდაცვლილ მეუღლეს, ლიანა ალიბეგაშვილს, რატიკოს და ჟიულის... 1993 წლის 13 აგვისტოს დავადექი გზას. ისრაელში ვიყავი, როცა გავიგე, რომ ჟიული მოკლეს სოხუმში, გადმოვფრინდი და შემდეგ კვლავ დავბრუნდი.

— იქნებ პირველი ერთი კვირის მარშრუტი გაიხსენოთ.

— რა დამავიწყებს. სტარტი რუსთავიდან ავიღე, ჟურნალისტები მაცილებდნენ, ბათუმში ერთად ჩავედით, სარფამდეც გამაცილეს. ასეთი „მასშტაბური“ ჩემი მოგზაურობა არასდროს ყოფილა. მოვიარე ჩრდილოეთი თურქეთი, შავი ზღვის სანაპირო. სტამბოლში 10-12 დღეში ჩავედი.

— იმ 10-12 დღეში ხომ არ გაიფიქრეთ, აქ რამ წამომიყვანაო?

— არა, არა! არც იმ 10-12 დღეში და არც არასოდეს ეს არ მიფიქრია. ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი და ყოველთვის შემეძლო საკუთარი თავის მართვა.

— რას ნიშნავს თქვენთვის რიცხვი 3333?

— ოთხი სამიანი ისედაც საინტერესოა. რატომღაც ღმერთმა 8 წელიწადში კი არ დამასრულებინა ეს მოგზაურობა, როგორც ამას პროგრამა ითვალისწინებდა, არამედ გაგრძელდა და ოთხ სამიანზე მიმიყვანა, თანაც 9 წლამდე, ანუ სულ 3333 დღე ვმოგზაურობდი. მაგრამ ჯერ სად ხართ, კიდევ უამრავი დამთხვევაა! პროგრამის დასაწერად დამჭირდა 9 თვე. 9-იანებიც ემთხვევა ერთმანეთს — ერთგან წელი, მეორეგან თვე. 13 რიცხვში დავიწყე მოგზაურობა, პროგრამის წერაც. ძალიან ხშირად, სასტუმროებში მხვდებოდა 13 ნომერი. ოთხი სამიანის გარდა, რიცხვი 3333 აგრეთვე არის 9 წელიწადი და 3 თვე, ანუ 111 თვე. აქაც სამი ერთიანი ფიგურირებს. ასტროლოგმაც ძალიან უცნაურად მიიჩნია ეს ყველაფერი.

— თქვენი მოგზაურობის მთავარი მიზანი რა იყო?

— გამეკეთებინა ის, რაც საერთოდ არ გაკეთებულა, რომ ამით საქართველოსთვის, მისი ისტორიისთვის შემემატებინა მცირედი რამ. მოგზაურობა მარტივი არ არის, ეს

რატი კიკაჩეიშვილი

ჯუმბერ ლეჟავა მეუღლესთან, ლიანა ალიბეგაშვილთან ერთად



მოგზაურობათა მარშრუტები

მსოფლიოს გარშემო საქართველოს დროშით

თქვენც იცით. მაგრამ დიდ რისკთან, დიდ სირთულეებთან ერთად სიხარულიც ახლავს. როცა მივდიოდი, არ მიფიქრია, რომ ცოცხალი დაებრუნდებოდი. წარმოიდგინეთ, მიდიხართ უსასრულობაში, მიდიხართ უდაბნოში, ჯუნგლებში (არავითარი დაცვა, არავითარი დახმარება), მთებში... ქარია, წვიმაა, სიცივეა, სიცხეა... წყალდიდობები, ქარიშხლები, მხეცების, ადამიანების თავდასხმები...

— ალბათ, ეგზოტიკური დღეებიც გამოერეოდა...

— მოგზაურობისას ყოველი დღე ეგზოტიკურია. წარმოიდგინეთ, საჰარაში მიდიხართ. მხოლოდ უდაბნო და წინააღმდეგობებია, შენ კი მიდიხარ და მიდიხარ დაუსრულებლად... აი, თუნდაც გადავდივარ ბრაზილიიდან საფრანგეთის გვიანაში. არც გზაა, არც ხიდი მდინარეზე, სუნთქვა ჭირს, ისეთი ნესტია, წვიმს, თიხნარ ბილიკზე 75-კილოგრამიანი ტვირთით მიდიხარ, ველოსიპედს ხელით მიათრევ. ეს ძალიან ჰგავს ჯოჯოხეთის გზას. მე ვიცი ეს გზა... დიდი რისკია იქაური მდინარეების გადალახვა. ხშირად ხელაწეულს გადამქონდა ტვირთი ნაპირზე. თანაც ჩემი სიმაღლის კაცისთვის — 165 სანტიმეტრი უკვე „კრიტიკული ზღვარია". იცი, გული რაზე მწყდება? არც ერთხელ არ მყოლია გვერდით ოპერატორი, რომელსაც ასეთი ეპიზოდების გადაღება შეეძლო. მაგრამ მთავარია, რომ ყველა ეს გზა ჩემს დღიურებში აღვწერე. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, ნიანგს რომ შემოუტევია (კიდევ კარგი, ხმელეთზე არ გიტევენ), და კიდევ კარგი, გველები რომ თავს უმიზეზოდ არ გესხმიან.

— თუ მოგიკლავთ გველი?

— არა, თუმცა კი გზებსა და ბილიკებზე უთვალავჯერ შემხვედრია, მათ შორის შხამიანიც. ყოველთვის გვერდს ვუვლიდი. ამის გამო რამდენჯერ ავარიაში კინაღამ მოვყევი. ტროპიკულ ქვეყნებში კიდევ, წვიმის დროს გზებზე (ასფალტზეც კი) უზარმაზარი ჭიები გამოდიან. 15 სანტიმეტრზე ნაკლები სიგრძისა არ არიან. საკმაოდ უსიამოვნო სანახავია. იმათაც კი გვერდს ვუვლიდი და სლალომის სტილით მიწევდა სიარული.

— ჯოჯოხეთის გზა ახსენეთ...

— დიახ, მართლაც გამოვიარე ჯოჯოხეთის გზა ერთხელ, როცა კლინიკური სიკვდილი მქონდა... არ მოვყევები ახლა, რა და როგორ, მაგრამ იოლი ნამდვილად არ ყოფილა... ვინ

იცის, განსაცდელი რამდენჯერ გადამიტანია. არაერთხელ გაუკრავთ „ფრთა“ ჩემთვის ინდოეთში, ფიჯიზე, აფრიკის ქვეყნებში. ყველაზე უხეშად მძღოლები იქ დადიან. მე კი არავის დავჯახებივარ, მიუხედავად იმისა, რომ ბორბალს უღალატია და ველოსიპედიდანაც გადმოვვარდნილვარ. 1998 წელს პორტუგალიაში, სახიფათო დაღმართზე მივქროდი, ქვემოდან მომავალმა მანქანამ გზა არ მომცა... საბურავიც გასკდა, სამი ნეკნი და თავი გავიტეხე. იმის შემდეგ ძველებურად სწრაფად აღარ დავდივარ, სიჩქარეს „მოვუკელი“.

— ადრე გარდაცვლილი მეუღლეც გაიხსენეთ...

— დიახ, ექიმების შეცდომას ემსხვერპლა, სამწუხაროდ, ძალიან ცნობილი ნეიროქირურგებისა. ლიკა 17 წლის იყო, როცა გავიცანი. 5 წლით ვიყავი უფროსი. მალევე ვიქორწინეთ. მაღალი, გამხდარი, ლამაზი გოგო იყო, მეც არ ვიცი, რით მოვხიბლე... ტაგანროგში შევხვდი, მშობლებთან ერთად იალტიდან ბრუნდებოდა. მე და ჩემი მეგობარი იურა კუკულაძე მოტოციკლეტით ვმოგზაურობდით ჩრდილოეთ კავკასიაში. შემდეგ ეს მოტოციკლეტები გავყიდეთ და წიგნები ვიყიდეთ. კითხვა ძალიან მიყვარდა და ეტყობა ამით საცოლესაც მოვაწონე თავი და სასიმამროსაც. 29 წელიწადი გავლიეთ ერთად. ორი ქალიშვილი გავზარდეთ, მაია და ხათუნა. მათ ბედნიერებასაც მოესწრო და თავს ამით ვიმშვიდებ ხოლმე... სიზმრების არასოდეს მჯეროდა, მაგრამ მოგზაურობამ თითქოს აზრი შემიცვალა. როცა ლიკა დამესიზმრებოდა, ეს ნიშნავდა, რომ მეორე დღეს ძალიან ადვილად გადავლახავდი ურთულეს დაბრკოლებას ან ფათერაკს დავაღწევდი თავს.

— ანტარქტიდამდე თუ ჩააღწიეთ?

— რა თქმა უნდა! როგორც გითხარით, რატის სურვილი იყო, მეექვსე კონტინენტზე დამედგა ფეხი. ყველა კონტინენტზე ვიყავი და კაცურად შევძელი იმის გაკეთება, რაც ჯერ არ გაკეთებულა. ქართველებს უკვე ჰყავთ მოგზაური, რომელიც მსოფლიოში პირველმა იმოგზაურა ველოსიპედით ანტარქტიდაზე, გრენლანდიაში, ისლანდიაში, ალასკაზე; გაიარა გობის უდაბნო ზაფხულში, ციმბირი —

ჯუმბერ ლეჟავა (მარჯვნივ) და ნოდარ ბერიძე, პროექტ „„ჯუმბერ ლეჟავა და ევრაზიის“ მენეჯერი.

ჯუმბერ ლეჟავას (ცენტრში) უცხოეთში ბევრი უცნობი ხვდებოდა გულთბილად

ზამთარში... მოგზაურები საუკეთესო სეზონს არჩევენ სამგზავროდ, მე კი ყველგან იმ ქვეყნისთვის ექსტრემალურ პირობებში გავიარე.

— მოგზაურობისას ქართველებსაც შეხვდებოდით.

— და მინდა გითხრათ, რომ არ ველოდი, საზღვარგარეთ ამდენ ქართველს თუ შევხვდებოდი. ბოლო წლებში ძალიან ბევრ ქართველს დაუტოვებია ქვეყანა და გული მწყდება. იცით, რას ამბობენ? როგორც კი ოდნავ მაინც გაუმჯობესდება მდგომარეობა, როგორც კი შევძლებ მუშაობას და მეცოდინება, რომ არ მომშივდება, რომ სულიერი საზრდოც მექნება, მაშინვე დავბრუნდებიო. ქართველები განსაკუთრებულად გამოვხატავთ სამშობლოს სიყვარულს.

— სამუშაოდ წასულ რომელიმე ქართველთან შეხვედრას თუ გაიხსენებთ...

— ლონდონში შევხვდი ორ ახალგაზრდა მომღერალს. ერთი ბანია, მეორე — ტენორი. გასაოცარი ხმები გაქვთო, შეუქიათ ცნობილ მომღერლებს და ამით დამთავრებულა. ერთი კარგა ხანია კანდიდატად ითვლება, რომ ოპერაში ამღერებენ და სანამ დაურეკავენ, დროებითი სამუშაოთი შოულობს პურის ფულს, მეორემ კი „მიაღწია“ იმას, რომ ოპერის სიახლოვეს, კვირაში ერთხელ შეუძლია დადგეს ქუჩაში და იმღეროს. და კიდევ, ტყუილად ნუ ამბობენ, რომ ჩვენი ახალგაზრდები გვარცხვენენ. ერთი-ორი ასეთი ყველგანაა. საზღვარგარეთ მყოფთა უმრავლესობა საქართველოში ოჯახებს ინახავს.

— თქვენ თუ გიფიქრიათ საზღვარგარეთ ცხოვრებაზე?

— არაერთ ქვეყანაში შემოუთავაზებიათ, ჩვენთან დარჩითო. მაგრამ თუ რომელიმე ქვეყანაში წავალ, მხოლოდ იმისთვის, რომ რამე ახალი რეკორდი დავამყარო ან ისეთ ქვეყანაში, სადაც ჯერ არ მიმოგზაურია.

— მთელი ეს წლები ვინ გიმართავდათ ხელს?

— ჩემი უახლოესი მეგობრები, ასევე ბიზნესმენები: თემურ მაისურაძე, ბიჭიკო სულიაშვილი, იუზა ვერულავა, ზურაბ წვერაიძე, ნიკო ჩხაიძე, ომარ პაიჭაძე. ქართველი ელჩებიც მეტ-ნაკლებად ინტერესდებოდნენ მსოფლიო მოგზაურით. უცხოეთში ახალშეძენილი მეგობრებიც მეხმარებოდნენ სრულიად უანგაროდ, შეიძლება ითქვას, რომ მათი „წილი“ გაცილებით მეტია. სხვათა შორის, ახლაც მაქვს შემოთავაზებები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ავსტრალიიდან,

ჯუმბერ ლეჟავა (მარცხნივ) ჩოხოსანთა დასში

არაბეთის ქვეყნებიდან, გერმანიიდან, რომ მათი ეგიდით ვიმოგზაურო, მათ ქვეყანას გავუწიო რეკლამა მსოფლიოში, მაგრამ... მე მინდა, ჩემს საქართველოს ვემსახურო აქაც და ანტარქტიდაზეც.

— თუ იყო ისეთი რამ, რაც მთელი მოგზაურობისას არ მოგიშორებიათ?

— განცდაზე თუ მეკითხებით, ეს ჩემი ქვეყნის სიყვარული იყო. ნოსტალგიური დღეების გადატანაში კი ძალიან მეხმარებოდა წმინდა გიორგის ხატი, ლოცვანი, საქართველოდან წაღებული მიწა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, გარდაცვლილი მეუღლის, ჟიული შარტავასა და რატი კიკაჩეიშვილის ფოტოსურათები.

— სპეციალობა თუ დაგეხმარათ?

— ალბათ, კი. გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი დავამთავრე პოლიტექნიკურში, დისერტაციაც იქ დავიცავი. საქართველოს სახელმწიფო პრემიაც მივიღე სახელმწიფო სტატისტიკის მართვის ავტომატიზებული სისტემის დამუშავება-დანერგვისთვის... ზუსტი მეცნიერებები მოგზაურობისას საუკეთესო „თანაშემწეა“...

— გამოდის, კომპიუტერი თქვენთვის ავტოკალამივითაა...

— ეს ჩემი საქმეა, თუმცა აქამდე კომპიუტერი არ მქონია. მეგობარმა მაჩუქა ამ რამდენიმე თვის წინ ნოუტბუკი და ამოვისუნთქე. ამიერიდან ავტოკალამს კომპიუტერის კლავიატურა შეცვლის და უფრო სწრაფადაც ვიმუშავებ. სამუშაო, ანუ მოსათხრობი უამრავი დამიგროვდა ჩემი 3333-დღიანი მოგზაურობის განმავლობაში.

* * *

ამონაწერი ჯუმბერ ლეჟავას მოგონებებიდან:

„1994 წლის თებერვალი. უსაფრთხოების მიზნით. იემენში სამხედროებმა უკან გაბრუნება მირჩიეს. განვუმარტე, მშვიდობის დესპანი ვარ და თქვენ თუ ერთმანეთში ვერ მორიგებულხართ, რა ჩემი ბრალია-მეთქი? თეთრი პერანგი მივაბი ჯოხზე და გზა განვაგრძე. მეომრებმა მოწინააღმდეგე მხარე რაციით გააფრთხილეს, მშვიდობის დესპანი მოგზაური მოდის და გაატარეთო. მათაც „გზა დამიცალეს“, ვინ იცის, გაიფიქრეს, გიჟია, ხომ შეიძლება ბრმა ტყვია მოხვდეს და როგორ არ ეშინიაო... სიმბოლურია, რომ ამ შემთხვევიდან რამდენიმე კვირაში იემენი გაერთიანდა.

სინას უდაბნოში დამიღამდა ერთხელ.



დილაადრიან შაშხანიანი ბედუინი დამადგა თავს. გაგონილი მქონდა, ამ მიდამოებში ბედუინები ხალხს იტაცებენ და თუ დროულად გამოსასყიდ თანხას არ მიუტანენ, არც ტყვის სიკვდილით დასჯაზე ამბობენ უარსო. რა მექნა, ბედს დავმორჩილდი და გავყევი. ვერაფრით რომ ვერ გავაგებინე, ვინ ვიყავი და სად მივდიოდი, ბოლოს პირქვე დავემხე და მკლავებით აზიდვა დავიწყე. ჩემი მსოფლიო რეკორდია საათში 5011 აზიდვა. ცოტა რომ დაეცლიათ, მგონი ამ რეკორდსაც მოვხსნიდი, მაგრამ ერთ საათს ვინ დამაცადა. ერთი ათი-თხუთმეტი წუთი პირდაღებული მიყურებდნენ, ბოლოს კი ყველა ახარხარდა. არაბული ყავითაც კი გამიმასპინძლდნენ. მერე ჩემი ველოსიპედიანად აქლემზე შემსვეს და კარგა დიდ გზაზე გამომაცილეს... ამჯერად ახსნა აღარ დამიწყია, მე ველოსიპედით მოგზაური ვარ და არა აქლემით-მეთქი“.

ნინო ჯაფარიძე



ჩანაწერი გინესის რეკორდების წიგნში

ჯუმბერ ლეჟავამ 1993 წლის 13 აგვისტოდან 2003 წლის 3 ნოემბრამდე (3333 დღის განმავლობაში) იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით. მსოფლიო მოგზაურმა მოიარა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, ორჯერ იყო ანტარქტიდაზე. გადაიღო უამრავი ფოტო და ვიდეოკადრი, დაწერა 7-ათასგვერდიანი დღიური. იყო მოგზაური-დიპლომატი, იუნესკომ მსოფლიო სპორტსმენად აღიარა 1999 წელს. ველოსიპედით დაფარა 270 ათას კილომეტრამდე მანძილი, ხოლო სხვადასხვა სახელმწიფოს საზღვარი ოთხი ათასჯერ გადაკვეთა.

ირაკლი ოჩიაური:

მე ვარ ხევსური, რომელსაც შურისძიების გრძნობა არ აქვს...



ირაკლი ოჩიაური

„ჩემთვის მეფე ერეკლეს სახელი დაურქმევიათ. მე სამი სახელი მაქვს. ერთი სულის სახელია. ხევსურეთში აუცილებელი იყო რომელიმე ვაჟკაცის სახელი დაერქმიათ ვაჟისთვის. ჩემთვისაც ჩაჩაური დაურქმევიათ. კარგი ჟღერადობაა — ჩაჩაურ ოჩიაური. მე კი ერეკლე შემრჩა სახელად. მესამე სახელი კი ღვთისო მქვია...“

ცნობილი მოქანდაკე, მხატვარი ირაკლი ოჩიაური კარს მიღებს და სახელოსნოდ ქცეულ სასტუმრო ოთახში შევდივართ. ნახატებსა და საღებავებს შორის საკარძლებზე ვსხდებით.

შვილები შინ არ არიან. კედელზე მეუღლის გადიდებული სურათი გაჩენილა, როგორც წერტილი — რაღაც დიდისა და მშვენიერის დასასრული. თუმცა სიმარტოვისა რა მოგახსენოთ. ოთახი სავსეა ქალებით და ყველას ირაკლი ოჩიაურის მშვენიერი მეუღლის, ირა ჯანდიერის თვალები აქვს. ისინი ჭრელ-ჭრელი კაბებით შემოსილნი თუ მხოლოდ ერთ ფერში დახატულნი, მოღიმარნი და ზოგჯერ გულდაწყვეტილად მომზირალნი, ნელ-ნელა, თვეობით ნამუშევარი თუ ერთი ხელის მოსმით დახატულნი გვიყურებენ და გვისმენენ.

თავის თავზე როგორ ალაპარაკებდი, მაგრამ რაკი კარი გამიღო და შინაც მიმიპატიჟა, რაკი მე სტუმარი ვარ და თვითონ — მასპინძელი, რა ხევსური იქნება, სტუმარს აწყენინოს... ნელა, მოფრთხილებით, მაგრამ მაინც ვახერხებ და „ვტაცებ“ მოგონებებს სიტყვაძვირ მასპინძელს, რომელიც დროდადრო მიღიმის, პასუხსაც მაძლევს და მაინც — მთავარზე ხმას არ იღებს. მთავარი ისე აქვს

ძმები ირაკლი და გოგი ოჩიაურები

ირაკლი ოჩიაური სახელოსნოში

გადამალული სულში, როგორც მტრის ალყაში მოქცეულ ხევსურს — ბოლო ტყვია...

* * *

— ჩემთვის მეფე ერეკლეს სახელი დაურქმევიათ, — მიამბობს მასპინძელი, — ამიტომ მთაში ყველა ერეკლეს მეძახდა. აქ რომ ჩამოვედი და სკოლაში შევედი, გავხდი ირაკლი. მე სამი სახელი მაქვს. ერთი სულის სახელია. ხევსურეთში აუცილებელი იყო რომელიმე ვაჟკაცის სახელი დაერქმიათ ვაჟისთვის. ჩემთვისაც ჩაჩაური დაურქმევიათ. კარგი ჟღერადობაა — ჩაჩაურ ოჩიაური. მე კი ერეკლე შემრჩა სახელად. მესამე სახელი კი ღვთისო მქვია. ჩემს მშობლებს ვაჟი უნდოდათ ძალიან, სამი ქალი ჰყავდათ და როცა მე მელოდნენ, მკითხავთან წავიდნენ. მას უთქვამს, როცა დაიბადება, ღვთისო დაარქვით, რომ ღვთის მფარველობა არ მოაკლდესო, თანაც ორი წელიწადი თეთრი სამოსით ატარეთო. მაქვს კიდეც პატარაობის სურათი, თეთრ სამოსში გადაღებული. დედა და მამა მოკვეთილი იყვნენ სოფლიდან. მათ ის წესი დაარღვიეს, რომ ერთი სოფლის მცხოვრებლებს ხევსურეთში დაქორწინების უფლება არ აქვთ. ეტყობა, ისე შეუყვარდათ ერთმანეთი, რომ ვერ შეელივნენ ამ გრძნობას და ორივე გვარმა — ოჩიაურებმაც და ბალიაურებმაც მოიკვეთეს. ამიტომაც გადმოვიდნენ ჯერ ფშავში საცხოვრებლად... მერე კი ბავშვები თბილისში მიგვიყვანეს სკოლაში. უფროსი დები მყავდა და უმცროსი ძმა.

ყველაზე ადრეული მოგონება სურათივით მიდგას თვალწინ: ჩემი ძმა დედას უზის კალთაში. მე იქვე, ძირს ვზივარ. ხის იატაკი არ გვქონდა, პირდაპირ მიწაზე ვიჯექი. ვიგრძენი, რომ არ მომწონდა. უსამართლობად მიმაჩნდა, დედას გოგი რომ ეჯდა კალთაში და მე — არა... განებივრებული თუ ვიყავი? მსგავსი რამ არ მახსოვს. ხევსურები ემოციურები კი არიან, მაგრამ სენტიმენტალურები — არა! მახსოვს, რომ მამაჩემის ძმას ავყავდი ხელში. დედისგან შინაგან სითბოს ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ამის გამოხატვაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

ჩვენ ყველა ბავშვობიდან ვხატავდით. თბილისში რომ ჩამოვედით, მამას საიდანღაც ნაცრისფერი ფურცლები მოჰქონდა, რომ გვეხატა. საშინელი ფურცელი იყო, კარაქს ახვევდნენ შიგ. ფერადი ფანქრებიც არ გვქონია... მაგის საშუალება არ იყო.

სკოლა თბილისში დავამთავრე. ატესტატი რომ უნდა ამეღო, სწორედ იმ დღეს, ბესიკის ქუჩაზე ლახტს ვთამაშობდით, მახსოვს, რადიომიმღები ჩართეს და მოვისმინეთ, რომ ომი გამოცხადდა. დედაჩემმა მოგვკიდა მე და ჩემს ძმას ხელი და წაგვიყვანა მთაში. კიდევ კარგი, თორემ მოგვიწევდა რუსეთისთვის სისხლის დაღვრა.

მთაში რომ ავედით, თვითონ ბავშვი ვიყავი, მაგრამ სკოლაში მასწავლებლად მოვეწყვე. რა უნდა მესწავლებინა ან რას ვასწავლიდი, არც მახსოვს. 6-7 ბავშვი იყო კლასში. ხევსურეთში ვაჟებს ძალიან უფრთხილდებიან, ამიტომ ვერ ვიტყვი, მძიმე შრომა მაქვს გამოვლილი-მეთქი... თუმცა ცოტა შრომა მაინც შეგვხვდებოდა ხოლმე... გვყავდა საქონელი, ფუტკარი... დედას მეფუტკრეობა თბილისში შეესწავლა. ძალიან ძლიერი ქალი იყო, მთავარ სიმძიმეს თავის თავზე იღებდა, ჩვენ შეშის დამზადებასა და თივის მომარაგებაში ვეხმარებოდით. გაჭირვება იყო. თავი უნდა გვერჩინა როგორმე. თიბვა ჩვენი საქმე იყო. მთაში ავიდოდით. ქვემოთ, ხეობებში რომ ბნელა, ზემოთ ჭიუხზე უკვე მზის სხივი ანათებდა ყველაფერს. ვდგებოდით და ვთიბავდით. მთელი დღე ისე გადიოდა, არ ვჩერდებოდით. სამი-ოთხი დღე მოწყვეტილი ვიყავით ქვეყანას, კაცის ხმა არ გვესმოდა, მხოლოდ ცელის შხუილი. იმ წლებმა მაინც დიდი კვალი დატოვეს ჩემზე. ახლა რომ მკითხონ, ვაჟკაცობით შემკული ვინ გახსენდებაო, პირველი თომა ბალიაური მახსენდება, მერე ბიძაჩემი — ლადო ბალიაური, რომელიც 1942 წელს ციმბირში დაიღუპა. თომა ბალიაური 36 წლისა იყო, რომ მოკლეს. ჩეკისტებმა მოისყიდეს სოფელ ამღაში ერთი ტუტუცი ახალგაზრდა, თანაც ამათი ნათესავი, გვარად წიკლაური. ფანჯრიდან ესროლა და მოკლა. ლადო მაშინ ლენინგრადში სწავლობდა უნივერსიტეტში. ყველაფერი მიატოვა, ჩამოვიდა, რომ სისხლი აეღო. თომას მკვლელს წვრილა ერქვა. სახელოვანი მამა ჰყავდა. ის მოუკლეს სისხლის ასაღებად. ლადო ბალიაური მწერალი იყო. ჩვენებმა თბილისში ერთი ოთახი დაუთმეს ყიფიანის ქუჩაზე. იქ იყო ჩვენი თაობის მწერლების თავშეყრის ადგილი. მოდიოდა იოსებ ნონეშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, ალეკო შენგელია, მირზა გელოვანი... მახსოვს, მოსკოვში რომ მივდიოდით დემონსტრაციაზე გამოსასვლელად.

ირაკლი ოჩიაური ხევსურულ ტალავარში

ირაკლი ოჩიაურის ჭედური ნამუშევრები: ზემოთ — „დედა“, ქვემოთ — „მხატვარი“

ზემოთ: ირაკლი ოჩიაურის ჭედური ნამუშევარი „სიყვარული“. ქვემოთ: მხატვრის სახელოსნო

გვარჩევდნენ სპორტსმენებს და ფიზიკურად კარგი აგებულების ბიჭებს. ტრიბუნებზე მაშინ ვნახე სტალინი, ბერია და ძმანი მათნი. ბოლო წასვლაზე კი მოგვივიდა სასაცილო ამბავი. ჩვენ კოშკი უნდა გაგვეტანა. რეპეტიციაზე არ გვქონია კოშკზე დროშა, პარადზე კი დიდი დროშა დაგვიმაგრეს. მსუბუქმა ქარმა დაუბერა, დაინგრა ეს კოშკი, ჩამოვარდა დროშა და სტალინის წინ დაენარცხა მიწაზე. გოგოებს აუვარდათ ტირილი, ბიჭები აზრზე მოვიდნენ, ჩქარა გავიტანოთ ეს ნამტვრევები, სომხეთი მოდის, ხელი შეეშლებაო.

ისე, ის დროშა რომ სტალინის თვალწინ ჩამოფრიალდა მიწაზე, გულის კუნჭულში გამეხარდა. თუ ასეთი განწყობა მქონდა, პარადზე რას გავდიოდი? მაგას თქვენ ვერ გაიგებთ. ჯერ ერთი, სხვა საშუალება არც გვქონდა, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გვენახა რამე. მეორეც, იქ გვაძლევდნენ ფორმას, რეზინისძირიან ფეხსაცმელს. ესეც დიდი ამბავი იყო. მთელი ერთი წელიწადი იმ ფეხსაცმლით დავდიოდი აკადემიაში.

ძალიან მშვიდი ბიჭი ვიყავი. ახლა რომ ხმარობენ ტერმინს — კანონმორჩილი, ჩემზე იყო ზედგამოჭრილი.

გოგი იყო მოუსვენარი, სულ ჩხუბობდა. უფროსკლასელებთან, უმცროსკლასელებთან, მაგისი ჩხუბის ამბავი იყო მთავარი მოსაყოლი. შეუპოვარი იყო ძალიან. მე პირიქით, — გამშველებელი ვიყავი. სწავლა სამხატვრო აკადემიაში გავაგრძელე. ჩემი ძმა კი უნივერსიტეტში — ინგლისური ენის ფაკულტეტზე შევიდა. ერეკლე ტატიშვილის სტუდენტები იყვნენ ეგ და ნოდარ ანდღულაძე. მეორე კურსზე იყვნენ, ერეკლე ტატიშვილი რომ გარდაიცვალა და ორივემ აიცრუა გული ინგლისურის სწავლაზე. ნოდარი გადავიდა კავკასიური ენების ფაკულტეტზე, გოგი კი აკადემიაში წამოვიდა. ისე დაეხმარა ნოდარის მამა — დავით ანდღულაძე, რომ შუა წელში უგამოცდოდ ჩაარიცხვინა ქანდაკების ფაკულტეტზე. ეს ყველაფერი იმიტომ გამახსენდა, რომ საბუთების შემოსატანად რომ მოდიოდა ჩემი ძმა, კარში ექესი სტუდენტი შეხვდა. რა იყო, რა მოხდა, არ ვიცი. შემოსასვლელში იჩხუბა. მასაც მოხვდებოდა, მაგრამ იმ ექვს ბიჭსაც კარგად სცემა და შემოვიდა გამარჯვებული სახით... მე კი მშვიდობისმოყვარე ვიყავი... არც დაიჯერებენ, რომ მე ვარ ხევსური, რო-

მელსაც შურისძიების გრძნობა არ აქვს. როცა რამეს მიშავებენ, მწყინს, მაგრამ შურისძიება მაინც არ მომდის აზრად...

აკადემია რომ დავამთავრე, ცხადია, იმედითა და წარმატების სურვილით მოსკოვში წავედი. ერთი წელიწადი ვიცხოვრე იქ და მივხვდი, იმდენი მოქანდაკე ჰყავდათ რუსებს, მე არავის ვჭირდებოდი. ბავშვური გულუბრყვილობით მომივიდა... დავბრუნდი თბილისში. აღმოჩნდა, არც სამსახური მქონდა, არც სახელოსნო, არც პერსპექტივა. გამოფენა ეწყობოდა. გავიტანე ჩემი პირველი პორტრეტი — მარინე ყუბანეიშვილის პორტრეტი. ირაკლი ციციშვილს წაუყვანია არქიტექტორები გამოფენაზე. როგორც ჩანს, ჩემი პორტრეტი მოსწონებიათ. მომძებნეს. მაშინ კათედრის გამგე მიხაკო შავიშვილი იყო, მასთან მიმიყვანეს. გამესაუბრნენ და სამსახური შემომთავაზეს.

არქიტექტურის ფაკულტეტზე მიმიღეს პედაგოგად. ერთ დღეს, დერეფანში დავინახე, სტუდენტები მოდიოდნენ, ერთი გოგონა გამორჩეული იყო გარეგნობით. საიდან მქონდა ამის გამბედაობა, არ ვიცი, მაგრამ გავიკითხე, ვინ იყო. აღმოჩნდა, ჩვენი ერთ-ერთი სტუდენტის, ლევან ჯანდიერის და იყო. მოქანდაკეებსა და მხატვრებს არაჩვეულებრივი საშუალება გვაქვს გავიცნოთ სასურველი ადამიანი პორტრეტზე მუშაობის საბაბით. მეც ვთხოვე ლევანს, შენი დის — ირას პორტრეტზე მუშაობა მინდა-მეთქი. დამთანხმდა. ერთი წლის თუ ცოტა მეტის მერე დავქორწინდით კიდეც...

ჯანდიერებმა როგორ მიმიღეს? კარგად შემხვდნენ. ისეთი ჯოჯოხეთური ცხოვრება ჰქონდათ გამოვლილი, ისეთ სიღარიბეში ცხოვრობდნენ, თავადურ წარმომავლობაზე სიტყვას არ ამბობდნენ. ეტყობა, მეც არ ვიყავი მიუღებელი მათთვის. ასე რომ, წინააღმდეგობა არ გამოუხატავთ. ყველა ქალს ირას თვალებით ვხატავ? შეიძლება... მაგაზე რა მოგახსენოთ. მოგრძო თვალის ჭრილი ალბათ მართლაც ირასგან ჩამრჩა მეხსიერებაში. მეულლე პირველად რომ წავიყვანე ხევსურეთში, დედა წამოჰყვა. საბარგო მანქანაზე ავბობღდით. დატვირთული იყო ხალხით. ჩემ გვერდით ხევსური იჯდა, მოპირდაპირე მხარეს — ფშაველი. მაგათ ხომ არ მოსწონთ ერთმანეთი. გაუჭირა ხევსურმა ფშაველს საქმე. ამას კეტი ჰქონდა მომარჯვებული, ადგა და გადაუჭირა ხევსურს. გაშველებაში მეც მომხვდა ის კე-

თამარ მეფე (ირაკლი ოჩიაური)

შოთა რუსთაველი (ირაკლი ოჩიაური)

ირაკლი ოჩიაური. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები



ტი... აი, ასე ვიმგზავრეთ პირველად ერთად ხევსურეთისკენ.

სახელმწიფოსგან თუ ვგრძნობდი შევიწროებას? ასე ვერ ვიტყოდი... ისე კი, მეც და ჩემი ძმაც არასაიმედოებად ვითვლებოდით. მამა ციხეში იჯდა ერთხანს პოლიტიკური ბრალდებით. ბიძაჩემი ლადო ბალიაური პოლიტიკურზე იყო გადასახლებული. სიძე — ნიკო მაკალათიაც ნაციმბირალი იყო. ყველაფერი იცოდნენ ჩვენზე და გვაკვირდებოდნენ. ერთხელ სტუდენტმა — ლევან ტატიშვილმა საიდუმლოდ გამიმხილა: კა-გე-ბეში დაგვიბარეს და თქვენზე გვკითხეს, ლექციებზე ხომ არაფერს გელაპარაკებათ ისეთსო...

როგორ ვცხოვრობდი? საშუალოდ, მოკრძალებულად... ყაზბეგის ქანდაკება დამიკვეთეს და მაშინ ავიღე დიდი ჰონორარი, იმით ავიშენე სახლი. მერე ჭედურობამ გამიმართლა... მართალია, ჯერაც დაუმთავრებელი მაქვს სახლი, კედლები შეუღებავია, მაგრამ რას ვიზამ... ახლა რომ მეკითხებით ჩემი ცხოვრების შუადღეზე, დავფიქრდი: მქონდა კი შუადღე?

საღამო როდის დგება, არც მაგისი ზღვარი მიგრძნია ოდესმე. უბრალოდ, ჩემი ცხოვრების ოთხმოცდამეერთე წლისთავზე ვიგრძენი, რომ ძალაც მომაკლდა და ფიზიკური უნარიც. აღარც გაქცევა შემიძლია, აღარც გადახტომა. აღმართზეც ვეღარ ავდივარ ძველებურად. ამდენი წლისა ვარ და რა გასაკვირია, გონებაც აღარ დამემორჩილოს, არა? მე კი გაკვირვებული ვრჩები, რამე თუ დამავიწყდა. სამი შვილი მყავს და ორი შვილიშვილი. გულჩათხრობილი ვარ? კი ბატონო, ვარ... კეთილგანწყობილი კი ვარ, არც სიყვარული მაკლია, მაგრამ ცოტა პირქუში გახლავართ. ამას მეც ვხვდები...

ახლა უფრო ხშირად ვფიქრობ წარსულზე, ჩემს მშობლებზე.

ძალიან თავშეკავებული ვიყავი. ჩემს თავზე დედასთან და მამასთანაც კი არ ვიტყოდი სიტყვას, ახლა კი ხომ ხედავთ, რამდენი მალაპარაკეთ. ესეც „მიმწუხრის“ ბრალი უნდა იყოს.

P.S. წლეულს ირაკლი ოჩიაურის საიუბილეო წელია. ბატონი ირაკლი 90 წლის გახდება. მზეგრძელობას ვუსურვებთ ქართველ ხელოვანს.

ლელა ჯიყაშვილი

ისტორიული ამბები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან

გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერიის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ 1866 წლის 4 მარტს თბილისში დაარსდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად გადაიქცა. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. საცენზურო წესდების დარღვევის გამო, დახურეს 1885 წლის 16 სექტემბერს.

ბაკურციხე

სოფელი ბაკურციხე (სიღნაღის მაზრა). 28 მარტი. ბაკურციხე ისტორიულად შესანიშნავი სოფელია. ქართლის ცხოვრებაში სოფელი ბაკურციხე ქალაქად იხსენიება. ახლაც არის ისტორიული ნაშთები-ციხენი მეფე ბაკურის აშენებული. აქედან მიუღია ამ სოფელს თავისი სახელი — ბაკურის ციხე ანუ ბაკურ-ციხე, თუმცა მეფე ბაკურის დროს დიდ წარმატებაში ყოფილა.

„ივერია“, 1894 წ. №70

კოშკი სოფელ ბაკურციხეში

* * *

საფარის ძველის მონასტრის წინამძღვრად დანიშნულს არხიმანდრიტს მამა პაისს, რომელიც ბაშეთში იყო 1888 წელს ბერებითა, მონაზნობით და რუსის ყაზახებითა აშინოვთან ერთად, წამოულია იქიდგან, არ ვიცი კი ვისგან და როდის და მოუტანია საფარაში წარსულ საუკუნეში ოლარი, ქართულის ნაწერებით. ამ ოლარს აქვს სიგრძე ორი არშინი და, სიგანე შვიდი გოჯი, სარჩული აქვს მწვანე ყანაოზისა, ხოლო თვითონ რა ფარჩაა, არ ეტყობა, რადგან სრულიად დაფარულია ოქრო-მკედით ნაკერის მხატვრობითა და სადა ადგილებიც ოქრო-მკედ ნაკერი წითელის აბრეშუმის ძაფითა. ოლარზედ ათი ოთხ-კუთხი უჯრედია და ზედ ხატები ნაკერი. ამ ხატებს თავებთან უწერიათ ნაკერის ხუცურის ასოებით: წმ. იოანე ოქროპირი, წმ. ბასილი, წმ. ნიკოლოზი, წმ. სპირიდონი, წმ. ბართლომე, წმ. კირილე, წმ. ათანას, წმ. პეტრე, წმ. მაკარი, წმ. მაქსიმე. ერთს გვერდზედ აწერია ხუცურის ასოებითა ზემოდგან ქვემომდე ერთს რიგად ანუ ატრიქონად შემდეგი: წმიდა ცხოვრების მომცემელო და ნათლით შემოსილო საფლაო ქრისტესო

საფარა (1913 წ.)

მოწამეთა. ადგილი, სადაც დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილები ასვენია

დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილები, რომლებიც მოწამეთაში ინახება

შემოგწირე ცოდვილმან და უღირსმან ერისთავის ქალმან თამარ ოლარი ესე სულისა ჩემისა საოხად. მეორე მხარზედ აწერია ზემოდგან ქვემომდე ერთ სტრიქონად შემდეგი: წმიდა ასულისა ჩემისა დედოფლისა ანნას წარსამართებლად შეიწირე, ვითარცა მოგვთა ძღვენი და ქვრივთა წვლილი, და მეოხ მეყავ დღესა მას დიდისა განკითხვისასა ამინ, ამინ, ამინ.

„ივერია“, 1894 წ. №38

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ თვის 26-ს მოსკოვიდამ ჩამოიტანენ წმ. დავით და კონსტანტინეს ახალ ლუსკუმას (კუბოს). ეს ლუსკუმა გაკეთებულია მოსკოვის ერთს საუკეთესო ქარხანაში და მართლაც ისე მშვენივრად მოწყობილია თურმე, რომ სრულიად შესაფერისი არის იმ მაღალის საგნისათვის, რისთვისაც დანიშნულია. ძველი კუბო ამ წმიდანებისა მოწამეთის მონასტერში უბრალო ხისაგან და სრულიად უმხატვროდ, უგემოდ გაკეთებული არავის ყურადღებას არ იზიდავდა და ახალი კი, როგორც გადმოგვცეს, შესანიშნავი რამ იქნება; საუკეთესო მასალისაგან და ხელოვნურად ნაწარმოები, მოოქრული ქართულის ზედ-წარწერებით და სურათებით იგი ერთს უძვირფასესს განძს შეადგენს ამ წმიდათა უდაბნოსათვის. ერთს მხარზე ლუსკუმისა გამოქანდაკებულია ძველი ქართული ღერბი, ე.ი. შუაში კვართი უფლისა და იქით-აქეთ ლომები. ამას გარდა სურათების წარწერებს მოვლებული აქვს წმინდა ქართული ჩუქურთმები. წმ. დავით და კონსტანტინეს დღესასწაულობა 2 ოქტომბერს არის და აი, სწორედ ამ დღეს იქნება მოწამეთაში დიდის ლიტანიით ეს ახალი ლუსკუმა და წმიდა გვამთა შიგ ჩასვენება. ყოველწლივ მრავალი ხალხი ესწრება ხოლმე მოწამეთობას.

* * *

ბომონები სოფელ ჟუმს

ისტორიული ნაშთები ამტკიცებენ, რომ სოფელი ყუმი ჭარის ოლქისა, შესანიშნავი ყოფილა ქართველთ ისტორიულ ცხოვრებაში. სოფელ კახში არ დარჩენილა იმდენი ისტორიული ყრუ მოწამენი ქართველთა წარსულ დიდებულის ცხოვრებაში ამ მხარეებში, რამდენიც სოფელ ყუმში. ოდესღაც იმას სახელიც შესცვლია. კახის მცხოვრებთა ფოლადიშვილების გაყრის სიგელში აღმოვიკითხე, რომ მე-18 საუკუნეში ყუმს დაჰრქმე-

ვია თათართაგან „ბალდაათ შაარი“, ესე იგი „თაფლის ქალაქი“. ასეთი სახელი მიუღია იმას იმ მიზეზით, რომ აქ ძალიან ბევრია ფუტკარი და თაფლი. სოფელი კახი, თუმცა ყოფილა რეზიდენცია წუქეთის მმართველებისა, მაშასადამე, მოთავე ყუმის სოფლისაც, მაგრამ ისეთი ეკლესიები არ ყოფილა სოფელ კახში, როგორიც სოფელ ყუმში. ის მარტო ქრისტიანულის ნაშთებით არ არის შესანიშნავი. აქვე დღემდე დარჩენილია ორი ბომონი. ისინი მდებარეობენ სოფლის თავში, წყლის პირად აშენებულნი აგურით შაქრის თავის მზგავსად-მაღალს ადგილას, იგინი ენახე 27 სექტემბერს, თანა მყავდა ერთი იმერელი და ყუმის მამასახლისი. ლეკებს სდომიათ მათი დანგრევა და აგურის წაღება, მაგრამ მკვიდრი შენობისათვის ვერა დაუკლიათ-რა, თუმცა უცემნიათ წერაქვი ძალ-ღონითა.

უეჭველია, ეს შენობა ეკუთვნის იმ დროს, როცა ქართველნი აღიარებდნენ ზოროასტრის სარწმუნოებას. ისინი არიან სიმაღლით თითო ორ საჟენ ნახევრისა, სისქით ოთხი საჟენი, ნაშენია აგურით და ისე შეკავშირებულია აგური კირთან, რომ ქვაზედ უმაგრესია შენობა. სისქეზედ გაკეთებული აქვს ერთის გვერდიდგან მეორეზედ შუაგულში რამდენიმე ხვრელი, ურმის ღერძის სისქის ოდენა. ვის აუშენებია ეს შენობები, რისთვის და რა ყოფილან, ხალხმა არ იცის; მაგრამ როცა მე ავუხსენი, რომ ისინი კერპების ბომონები არიანო, გული არა აქვთ და შიგ კედლებში ისრები აწყვიაო, მაშინ ყუმის მამასახლისი შიხ-მირზა დამეთანხმა და მითხრა: „მჯერა შენი ახსნა; ამისთანა შენობა არის სოფელ წახურშიაც და წახურელები, როცა საღრმთო აქვთ დასაკლავი, ჯერ მას გარშემო შემოუტრიალებენ საკლავს და მერე ჰკლავენ; ეტყობა, რომ ის ოდესღაც სალოცავი ყოფილა და ხალხს ჯერაც არ დაჰვიწყებია და ძველს კერპულს ჩვეულებას კიდევ მისდევსო“. ამ კერპთა სალოცავების მახლობლად ვაკედ ყოფილა ეკლესიაცა, მაგრამ ის საფუძვიანად დანგრეულია და მის გარშემო ხვნის დროს ბევრს მოკლე-მოკლე რკინის ისრებს პოულობენ თურმე ლეკები. ეკლესია უთუოდ წმ. გიორგის სახელობაზედ უნდა ყოფილიყო აშენებული. ასე ვგონებ ამისათვის, რომ ქართველთა საეკლესიო ისტორია მოგვითხრობს: „საცა უწინ კერპთა ბომონები ყოფილა აშენებული, იქ ქართველებს წმინდა გიორგის ეკლესიები აუშენებიათ, როცა მიუღიათ ქრისტიანობაო“. მაგრამ ჩემი ფიქრი ის კი არ არის, რომ ვითომც მინდოდეს ვუჩვენო აქ წმ. გიორგის ეკლესია ყოფილაო, არამედ მწადიან შევატყობინო ქართველთ ისტორიის მოყვარეთ, რომ კერპთა ბომონი მარტო ტფილისში კი არ არის დარჩენილი ფეთხაინის ეკლესიის მახლობლად, როგორც სწერს ქ. ტფილისის აღწერილობაში პლატონ იოსელიანი, არამედ ზაქათალის ოლქის სოფელ ყუმშიაც არიან ბომონნი.

მღვდელი დ. ჯანაშვილი
მოამზადა თეა ცაგურიშვილმა

სოფელ ყუმის ტაძარი

თანამედროვე ხელოვნება

ბახატვრობაში XX ს-ის დასაწყისში ახალგაზრდა ევროპელმა ხელოვანებმა ახალი გზების ძიება დაიწყეს. მათ შეწყვიტეს თავიანთ ნახატებში რეალური სამყაროს ასახვა. ამის სანაცვლოდ, ფორმებსა და ფერებზე ექსპერიმენტების გზით ქმნიდნენ შთამბეჭდავ ნამუშევრებს, რომლებიც მნახველს აშფოთებდა.

❍ კუბისტები სხვადასხვა ხედიდან დანახულ სამყაროს ერთდროულად გამოსახავდნენ ტილოზე. მათ ნამუშევრებზე მოჩანს გეომეტრიული ფიგურების, ბლოკებისა და კუბების გროვა.

❍ 1905 წელს გერმანიასა და საფრანგეთში ჩაისახა მხატვრობის სტილი, რომელსაც ექსპრესიონიზმი ეწოდება. ექსპრესიონისტები იყენებდნენ კაშკაშა ფერებს, უხეშ მონასმებს, დამახინჯებულ გამოსახულებებს, ძლიერი და მტანჯველი გრძნობების გამოსახატავად.

❍ აბსტრაქტული ხელოვნების ოსტატები თავიანთ ნამუშევრებში სრულებით არ ცდილობდნენ ადამიანების, ადგილების ან საგნების გამოსახვას. ფიგურებისა და ფერების დახმარებით ისინი განსაცვიფრებელ გამოსახულებებს ქმნიდნენ.

❍ XX ს-ის დასაწყისის ხელოვანებს შთააგონებდა მეცნიერება და ტექნოლოგია, განსაკუთრებით — ფოტოგრაფია. მათ იზიდავდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ხელოვნების განსხვავებული სტილი.

❍ ესპანელი მხატვრის, ხუან გრისის (1887-1927) 1913 წელს დახატული პეიზაჟი ტიპური კუბისტური სტილითაა შესრულებული. სახლების, ხეებისა და მინდვრების ხედები კუთხოვანი ფიგურებითაა ნაჩვენები, ეს ფიგურები კი ერთმანეთს აცდენილია. ამ ტექნიკური ხერხით ავტორს ბრტყელ ზედაპირზე სამგანზომილებიანი სამყაროს გადმოცემა სურდა.

❍ ექსპრესიონისტი მხატვრები თავიანთი ნახატებისთვის ხშირად დრამატულ სიუჟეტებს ირჩევდნენ ან ცდილობდნენ ეჩვენებინათ ენერგია, მოძრაობა, დრამატული ქმედება. ბელგიელი ექსპრესიონისტის, კონსტანტ პერმეკეს (1885-1952) ნახატზე ნაჩვენები მარცვლეულის გროვები მოსავლის აღების დროს გლეხების მძიმე შრომაზე მიუთითებს.

❍ 1950 წლიდან ხელოვნების ცენტრმა ევროპიდან აშშ-ში გადაინაცვლა. ამერიკელი მხატვრები პიონერები იყვნენ უზარმაზარი ტილოების შექმნაში გაბედული ხასხასა ფერების გამოყენებით, რაც ასახავდა ვრცელ „ველურ დასავლეთს“ და თანამედროვე ამერიკულ არქიტექტურას.

❍ ამერიკელ ხელოვანთა ნაწილი ფილმებსა და რეკლამებში გამოყენებული ტექნიკის მეშვეობით ქმნიდა გამოსახულებებს. ყველაზე სახელგანთქმულია ენდი უორჰოლი (1929-1987). ის ბეჭდური ტექნიკით ხატავდა სხვადასხვა საგანს, თუნუქის ქილებიდან ჰოლივუდის ვარსკვლავებამდე, და პოპარტის შემქმნელად მიიჩნევა.

გასაოცარია

ესპანელი მხატვარი სალვადორ დალი (1904-1989) ცნობილია თავისი უცნაური, სიზმრისეული ნახატებით მათზე ასახული წაგრძელებული სხეულებით, დამდნარი საათებით, უდაბნოს პეიზაჟის ფონზე სანახევროდ გამოღებულუჯრედიანი კომოდებით.

დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ № 34-44

ნაწყვეტები წიგნიდან „ცოდნის სამყარო“. გამომცემლობა „პალიტრა L“

➲ XX ს-ის ყველაზე ცნობილი ხელოვანი იყო პაბლო პიკასო (1881-1973). იგი ესპანეთში დაიბადა, მაგრამ საფრანგეთში ცხოვრობდა. ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მან მრავალი ახალი მხატვრული სტილი მოსინჯა.

სიურრეალიზმი

XX საუკუნის 20-იან წლებში ევროპელი ხელოვანების ჯგუფმა დაიწყო გაურკვეველი შინაარსის, უცნაური, სიზმარეული ნახატების შექმნა. ხშირად მათზე რომელიმე საგანი იყო ასახული. ერთ-ერთი სიურრეალისტი იყო ბელგიელი მხატვარი რენე მაგრიტი (1898-1967), რომელსაც თავსატეხები და პაზლები უყვარდა. ჩიბუხის მისეულ ნახატს (იხ. მარჯვნივ) ეწოდება „ეს არ არის ჩიბუხი“.



❍ XX ს-ის ბოლოს ფოტოგრაფია ახალი ტიპის ხელოვნებად ჩამოყალიბდა. საეტაპო ფოტოებში შედის გლამურული მოდის ჩვენებებიცა და ომის კადრებიც.

❍ მრავალი ხელოვანი სამოსის, ავტომობილის, ავეჯის, პოსტერებისა და ლოგოების დიზაინერიცაა. საუკეთესო ლოგოები სადა და ადვილად საცნობია.

❍ XXI ს-ის დასაწყისში ბრიტანელი და ევროპელი ხელოვანები ექსპერიმენტებს ატარებენ ხელოვნებაში, მაგრამ ტილოების შექმნის გარეშე. ისინი ქმნიან ინსტალაციებს, გამოფენენ მკვდარ ცხოველებს ან აულაგებელ საწოლებს. ზოგიერთის აზრით, ამგვარი საგნების ჩვენება ახალი ტიპის შემოქმედება, „კონცეპტუალური ხელოვნებაა“.

კომპიუტერული ხელოვნება

კომპიუტერი ხელოვანის მძლავრი ხელსაწყოა. მაუსის ღილაკზე ერთი დაწკაპუნებით შესაძლებელია სურათის ფორმის, ზომის, ფერისა და შინაარსის შეცვლა. ამას ემატება სპეციალური ეფექტები: ფიგურების მოღუნვა ან გაწელვა, ბუნდოვანების ეფექტის, ლაქებისა და ჩრდილების ისე დამატება, რომ ფოტოგრაფია ნახატს დაემსგავსოს. კომპიუტერი ხელოვანებს საშუალებას აძლევს, მრავალი გამოსახულების კომბინაციით მოკლემეტრაჟიანი ფილმები შექმნან, დაამატონ მუსიკა და ხმა.

თანამედროვე ხელოვანები

ალექსანდრ კალდერი (1898-1976) ამერიკელი მოქანდაკე, „მობილების“ (ქანდაკება მოძრავი ნაწილებით) შემქმნელი;

ქრისტო (დაბ. 1935) ბულგარული წარმოშობის ბელგიელი ხელოვანი, რომელმაც სახელი გაითქვა შენობებისა და სანაპიროების ნაწილების შეფუთვით;

სალვადორ დალი (1904-1989) ესპანელი სიურრეალისტი მხატვარი;

ბარბარა ჰეპუორთი (1903-1975) ბრიტანელი მხატვარი;

დეივიდ ჰოკნი (დაბ. 1937) ბრიტანელი მხატვარი;

როი ლიხტენშტაინი (1923-1997) ამერიკელი პოპხელოვანი;

ჰენრი მური (1898-1986) ბრიტანელი მოქანდაკე;

პიტ მონდრიანი (1872-1944) ჰოლანდიელი მხატვარი, აბსტრაქციონისტი;

ჯილბერტი და ჯორჯი (ჯილბერტ პროში, დაბ. 1943 და ჯორჯ პასმორი, დაბ. 1942) ბრიტანელი ავანგარდისტი მხატვრები, რომლებიც პერფორმანსებით არიან ცნობილი;

ენდი უორჰოლი (1928-1987) ამერიკელი მხატვარი და გრაფიკოსი, ცნობილი მერილინ მონროსა და თუნუქის ქილის ანაბეჭდებით შექმნილი ტილოებით.

❶ XX ს-ის მიწურულს თანამედროვე ხელოვნების ცენტრი ევროპის ნაცვლად აშშ ხდება. თვალსაჩინო ფიგურაა ჯეისონ პოლოკი (1912-1956), რომელიც იატაკზე გაფენილ უზარმაზარ ტილოებზე საღებავებს ასხურებდა და ისე ქმნიდა ნამუშევრებს. ამ სტილს აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი ეწოდება.

მუსიკის შექმნა

ათასობით წლის წინ უძველესმა ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთი საგანი — მაგალითად, ხის ღრუ გადანაჭერი, სხვადასხვა სახეობის ქვა, დიდი ცხოველების ძვლები — დარტყმის ან ჩაბერვისას საინტერესო ხმებს გამოსცემს. დროთა განმავლობაში, ახალი და განსხვავებული ხმების მისაღებად, მათ სხვა საკრავები გამოიგონეს.

❍ უძველესი ადამიანები პატარა ძვლებს ჟღარუნებივით იყენებდნენ, ცხოველთა ტყავისგან დოლებს ამზადებდნენ, ბამბუკის ღრუ მილებსა და ძვლებს ბგერის მისაღებად ჩაბერავდნენ.

❍ გამოცდილი დამკვრელები თავის ცოდნას სხვებს გადასცემდნენ. თანდათან ერთად დაიწყეს მოღვაწეობა დამკვრელებმა და მომღერლებმა.

❍ უძველესი შემორჩენილი მუსიკალური საკრავი 20 000 წლის წინ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მამონტის ძვლების აცმაა. ბგერების მისაღებად ძვლებზე ურტყამდნენ. თანამედროვე ქსილოფონზე დაკვრა სწორედ იმავე პრინციპს ეფუძნება.

50 000 წელია, აბორიგენები ავსტრალიაში ცხოვრობენ. მათი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საკრავია დიდჯერიდუ — ხის გრძელი ღრუ მილი, რომელსაც ჩაბერვით უკრავენ. იგი დაბალ, ერთფეროვან ბგერას გამოსცემს, რომელიც შორ მანძილზე ვრცელდება. დამკვრელები „წრიული სუნთქვის“ ტექნიკის გამოყენებით ხანგრძლივი ბგერის გამოცემას ახერხებენ.

❍ პრეისტორიული ეპოქიდან მოყოლებული, მუსიკა მრავალი რელიგიური რიტუალის უმთავრესი შემადგენელი ელემენტი იყო. იგი გამოხატავდა იმედსა და ბედნიერებას, მაგალითად, ქორწილის დროს ან მოტირალთა საწყალობელ გოდებას დაკრძალვის დროს. მრავალი ქურუმი ამავე დროს მუსიკოსიც იყო. ისინი ღმერთების სადიდებლად გალობდნენ, მღეროდნენ ან საკრავებზე უკრავდნენ.

XIV ს-ში მექსიკის ტერიტორიაზე იმპერიის შემქმნელი აცტეკები დოლებს ამზადებდნენ. რელიგიური დღესასწაულების დროს დოლზე უკრავდნენ და ცეკვავდნენ, დოლზე დაკვრითვე ამხნევებდნენ საომრად მიმავალ ჯარისკაცებს.

ძველი ეგიპტელები დასაკრძალავ ცერემონიალებზე მშვილდივით მოხრილ ქნარებზე უკრავდნენ. ამ ქნარის წვერი დამშვენებულია ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ქალღმერთ მაატის გამოსახულებით. მისი ბუმბულის დახმარებით წყდებოდა, გარდაცვლილი საიქიოში გააგრძელებდა ცხოვრებას თუ მისი სული სამუდამოდ გაქრებოდა.

❍ XX ს-მდე მუსიკალური ინსტრუმენტები ბუნებრივი მასალებისგან მზადდებოდა. ზოგიერთის, მაგალითად, ცხვრის რქის საყვირის დაკვრის მანერა დღემდე არ შეცვლილა. დანარჩენებს რაც შეეხება, თითბრის საყვირებს, ვიოლინოებს (მზადდება ამოღრუტნული ხისგან), პიანინოს კლავიშებს (მზადდება სპილოს ძვლისგან), მათზე რუდუნებით მუშაობდნენ დახელოვნებული ოსტატები. XX

საკრავების გამოგონება

ძვ. წ. 4000	ფლეიტა, ქნარი, საყვირი
ძვ. წ. 3500	ზანზალაკები
1500	ტრომბონი
1709	პიანინო
1821	ჰარმონიკა
1822	აკორდეონი
1832	თანამედროვე ფლეიტა
1840	საქსოფონი

ეს მუსიკოსი სამხრეთ ამერიკის ანდების რეგიონიდან ხის პანის ფლეიტაზე უკრავს. XX ს-ის მიწურულს ანდების მთიანეთში დამზადებული პანის ფლეიტა პოპულარული საკრავი გახდა.

პირველი ინსტრუმენტი

იტალიელმა ლუჩანო პავაროტიმ (1935-2007) თავისი დახვეწილი ტენორით გაითქვა სახელი. ადამიანის ხმა უძველესი ინსტრუმენტია. კაცობრიობის დასაბამიდან ადამიანი ხმას სხვა ცოცხალ არსებებთან კომუნიკაციისთვის იყენებდა. მოგვიანებით, თუმცა ცნობილი არ არის, როდის, ადამიანმა სიმღერა და სიტყვების დანაწევრებით წარმოთქმა დაიწყო.

გასაოცარია

ვიოლინოს ჯგუფის ინსტრუმენტებიდან უდიდესია კონტრაბასი. მას ოთხ სქელ სიმზე ჩამოკვრით ან ხემის დახმარებით უკრავენ. ბგერის სიღრმეს უფრო აძლიერებს უზარმაზარი ხის კორპუსი.

ს-ში საკრავების დამამზადებლები ახალ, პლასტიკისა და ნეილონის მსგავს მასალებს იყენებენ მასობრივი წარმოებისთვის განკუთვნილი, არნახულად იაფი პროდუქციის დასამზადებლად.

❍ პანის ფლეიტა ძალიან გავრცელებული იყო 3000 წლის წინ. იგი სხვადასხვა ზომის, ერთად შეკრული მცენარეთა ღეროებისგან შედგება. დამკვრელი ღეროების თავზე ჩაბერავს. სახელი ეწოდა ძველი ბერძნების ტყის ღმერთის, პანის პატივსაცემად. ლეგენდის თანახმად, სწორედ მან დაამზადა ასეთი ინსტრუმენტი მდინარის ნაპირზე ამოსული ლერწის ღეროებისგან.

❍ პირველი ფლეიტა ღრუ ძვლის იყო. მოგვიანებით მისი ხისგან დამზადება დაიწყეს. ძველი ბერძნები და იტალიის მცხოვრებნი ერთდროულად ორ ფლეიტაზე დაკვრას ახერხებდნენ.

❍ საკრავების უძველეს დამამზადებლებს მათი სიდიდის არ ეშინოდათ. მაგალითად, იაპონური კოტოს სიგრძე 1,8 მ-ია. იგი ყრუ, ღრმა, ზუზუნა ბგერას გამოსცემს. მუსიკოსები დაჩოქილები უკრავენ.

❍ გრიოტები დასავლეთ აფრიკის ხალხური მთქმელები და მომღერლები არიან. ქუჩებში და მოედნებზე მათ გარშემო უთვალავი ადამიანი იყრის თავს. იქ, სადაც ადამიანების უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცის, წარსულის შესახებ ინფორმაციის დაცვისა და გადაცემისთვის მათი როლი განუზომელია.

❍ დაახლოებით 2500 წლის წინ შესრულებულ ამ ეტრუსკულ ფრესკაზე ახალგაზრდა მამაკაცი ორ ფლეიტაზე უკრავს. ეტრუსკები ცენტრალურ იტალიაში ცხოვრობდნენ. ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ხალხების მსგავსად, მუსიკას რელიგიური ცერემონიალებისა და დაკრძალვის დროს იყენებდნენ.

მუსიკალური ნოტები



შუა საუკუნეებში კომპოზიტორები ფიქრობდნენ ბგერების პერგამენტზე გადატანის ისეთ სისტემაზე, რომელსაც სხვა მუსიკოსებიც წაიკითხავდნენ. საბოლოოდ შეიქმნა მუსიკალური ნოტები, რომლებსაც წერტილები (ან კვადრატები) გამოსახავს და ისინი ხუთ ჰორიზონტალურ ხაზზე იწერება. თითოეული წერტილის ფორმა და ზომა მის ხანგრძლივობას განსაზღვრავს. ხაზზე მდებარეობა ბგერის ტონალობას შეესაბამება. დღეს ნოტების ჩაწერის ეს სისტემა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. თუმცა, არსებობს მუსიკის ჩაწერის ადგილობრივი სისტემებიც.

კლასიკური მუსიკა

ევროპაში XVI ს-დან 1950 წლამდე შექმნილ მუსიკას ხშირად კლასიკურს უწოდებენ. იგი განვითარდა V ს-დან ეკლესიებში შესრულებული სიმღერების, საგალობლებისა და ინსტრუმენტული პიესების საფუძველზე.

❍ საეკლესიო მუსიკოსები მდიდარი, უფრო გამომსახველობითი ბგერების გადმოცემას ცდილობდნენ უკეთესი ინსტრუმენტების შექმნისა და მომღერალთა ხმების ახლებურად გამოყენების გზით. საკუთარი ნამუშევრების ჩასაწერად მათ რვა ნოტისგან შემდგარი დიატონური გამის გამოყენება დაიწყეს (დღესაც ძალაშია, იწყება ბგერებით დო, რე, მი).

❍ საეკლესიო მუსიკოსებს მდიდარი ადამიანები აფინანსებდნენ, მუსიკა რომ ეწერათ. XIV ს-ის შემდეგ მეფეები და სხვა გავლენიანი ადამიანები კომპოზიტორებს არარელიგიურ მუსიკასაც უკვეთდნენ.

❍ კლასიკური მუსიკის ჩამოყალიბება XV ს-ის შემდეგ დაიწყო, როცა შესაძლებელი გახდა ნაწარმოებთა ნოტების დაბეჭდვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალი ნაწარმოების შესრულება სხვა ქვეყნებშიც იყო შესაძლებელი.

❶ გერმანელი კომპოზიტორი იოჰან სებასტიან ბახი (1685-1750) ორგანისა და საეკლესიო ქოროებისთვის წერდა მუსიკას. მას აგრეთვე მრავალი კამერული ნაწარმოები აქვს შექმნილი. იგი ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ ლაიფციგის წმ. ტომასის ეკლესიის მუსიკალური დირექტორი იყო. ბახის ნაწარმოებებს დღესაც ასრულებენ და ისინი ისევ აღაფრთოვანებს მსმენელს.

❍ დაწერილ ან დაბეჭდილ მუსიკალურ ნაწარმოებს პარტიტურა ეწოდება. მის ყოველ გვერდზე ნაჩვენებია, რას და როდის უკრავს ესა თუ ის ინსტრუმენტი ან რა და როდის უნდა იმღეროს მომღერალმა.

❍ კლასიკური მუსიკის საუკეთესო კომპოზიტორებს უამრავი გულშემატკივარი ჰყავდათ. მაგრამ ადამიანები ვერასოდეს თანხმდებოდნენ, ვინ არის მათ შორის საუკეთესო. დღეს მუსიკის მოყვარულთა უმეტესობა ყველა დროის უდიდეს კომპოზიტორებად მიიჩნევს იოჰან სებასტიან ბახს (1685-1750),

❶ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770-1827) გერმანიაში მოღვაწეობდა და თავისი ეპოქის უდიდესი კომპოზიტორი იყო. მან მრავალი შთამბეჭდავი ნაწარმოები შექმნა ფორტეპიანოს, ასევე ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის. მისი ნაწარმოებების დაკვრა გამოცდილ შემსრულებლებს სურდათ, რადგან თავისი დროისთვის მეტისმეტად მოწინავედ და რთულად ითვლებოდა და ხანგრძლივ ვარჯიშს საჭიროებდა. თავად ბეთჰოვენმა საშემსრულებლო კარიერა ავადმყოფობის გამო შეწყვიტა, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე ქმნიდა ნაწარმოებებს.

❶ ავსტრიაში დაბადებული ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (1756-1791) ვუნდერკინდი იყო. მან კომპოზიტორობა ხუთი წლისამ დაიწყო. იგი წერდა კონცერტებს (პიესები სოლო ინსტრუმენტებისთვის, შემდეგ ორკესტრისთვის), სიმფონიებს (ნაწარმოები მთელი ორკესტრისთვის), საეკლესიო მუსიკასა და ოპერებს. მან მთელ ევროპაში გაითქვა სახელი, თუმცა 35 წლისა სიღატაკეში გარდაიცვალა.

გასაოცარია

მოცარტმა პირველი საფორტეპიანო პიესა 30 წუთზე ნაკლებ დროში შექმნა, როცა ხუთი წლისაც კი არ იყო.



დირიჟორი

დირიჟორი მუსიკოსებს რეპეტიციებს უტარებს და ხელმძღვანელობს. იგი თავისი ჯოხით სიჩქარესა და რიტმს უჩვენებს, მიუთითებს ბგერების მართებულ შეხამებას. XIX ს-დან მოყოლებული, დირიჟორები კლასიკური მუსიკის ვარსკვლავები არიან, მოგზაურობენ მთელ მსოფლიოში და საუკეთესო ორკესტრებს ხელმძღვანელობენ.

რიჰარდ ვაგნერი (1818-1883) მსოფლიოში უგრძესი ოპერების ავტორია. მათ შესრულებას რამდენიმე საათი სჭირდება. ბავარიაში (სამხრეთი გერმანია) მდებარე ბაიროითში, საკუთარ სახლში მან ოპერის თეატრი ააგო და დააფუძნა ყოველწლიური საოპერო ფესტივალი, რომელიც დღესაც იმართება.

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტსა (1756-1791) და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს (1770-1827).

❍ XVI ს-დან მოყოლებული, კომპოზიტორებმა ოპერების შექმნა დაიწყეს. საოპერო ნაწარმოების სიუჟეტს მომღერლები ორკესტრის თანხლებით ასრულებენ.

სიმფონიური ორკესტრი

სიმფონიური ორკესტრის ჯგუფებად დაყოფილი ინსტრუმენტები რკალისებურადაა განლაგებული დირიჟორის წინ — წინა რიგში სიმებიანი, შემდეგ ჩასაბერი, ბოლოს დასარტყამი საკრავები. თანამედროვე ორკესტრი 100 მუსიკოსს ითვლის. ორკესტრში საკრავების ოთხი ძირითადი განყოფილებაა: სიმებიანი (ვიოლინოები, ალტები, ჩელოები და კონტრაბასები), ხის ჩასაბერი (კლარნეტები, ფლეიტები, ჰობოები და ფაგოტები), სპილენძის ჩასაბერი (ვალტორნები, საყვირები), დასარტყამი (დოლები, ციმბალები, ზარები).

❍ XIX ს-ის შემდეგ მრავალი ახალი მუსიკალური სტილი განვითარდა. მათ შორის იყო საპროგრამო მუსიკა (უსიტყვო კომპოზიცია, რომელშიც სიუჟეტს მუსიკა ჰყვება), საორკესტრო და ინსტრუმენტული მუსიკა სულ უფრო გართულებული მელოდიებითა და ჰარმონიით. ამ პერიოდის გამოჩენილი კომპოზიტორები არიან შუბერტი, შოპენი და ლისტი.

❍ XX ს-ის დასაწყისში კომპოზიტორები მუსიკის წერის ახალ და განსხვავებულ გზებს ცდიდნენ. მოდერნის სტილის მუსიკის ერთ-ერთი პიონერი იყო ავსტრიელი კომპოზიტორი არნოლდ შენბერგი (1874-1951). მან უარი თქვა კლასიკურ რვანოტიან დიატონურ გამაზე და სრულიად ახალი ბგერა, ატონალური მუსიკა შექმნა.

❍ წლების წინ ადამიანები ფიქრობდნენ, რომ კლასიკური მუსიკა პოპულარობას კარგავდა. მაგრამ კომპაქტდისკების, ტელევიზიის, მუსიკალური რადიოსადგურების წყალობით ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებლები ახალ-ახალ აუდიტორიებს იპყრობენ.

უდიდესი კლასიკოსი კომპოზიტორები

იოჰან სებასტიან ბახი (1685-1750)	გერმანელი კომპოზიტორი
ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770-1827)	გერმანელი კომპოზიტორი
იოჰან ბრამსი (1833-1897)	გერმანელი კომპოზიტორი
ბენჯამენ ბრიტენი (1913-1967)	XX ს-ის ბრიტანელი კომპოზიტორი
ჯორჯ გერშვინი (1898-1937)	XX ს-ის ამერიკელი კომპოზიტორი
ედვარდ გრიგი (1843-1907)	XIX ს-ის ნორვეგიელი კომპოზიტორი
ედუარდ ელგარი (1857-1904)	ბრიტანელი კომპოზიტორი
რიჰარდ ვაგნერი (1818-1883)	გერმანელი კომპოზიტორი
ჯუზეპე ვერდი (1813-1901)	XIX ს-ის იტალიელი კომპოზიტორი, ოპერების ავტორი
ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (1756-1791)	ავსტრიელი კომპოზიტორი, 40-ზე მეტი სიმფონიის ავტორი
იგორ სტრავინსკი (1882-1971)	XX ს-ის რუსი კომპოზიტორი, ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია „კურთხეული გაზაფხული“
ფრიდერიკ შოპენი (1841-1904)	პოლონელი კომპოზიტორი
ფრანც პეტერ შუბერტი (1797-1828)	ავსტრიელი კომპოზიტორი
პეტრე ჩაიკოვსკი (1840-1893)	სახელგანთქმული რუსი კომპოზიტორი
იოზეფ ჰაიდნი (1732-1809)	ავსტრიელი კომპოზიტორი
გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი (1685-1759)	გერმანელი კომპოზიტორი

მუსიკალური ინსტრუმენტები

მუსიკალური ინსტრუმენტების ოთხი ძირითადი ჯგუფი არსებობს: სიმებიანი, ხის ჩასაბერი, სპილენძის ჩასაბერი და დასარტყამი. სიმებიან საკრავებს, მაგალითად, ვიოლინოსა და გიტარას, ხის კორპუსზე სიმები აქვს გადაჭიმული. ისინი ხმას გამოსცემენ ხემის გადატარებით ან თითის/პლექტრის ჩამოკვრით. დასარტყამი ინსტრუმენტები, დოლი ან ციმბალები, ჯოხებისა და თითის დარტყმით აჟღერდება. ხისა და სპილენძის ჩასაბერი ინსტრუმენტები ღრუ მილებია, რომლებიც ჩაბერვით იკვრება. სხვადასხვა ნოტის ასაღებად შემსრულებელი ხსნის ან კეტავს სარქველებს.

სინთეზატორი

უფრო ძლიერი ხმის მისაღებად დღეს მრავალი ინსტრუმენტის ელექტროგამაძლიერებელთან მიერთებაა შესაძლებელი. მაგალითად, სინთეზატორს ფორტეპიანოს მსგავსი კლავიშები აქვს, მაგრამ ხმას გამოსცემს გამაძლიერებელში ელექტროსიგნალის გადაცემის შემდეგ. შემსრულებელს შეუძლია ელექტროაპარატურის გამოყენებით ცვალოს მისაღები ბგერის ტიპი. სინთეზატორის ელექტროგადამრთველის გამოყენებით „სპეცეფექტების“ დამატებაცაა შესაძლებელი.

სიმებიანი საკრავები

ხის ჩასაბერი საკრავები

სპილენძის ჩასაბერი საკრავები

დასარტყამი საკრავები

ფორტეპიანო

ფორტეპიანო ევროპაში XVII ს-ში გამოიგონეს. ტერმინი მიღებულია ორი იტალიური სიტყვისგან „პიანო“ — ჩუმი და „ფორტე“ — ხმამაღალი. ამ ინსტრუმენტს მრავალფეროვანი ბგერის გამოცემა შეუძლია, ძალიან ჩუმიდან ძალიან ხმამაღალ ბგერამდე. თავდაპირველად ინსტრუმენტი ხისგან მზადდებოდა, მაგრამ დღეს უმრავლესობის კორპუსი ლითონისაა. ყველა ფორტეპიანო, ძველიც და ახალიც, ხმას გამოსცემს კლავიშზე შემსრულებლის თითის დაჭერით, რის შედეგადაც ჩაქუჩი სიმს ხვდება, არხევს მას და ბგერა მიიღება. რაც უფრო დიდხანს გრძელდება რხევა, მით დაბალია ნოტი. ბერკეტების საშუალებით სიმებთან მიერთებულ პედლებზე ფეხის დაჭერით შემსრულებელს შეუძლია გაზარდოს ბგერის ჟღერადობა ან გაახანგრძლივოს.

გასაოცარია

სინთეზატორის უპირატესობა ის არის, რომ მომღერალს საკუთარი თავისთვის აკომპანემენტის გაწევაც შეუძლია. ამიტომ ირჩევს მას სიმღერების კომპოზიტორთა უმრავლესობა ფორტეპიანოს ნაწარმოების შექმნისა და შესრულებისთვის.



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
1. ილორი; 2. რენესანსი; 3. ნიკე; 4. მარკესი; 5. დიუნი; 6. ეგზალტაცია; 7. მარინა; 8. მიასთენია; 9. ზნე; 10. ანკესი; 11. დუიმი; 12. ედილი; 13. დამარა; 14. თაველი; 15. ოსერი; 16. იუდა; 17. სტადიონი; 18. ასკერი; 19. იონა; 20. ცრუ; 21. მაკ; 22. ერი; 23. სირ; 24. საიდ; 25. კამათი. სწორპასუხი: ინდირა განდი.